

პათშმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

*ISSN 1987-7684*

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტი

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

სოციალურ მეცნიერებათა  
საკითხები

**VI**  
**შრომების კრებული**



გამოცემობა „უნივერსალი“  
თბილისი 2014

YDC (უაგ) 316 (051)  
ს 743

„სოფიალური მეცნიერებლის სიუსტები“  
გამოღის 2009 წლიდას

სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,  
რედაქტორი:

ირაკლი მანველიძე

სარედაქციო კოლეგია:

გუსეინ ნიზამი ილლი ნაჯაფოვი (ბაქ), რევაზ  
დიასამიძე, გენადი იაშვილი (თბილისი), ლადო  
მკერვალიშვილი (თბილისი) გურამ ჩაგანავა, ეთერ  
ვარშანიძე, ინგრა ზოიძე, ნატალია ლაზარა, ირინა  
ცინცაძე, (პასუხისმგებელი მდივანი), ზაზა ბურკაძე,  
ირაკლი გორგილაძე, ლაშა ბაჟუნაიშვილი, გელა  
ირემაძე.

რეცენზირობი:

მარინა იტრიაშვილი  
იოსებ სანიკოძე  
რუსუდან ბერიძე

ISSN 1987-7684

© სოციალურ მეცნიერებათა დაართამეთი

მისამართი:

საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის 35, უნივერსიტეტის II კორპუსი,  
სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი №505.

E-mail [manvelidze.irakli@gmail.com](mailto:manvelidze.irakli@gmail.com)

Tel: 0422 29 33 46

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2014

---

თბილისი, 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ. 19, თე: 222 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

**Batumi Shota Rustaveli State  
University**

**Faculty of social and Political sciences**

**Department of Social Sciences**

**Problems of Social  
Sciences**

**VI**

**PROCEEDINGS**



**Publishing House „Universali“  
TBILISI-2014**

## **Problems of Social Sciences**

**Issued since 2009**

**Chairman of the Editorial Board, Editor:**

*Irakli Manvelidze*

**Editorial Board:**

*Huseyn N. Najafov, Lado Mkervalishvili (Tbilisi), Genadi Iashvili (Tbilisi), Revaz Diasamidze, Guram Chaganava, Natalia Lazba, Ineza Zoidze, Zaza Burkadze, Irakli Gorgiladze, Lasha Bajunaishvili, Eter Varshanidze, Gela Iremadze, Irina Tsintsadze.*

**reviewers:**

*Rusudan Beridze*

*Marina Itriashvili*

*Ioseb Sanikidze*

**ISSN 1987-7684**

**© The Department of Social Sciences**

**Address: 505, The Department of social sciences, Shota Rustaveli State University, 35 Ninoshvili Street, Batumi, Georgia,**

**E-mail [manvelidze.irakli@gmail.com](mailto:manvelidze.irakli@gmail.com) Tel: 042 229 33 46**

**Publishing House „Universali“**

**Publishing House „universali“, 2014**

---

Tbilisi, 0179, I. Chavchavadzis ave.. 19, : 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

# IV



« »

2014

«

»

**2009**

, : ,

:

( ), ( ),  
, , , ,  
, , , ,  
( ), , , ,  
.

:

*ISSN 1987-7684*

©

: , , , **35, II**,  
#505.

E-mail [manvelidze.irakli@gmail.com](mailto:manvelidze.irakli@gmail.com) Tel: 0422 29 33 46

« » , 2014

, 0179, . 19, : 22 36 09, 5(99) 17 22 30

შ 0 6 პ ა რ ს 0  
C O N T E N T

პოლიტიკის მეცნიერება  
Political Science

ნაჯაფოვ ჰუსეინ ნიზამი ღლლი ევროკავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართებაში თანამედროვე ეტაპზე .....	13
	- ,
	.....46
<i>Huseyn N.Najafov</i> Politics of the European Union towards the South Caucasus Countries at Modern Stage .....	46
<i>კახაბერ სურგულაძე</i> საქართველო-აზერბაიჯანის 1919 წლის ხელშეკრულება .....	47
<i>Kakhaber Surguladze</i> Georgian-Azerbaijan Agreement of 1919 .....	54
1919 .....	54
<i>ირაკლი გორგილაძე</i> ოფშორის გეოპოლიტიკა (ზოგიერთი ასპექტი) .....	55
<i>Irakli Gorgiladze</i> Geopolitics offshore (Some Aspects) .....	63
( ) .....	64

<b>გენადი იაშვილი</b> <b>ირაკლი მანველიძე</b>	
საქართველოში ელექტრონული მმართველობის ფორმირების ინსტრუმენტალური პაზა.....	66
<b>Genadi Iashvili</b>	
<b>Irakli Manvelidze</b>	
The Instrumental Basis for Formation of Electronic Governance in Georgia .....	81
.....	82
<b>ლაშა ბაჟუნაიშვილი</b>	
რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობების გეოეკონომიკური ასპექტები .....	84
<b>Lasha Bazhunaishvili</b>	
Geo-economics Aspects of EU-Russia Relations .....	101
.....	103
<b>ინგა ცინცაძე</b>	
ტერორიზმი - საერთაშორისო საფრთხე .....	104
<b>Inga Tsintskiladze</b>	
The Problem of Terrorism in International Security .....	116
.....	116
<b>ნატალია ლაზბა</b>	
კონვერგენცია ეკონომიკური კონფლიქტების კონტექსტში .....	117
.....	123
<b>Natalia Lazba</b>	
Convergence in the Context of Economic Conflict .....	123

<b>ინგა ცინცქილაძე</b> სოციალური მოძრაობები .....	125
<i>Inga Tsintsikiladze</i> Social Movements .....	134
.....	134
<b>სალომე კინტურაშვილი</b> ლობიზმი როგორც პოლიტიკური კომუნიკაცია .....	135
<i>Salome Kintsurashvili</i> Lobbyism as political communication .....	146
.....	146
<b>ირინე ცინცაძე</b> პოლიტიკური იმიჯის შექმნის ზოგიერთი თავისებურების შესახებ .....	147
<i>Irina Tsintsadze</i> About Same originality of Making Political Images .....	153
.....	154
<b>ხათუნა მურადიშვილი</b> პოლიტიკური ლიდერის ფენომენი .....	155
<i>Khatuna Muradishvili</i> The phenomenon of a political leader .....	161
.....	162
<b>გელა ირემაძე</b> გლობალური „მართვადი ქაოსი“ და წამყვან სახელმწიფოთა პოლიტიკა ისლამურ სამყაროსთან მიმართებით .....	164

«

»

.....171

*Gela Iremadze*

Global “Ruled Chaos” and Policy of Great Powers towards Islamic  
world.....171

## ვ ს ი ძ მ ლ მ გ ი ნ ა

### Psychology

*გურამ ჩაგანავა*

კლიენტური - ცენტრირებული თერაპიის პროპრიმიული  
პარადიგმები ..... 173

*Guram Chaganava*

Proprium Paradigms in the Client -Centered Therapy ..... 190

.....191

## მ ა ს კ რ მ უ ნ ი კ ა ც ი ნ ა

### Mass Communication

*ირინე ცინცაძე*

თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის არსი და  
მნიშვნელობა ..... 192

.....198

*Irina Tsintsadze*

The essence and meaning of modern communicative linguistics ..... 198

*ნესტან მამუჭაძე*

ახალი მედიის ფუნქციური ზეგავლენა მასობრივ  
აუდიტორიაზე (ზეგიერთი ასპექტი) ..... 201

*Nestan Mamuchadze*

Functional impact of new media on the mass audience  
(Some Acpects)..... 209

(

) ..... 209

*ზონდე ინგა*

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის ურთიერთმიმართების  
საკითხისათვის ..... 211

*Inga Zoidze*

Matter of interrelations between journalism and mass  
communications..... 221

..... 221



## პოლიტიკის მეცნიერება

ევროპავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის  
ქვეყნების მიმართებაში თანამედროვე ეთიკზე

ნაჯაფოვ ჰუსეინ ნიზამი ოღლი  
ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საპატიო დოქტორი

სამხრეთ კავკასიის რეგიონს აქვს სტრატეგიულად  
მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა და  
ამავდროულად მდიდარი ბუნებრივი რესურსები, რომელთა  
გამოც ევროკავშირი ავლენს მის მიმართ განსაკუთრებულ  
დაინტერესებას. ევროკავშირის ამჟამინდელი ხელმძღვანე-  
ლობა დიდ ყურადღებას უთმობს ევროპის ენერგეტიკული  
უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვე-  
ტას. სამხრეთ კავკასიის ახალი დამოუკიდებელი სახელმწი-  
ფოების ღირებულებას ევროკავშირისათვის ასევე წარმოად-  
გენს მათი შესაძლებლობა (სსრკ-ს დაშლის შემდეგ) უშუა-  
ლოდ დაამუშაონ მათი კუთვნილი ენერგომატარებლების  
ადგილსაბადოები, და, ასევე, თავის ტერიტორიაზე განათავ-

სონ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონებიდან - ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ენერგომატარებლების მიწოდების გზები, რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით.

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ ევროპაში მიღებული იყო სამხრეთ კავკასიის მიკუთვნება კატეგორიისათვის „პრიფერის პრიფერია“. ახლა კი შეიძლება საუბარი ევროკავშირის საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტების რიგითობის შესახებ წარმოდგენების ცვლილების შესახებ. ტრაგიულად დაღუპული შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანნა ლინდ, რომლის ქვეყანაც 2001 წ. თავმჯდომარეობდა ევროკავშირს, სამხრეთ კავკაის რეგიონს უწოდა რეგიონი, რომელიც „ჩვენ არ შეგვიძლია, რომ ვუგულებელვყოთ.“<sup>1</sup>

ევროკავშირის ურთიერთობებმა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან, როგორც საგარეო პოლიტიკის რაღაც მთლიანმა მიმართულებამ, დაიწყეს თავისი ფორმირება 2002-2004 წ.წ., როდესაც იყო შემუშავებული ევროპული მეზობლობის პოლიტიკა. 1990-იან წლებში, ე.წ. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებების საფუძველზე, ჩაედო ფუძე ევროკავშირისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების დიალოგს. თუმცა იმ პერიოდში საგარეო პოლიტიკის ეს მიმართულება არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი ევროკავში-

<sup>1</sup> ციტატა: ე. ნაჯაფოვი სამხრეთ კავკასია: რთული გზა უსაფრთხოებისკენ. მ.: სამეცნიერო წიგნი, 2005. გვ. 103.

რისათვის. მან უფრო მნიშვნელოვანი სტატუსი შეიძინა ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებისას, ახალი წევრების მიღების შემდეგ 2004 და 2007 წლებში.

2007 წლამდე პოსტსაბჭოთა ქვეყნების ფინანსური დახმარება მიღიოდა, ძირითადად TACIS-ის პროგრამის ხაზით.<sup>2</sup> ამ სახსრებმა გაუწიეს რეგიონს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, თუმცა მათი მოცულობა, მაინც, იყო არასაკმარისი: მაგალითად, 1994-1995 წ.წ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა (პლიუს მონილოდეთი) TACIS-ის პროგრამის ხაზით მიიღეს დაახლოებით 8-ჯერ ნაკლები სახსრები მოსხლეობის სულზე გაანგარიშებით, ვიდრე ცაე-ს ქვეყნებმა.<sup>3</sup>

TACIS-ის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, რომელთაგან ძირითადი არის TRACECA (Transport Corridor Europe Caucasus-Asia) და ინოგეითი (Interstate Oil and Gas Pipelines Transport to Europe). ორივე პროგრამა იყო დაწყებული ბრიუსელის მიერ, პრაქტიკულად

<sup>2</sup> TACIS (Technical Assistance for the Commonwealth of Independent States, ტექნიკური დახმარება დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობას) - ევროკავშირის ინიციატივა აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის, რომელიც ხელს უწყობს ევროკავშირსა და ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განვითარებას.

<sup>3</sup> იხ. ე. ნაჯაფოვი სამხრეთ კავკასია: რთული გზა უსაფრთხოებისკენ. მ.: სამეცნიერო წიგნი, 2005. გვ. 103.

ერთდროულად, 1995 წლის ბოლოს და 1996 წლის დასაწყისში.

პირველი ორი სხდომა ინოგეითის პროგრამის ფარგლებში შედგა ბრიუსელში 1995 წ. დეკემბერში და 1996 წ. აპრილში. მათ ფარგლებში განისაზღვრა ვროკავშირის შემდგომი თანამშრომლობის ფორმები და მიმართულებები ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან, სსრკ-ს ყველა ყოფილი რესპუბლიკების ჩათვლით, რუსეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა. ასევე დასახული იყო პროექტის ძირითადი სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაციის გზები. ერთობლივი მოქმედებების კოორდინაციისათვის 1996 წ. აპრილში იყო შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის მუშაობაშიც, ევროკავშირის პარტნიორების სახით, მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანმა, სომხეთმა, ბელორუსიამ, საქართველომ, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, ტაჯიკეთმა, თურქმენეთმა, უზბეკეთმა და უკრაინამ. IOGPTE-ს პროგრამის ძირითადი მიზნებია - რეგიონალური ნავთობგაზიარების და სურსათგადამზიდავი სისტემების აღდგენა, რაციონალიზაცია და მოდერნიზაცია, ცენტრალური აზიდან და კასპიის რეგიონიდან ნახშირწყლების ევროპულ ბაზარზე ტრანსპორტირების აღტერნატიული შესაძლებლობების შეფასება და კავკასია-ცენტრალური აზიის რეგიონში თანამშრომლობის ინსტიტუციონალური ჩარჩოების შექმნა.

ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამამ TACIS დაეხმარა ევროპა-კავკასია-შუა აზიის სატრანსპორტო კორიდორის (TRACECA) განხორციელებაში და დაეხმარა სამხრეთ კავკასიას ნავთობისა და გაზის ტრანზიტის ორგანიზებაში. პროგრამამ თავისი წვლილი შეიტანა იმ რეფორმებში, რომლებმაც სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა მიიყვანა ევროპის საბჭოში. ევროკავშირმა შეიმუშავა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა შორის ჰუმანიტარული დახმარებისა და რეაბილიტაციის პროექტები. ევროკავშირი მუშაობს სომხეთის ხელისუფლებასთან ერთად მეცამორში ძველი ატომური სადგურის დახურვასთან დაკავშირებით, რომელიც მდებარეობს სეისმიურად საშიშ ზონაში და ამგვარად უქმნის საშიშროებას ეკოლოგიურ უსაფრთხოებას მთელ რეგიონში. მთლიანობაში, 1991 წლიდან 2000 წლის ჩათვლით მხოლოდ გრანტებზე ევროკავშირმა გამოყოდაახლოებით 1 მლრდ. ევრო.<sup>4</sup>

TRACECA-ს პროექტის ინსტიტუციონალურ-სამართლებრივი ბაზის განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა „ევროპა-კავკასია-აზიის მრავალმხრივი შეთანხმება“ და ტექნიკური დანართები, რომლებსაც ხელი მოეწერათ საერთაშორისო კონფერენციის „ისტორიული აბრეშუმის გზის რეაბილიტაცია“-ს შედეგების მიხედვით, რომელიც

<sup>4</sup> ე. წაჯაფოვი სამხრეთ კავკასია: რთული გზა უსაფრთხოებისკენ. მ.: სამეცნიერო წიგნი, 2005. გვ. 103.

ჩატარდა 1998 წლის 7-8 სექტემბერს ქ. ბაქოში. ამ დოკუმენტის ხელმომწერებს შორის არიან - აზერბაიჯანი, სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდავეთი, რუმინეთი, ტაჯიკეთი, თურქეთი, უკრაინა და უზბეკეთი. მისი დებულებების შესაბამისად და ევროკავშირის მხარდაჭერით ასევე შეიქმნა TRACECA-ს მთავრობათაშორისი კომისიის მუდმივი სეკრეტარიატი, რომლის შტაბბინაც ქ. ბაქოშია.

2003 წ. 11 მარტს ევროპულმა კომისიამ ევროკავშირის საბჭოს და პარლამენტს გაუგზავნა მის მიერ შემუშავებული კონცეფცია „გაფართოებული ევროპა - მეზობლობა: ჩვენს აღმოსავლეთ და სამხრეთ მეზობლებთან ურთიერთობების ახალი ჩარჩოები“.<sup>5</sup>

ამ კონცეფციის შესაბამისად, ევროკავშირი მიზნად ისახავდა „აღორძინებისა და კეთილმეზობლობის ზონის შექმნას“, რომელშიც შედიან რუსეთი, დასავლეთის ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფობი (უკრაინა, ბელორუსია და მოლდოვეთი) და სამხრეთ ხმელთაშუაზღვის 10 სახელმწიფო. ეს ის ქვეყნებია, რომლებთაც არა აქვთ შანსები უახლო-

<sup>5</sup> Communication from the Commission to the Council and the European Parliament “Wider Europe – Neighbourhood: A New Framework for Relations with our Eastern and Southern Neighbours”. Brussels, 11.3.2003 COM (2003) 104 final.

<http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2003:0104:FIN:EN:PDF>

ეს დროში შევიდნენ ევროკავშირში, მაგრამ არიან ან მალე გახდებიან მისი უახლოესი მეზობლები. მათ ჰქონდათ შეთავაზებული ევროკავშირის შიდა ბაზარზე შესვლის, ასევე მომავალი ინტეგრაციისა და ლიბერალიზაციის პრსპექტივა, რომელიც ეხმარება პირების, საქონლის, მომსახურეობისა და კაპიტალის თავისუფალ მოძრაობაზე გადასვლას. ამასთან დათქმული იყო, რომ ევროკავშირი არ აპირებს ერთგვაროვანი პოლიტიკის გატარებას, რომელიც მოერგება ყველა 14 ქვეყანას, რომელთა მიმართაც არის ახალი კონცეფცია.

დოკუმენტი ითვალისწინებდა, რომ უახლესი ათწლეულის განმავლობაში ევროკავშირი მიმართული იქნება აღორძინებისა და მეგობრული მეზობლობის ზონის - ე. წ. „მეგობართა რგოლის“ განვითარებისკენ, რომელებთანაც ურთიერთობები იქნება მშვიდი, თანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის პრინციპზე დაფუძნებული. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს, რომ პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეფორმების დარგში მიღწეული პროგრესის სანაცვლოდ, ყველა მეზობელ ქვეყანას წარედგინება ევროკავშირის შიდა ბაზრის განსაზღვრული წილი.

ევროპული მეზობლობის პოლიტიკა არის ინსტრუმენტარის ტრანსლაციისა და ევროკავშირის სივრცის გარეთ საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში ევროინტეგრაციის მეთოდების ნათელი მაგალითი. ეს გარეპოლიტიკური ინიციატივა ასახავს ევროკავშირის გეოსტრატეგიულ მიზანს მო-

მიჯნავე ტერიტორიების სტაბილიზაციაში. ევროკავშირი, როგორც კონტინენტის ინტეგრაციული ცენტრი, ობიექტურად დაინტერესებულია თავისი „რბილი ძალის“, მარეფორმებელი ზემოქმედებისა და გრავიტაციული ზემოქმედების ეფექტურ გამოყენებაში.

ევროკავშირის სურვილი - ითამაშოს უფრო აქტიური როლი სამხრეთ კავკასიაში, გამოიხატა, ასევე, 2003 წელს სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნაში. ამ თანამდებობის დამტკიცებას მიზნად აქვს რეგიონში ევროკავშირის მოქმედების თანმიმდევრობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დახმარება პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გაფარებაში, კონფლიკტების არიდება და მათ გადაწყვეტაში დახმარება, ლტოლვილთა დაბრუნებაში ხელშეწყობა, შიდარეგიონალური კავშირის მხარდაჭერა.

ევროკავშირი დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიის სატბილურობასა და განვითარებაში. უსაფრთხოების ევროპული სტრატეგია, მიღებული ევროპის საბჭოს მიერ 2003 წლის 12 დეკემბერს, მიუთითებს სამხრეთ კავკასიაზე როგორც ევროკავშირის ერთ-ერთ მეზობელ რეგიონზე, რო-

მელთა პრობლემების მიმართაც ევროკავშირმა უნდა გამოავლინოს „უფრო ძლიერი და აქტიური დაინტერესება“.<sup>6</sup>

2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ჩართვის შესახებ თავისი „ევროპული მეზობლობის პოლიტიკის“ მოქმედებათა სფეროში. დოკუმენტში აღინიშნება „განგრძნობადი ინტერესი ამ რეგიონის სტაბილურობის, დემოკრატიისა და აღორძინების განვითარებაში“. ასევე აღინიშნება, რომ „ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი კავშირის ვალდებულებების მიმრთ ამ რეგიონთან მიმართებაში“.<sup>7</sup>

საბჭომ დაამტკიცა ევროკომისიის მიერ 2004წ. მაისში შემოთავაზებული „ევროპული მეზობლობის პოლიტიკის“ სტრატეგია.<sup>8</sup>

2009 წლის 8 დეკემბერს შედგა ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის წევრი ქვეყნების პირველი სხდომა, ევროკავშირის ინსტიტუტების წარმომადგენლების მონაწილეობით.

<sup>6</sup> A Secure Europe in a Better World. The European Security Strategy. Brussels, 12 December 2003. <http://www.consilium.europa.eu/uedocs/cmsUpload/78367.pdf>

<sup>7</sup> Press Release 10189/04 (Presse 195). 2590th Council Meeting. 14.VI.2004 [http://ec.europa.eu/world/enp/pdf/enp\\_communication\\_72\\_2005\\_en.pdf](http://ec.europa.eu/world/enp/pdf/enp_communication_72_2005_en.pdf)

<sup>8</sup> Communication from the Commission. European Neighbouring Policy. Strategy Paper. Brussels, 12.05.2004 [http://ec.europa.eu/world/enp/pdf/strategy/strategy\\_paper\\_en.pdf](http://ec.europa.eu/world/enp/pdf/strategy/strategy_paper_en.pdf)

სხდომაზე იყო გამოცხადებული აზერბაიჯანთან, საქართველოსთან და სომხეთთან ევროკავშირში ასოცირების ორმხრივი შეთანხმებების გაფორმების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების შესახებ. საბოლოო დოკუმენტში - „სამხრეთ კავკასიის შესახებ საბჭოს დასკვნები“<sup>9</sup> აღნიშნულია, რომ საბჭო მიესალმება აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მიერ გამოვლენილ ნებას ევროკავშირთან თავისი ურთიერთობების განმტკიცებაში. საბჭო ხაზგასმით აღნიშნავს პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკური შეთანხმებებისა და ევროკავშირში თანმიმდევრული ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელობას. ამ კონტექსტში ევროკავშირმა დაიწყო მომზადება სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანასთან თავისი სახელშეკრულებო ურთიერთობების მოდერნიზაციისათვის. საბჭო მიესალმება დირექტივის წარდგენას, რომელიც ეხება ასოცირების შესახებ მოლაპარაკებების წარმოებას, რომლებიც ეხება გაფართოებული და ყოვლისმომცველი შეთანხმების შემუშავებას, რომელიც გამოდის არსებული ვალდებულების ფარგლებს გარეთ, კონკრეტული ქვეყნის პირობების გათვალისწინებით. საბჭო შეუდგა ამ დირექტივების დროულ მიღებას და ელოდება მოლაპარაკებების დაწყებას ყოველ ქვეყანასთან ასოცირებული წევრობის შესახებ, შესაბამისი პი-

<sup>9</sup> Council of the European Union. Council conclusions on the South Caucasus. 2985th Foreign Affairs Council meeting, Brussels, 8 December 2009. European Commission's site. [http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms\\_Data/docs/pressdata/EN/foraff/111816.pdf](http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_Data/docs/pressdata/EN/foraff/111816.pdf)

რობების გათვალისწინებით. ევროკავშირი გააგრძელებს სტაბილურობის, თანამშრომლობის, აღორძინებისა და მთელი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფის ხელშეწყობას, და კვლავ შეუწყობს ხელს ამ მიზნის მიღწევას, მათ შორის ტექნიკური დახმარების პროგრამების ფარგლებში, ნათქვამია დოკუმენტში.

სხდომაზე წარმოდგენილი იყო ევროკავშირის ანგარიში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რეალიზაციის შესახებ.<sup>10</sup>

2008 წლის 10 დეკემბერს ევროკომისიამ 16 განვითარებად ქვეყანას, მათ შორის აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს, მისცა რამოდენიმე ათასი სახეობის პროდუქციის საბაჟო გადასახადის გარეშე ექსპორტის საშუალება ევროკავშირის ტერიტორიაზე.<sup>11</sup>

2009 წლის აპრილის ბოლოს ევროპულმა კომისიამ გამოაქვეყნა ევროპული მეზობლობის პოლიტიკის 2008წლის მოქმედების გეგმის შესრულების შესახებ ანგარიში, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქვეყნების უმრავლესობამ ამ

<sup>10</sup> Eastern Partnership implementation well on track – 1<sup>st</sup> Eastern Partnership Foreign Ministers meeting. Brussels, 8 December 2009. European Commission's site. <http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=IP/09/1891&format=HTML&aged=language=EN&guiLanguage=en>

<sup>11</sup> ვროპული კავშირი: ფაქტები და კომენტარები. გამოშვება: ოქტომბერი-დეკემბერი 2008წ. იუ. ა. ბორკოს, ნ. კულიკოვას, ო.ვ. ბუტორინას, ვ.ვ. ურკინს, ო. იუ. პოტემკინას რედაქციით, ევროპული კავშირის საინფორმაციო ცენტრი ევროპის ინსტიტუტიში PAH. <http://www.edcaes.ru/site/ru/union.html>

პროგრამაში, აჩვენა მნიშვნელოვანი პროგრესი ეკონომიკურ რეფორმებში, მაგრამ იმაში, რაც შეეხება პოლიტიკურ რეფორმებს, იყო დაფიქსირებული საპირისპირო პროცესი. განსაკუთრებით ნეგატიური ტენდენციები გამოვლინდა სომხეთში არჩევნების შემდგომ პერიოდში, აშკარა გახდა უკრაინის პოლიტიკურ ელიტებს შორის განხეთქილება და სიტუციის არამდგრადობა საქართველოში. „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ „ევროპული მეზობლობის პოლიტიკის“ ფარგლებში ითვალისწინებს გაღრმავებულ თანამშრომლობას ექვს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოსტან - აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსია, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. ევროკავშირის საგაზაფხულო სამიტის დასკვნებში (ბრიუსელი, 2009 წ. 19-20 მარტი) ნათქვამია, რომ „კომისიის 2008წ. 3 დეკემბრის შეტყობინების თანახმად, ევროპული საბჭო მიესალმება ამბიციურინ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ დაარსებას და იღებს შესაბამის დეკლარაციას, რომელიც ერთვის მოცემულ დოკუმენტს.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ დამაარსებელი სამიტი ჩატარდა პრაღაში 2009 წ. 7 მაისს.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ დეკლარაციის ძირითადი დებულებები ასეთია:

სტაბილურობას, კარგ მმართველობას და აღმოსავლეთ მეზობლების ეკონომიკურ განვითარებას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა ევროკავშირისათვის. ამიტომ ის ძა-

ლიან დაინტერესებულია მათთან უმჭიდროეს ურთიერთობათა განვითარებაში და ამ მიზნით აარსებს აღმოსავლეთ პარტნიორობას.

ევროკავშირი მზად არის ხელი შეუწყოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებს ამ ქვეყნებში, მათ დაახლოებას და ევროკავშირთან კონვერგენციას. პერსპექტივაში ის დაისახავს მიზნად აუცილებელი პირობების შექმნას პოლიტიკური ასოციაციისათვის და შემდგომი ეკონომიკური ინტეგრაციისათვის ევროკავშირსა და მის აღმოსავლეთ პარტნიორებს შორის.

„აღმოსავლეთ პარტნიორობას“ საფუძვლად უდევს მისი მონაწილეების მიერ გაზიარებული საერთო ღირებულებები, დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და პიროვნების უფლებების პატივისცემის ჩათვლით, ასევე საბაზრო ეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და კარგი მმართველობის პრინციპები. განპირობების პრინციპის შესაბამისად (Conditionality), ევროკავშირის ვალდებულებები დამოკიდებული იქნება ყოველი პარტნიორის მიერ მიღწეულ პროგრესზე.

ორმხრივი თანამშრომლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში მიზანმიმართულია ასოცირების შესახებ შეთანხმებების გაფორმებაზე, რომლებიც, სხვათაშორის, ითვალისწინებენ თავისუფალი ვაჭრობის ზონების შექმნას. გათვალისწინებულია ასევე ამ ქვეყნების დახმარება მათი ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაუმჯობესებაში,

ასევე მოქალაქეთა მობილურობის ამაღლებაში, რეადმისიის შესახებ შეთანხმებებისა და სავიზო რეჟიმის გაადვილების საშუალებით, სავიზო რეჟიმის სრული ლიბერალიზაციისაკენ თანდათანობითი მიახლოებით.

ორმხრივთან ერთად, ასევე გათვალისწინებულია მრავალმხრივი თანამშრომლობაც, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და აღმოსავლეთ პარტნიორების ერთობლივი გადაწყვეტილებების საფუძველზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამშრომლობის ძირითადი დარგების სახით გამოიყოფა: დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა; ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან კონვერგენცია; ენერგეტიკული უსაფრთხოება; ხალხს შორის კონტაქტები.

არის წინადადება დაარსდეს თანამშრომლობის ინსტიტუტები, მათ შორის ევროკავშირის სამიტები - აღმოსავლეთ პარტნიორები (ორ წელიწადში ერთხელ) და შეხვედრები საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე (ყოველწლიურად).

მესამე ქვეყნებს შეუძლია მონაწილეობა მიიღონ კონკრეტულ პროექტებში, ყოველი შემთხვევისათვის მიღებული გადწყვეტილების შესაბამისად.<sup>12</sup>

<sup>12</sup> Joint Declaration of the Prague Eastern Partnership Summit, Prague, 7 may 2009. Council of the European Union. Brussels, 7 May 2009. 8435/09 (Presse 78). European Commission's site. [http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms\\_data/docs/pressdata/en/er/107589.pdf](http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en/er/107589.pdf)

დასკვნებსა და დეკლარაციებში არაფერი არ არის ნათქვამი 6 აღმოსავლეთ პარტნიორის ევროკავშირში წევ-რობის პერსპექტივაზე, მაგრამ ევროკავშირის სხვა დოკუ-მენტებში, ასევე მისი უმაღლესი ჩინოვნიკების განცხადე-ბებში არაერთხელ იყო ხაზგასმული, რომ გაფართოებული ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობლები, როგორც განევრი-ანების კანდიდატები არ განიხილებიან.

ევროპული კომისიის დოკუმენტებში არის აღმოსავ-ლეთ პარტნიორობის პროგრამის რამოდენიმე მნიშვნელოვა-ნი დებულებები, რომლებმაც ასახვა ვერ იპოვეს ევროპული საბჭოს დეკლარაციაში, მაგრამ, ამავდროულად, ამჟღავნე-ბენ ევროკავშირის „ამბიციური“ ინიციატივის ერთ-ერთ უმ-ნიშვნელოვანეს მიზანს. საუბარია ენერგეტიკაზე.

პროგრამა ითვალისწინებს ევროკავშირისა და მისი პარტნიორების ენერგეტიკული უსაფრთხოების დონის ამაღლებას შემდეგი საშუალებებით:

- ევროკავშირის ენერგეტიკულ თანასაზოგადოებაში უკრაინისა და მოლდოვას წევრობის შესახებ მოლაპარაკებე-ბის დასრულება შემჭიდროვებულ ვადებში;
- ევროკავშირის ენერგეტიკულ ბაზარზე უკრაინის ენერგეტიკული ბაზრის სრული ინტეგრაცია;
- პოლიტიკური დიალოგის გაფართოება აზერბაიჯან-თან, აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთადერთ მონაწილეს-

თან, რომელსაც გააქვს ექსპორტზე ნახშირწყლები ევროკავშირში;

• თანამშრომლობის განვითარება ბელორუსიასთან ნახშირწყლების ტრანზიტის უზრუნველყოფისა და მის ენერგეტიკულ სექტორში რეფორმის მიზნით;

• მოლდოვასთან, საქართველოსთან და სომხეთთან ენერგეტიკული უსაფრთხოების სფეროში ურთიერთგაგების შესახებ მემორანდუმების ხელმოწერა;

• ევროკავშირსა და მის პარტნიორებს შორის ურთიერთმომგებიანი და დივერსიფიცირებული ენერგეტიკული ბაზრის შექმნა, შუასიჩქარის პერსპექტივაში;

• ენერგეტიკული პოლიტიკისა და პარტნიორების კანონმდებლობის პრაქტიკასთან და *acquis communautaire*<sup>13</sup> აქტებთან ჰარმონიზაციის პროცესის დაჩქარება, კერძოდ, ელექტროენერგიის, გაზის, ნავთობის, ენერგიის აღდგენითი წყაროებისა და ენერგიის გამოყენების ეფექტურობის საკითხებზე;

<sup>13</sup> *Acquis communautaire* (*acquis*) - ევროკავშირის სამართლებრივი სისტემა, რომელიც მოიცავს ევროკავშირის კანონმდებლობის აქტებს (მაგრამ არ შემოიფარგლება მათი), მიღებული ევროკავშირის, საერთო საგარეო პოლიტიკისა და იუსტიციის და შინაგან საქმეთა სფეროში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის პოლიტიკის ფარგლებში.

• ბაქოს პროცესის<sup>14</sup>, როგორც ნამდვილი ენერგეტიკული პარტნიორობის, განმტკიცების ხელშეწყობა, როგორც ნამდვილი ენერგეტიკული პარტნიორობის, ცენტრალური აზის ქვეყნების სრული მონაწილეობით, როგორც ენერგეტიკული რესურსების ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელი რეგიონი.<sup>15</sup>

პროგრამის მონაწილე ექვსი ქვეყანა მიიღებს გაფართოებულ ფინანსურ დახმარებას ევროკავშირისგან პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების მხარდასაჭერად ამ ქვეყნებში.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის ფარგლებში ევროპული კომისია 2010-2013 წ.წ. დაგეგმილ რესურსებს დაუმატებს ფინანსურ დახმარებას 600 მლნ. ევროს ოდენობით. ასევე 250 მილიონი ევრო, რომელიც უკვე გათვალისწინებულია რეგიონისთვის, იქნება გადაფოკუსირებული, რათა მხარი დაუჭიროს ახალ პროგრამას.<sup>16</sup>

<sup>14</sup> ბაქოს პროცესი - აზერბაიჯანის ინიციატივა, მიმართული თანამშრომლობის გაფართოებისკენ შავიზღვისპირეთისა და კასპიისზღვისპირეთის სახელმწიფოთა და ევროკავშირს შორის, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის ძირითად მიმართულებებში.

<sup>15</sup> ვროცელი კავშირი: ფაქტები და კომენტარები. გამოშვება: ოქტომბერი-დეკემბერი 2008წ. იუ. ა. ბორკოს, ნ. კულიკოვას, ო.ვ. ბუტორინას, ვ.ვ. ურკინას, ო. იუ. პოტემკინას რედაქციით, ევროპული კავშირის საინფორმაციო ცენტრი ვეროპის ინსტიტუტში PAH. <http://www.edcaes.ru/site/ru/union.html>

<sup>16</sup> The EU launches programme to forge closer ties with six countries in

პრინციპში, „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ მონაწილე ქვეყნებს არ წარუდგენს არც ახალ სერიოზულ შესაძლებლობებს ევროკავშირთან დაახლოების მხრვივ, არც სერიოზულ დაფინანსებას. ამავდროულად, ევროკავშირის გეგმები, იმაში, რას შეეხება ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, საკმაოდ კონკრეტულია. ფაქტიურად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანას შეეთავაზათ თავისი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ინტეგრაცია, ხოლო შემდეგ ჩართონ ისინი ევროპულ ენერგეტიკულ ბაზარში. აშკარაა, რომ ევროკავშირი დაინტერესებულია ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე-მისთვის ლიალური სტაბილური პოლიტიკური რეჟიმების ფორმირებაში, რომლებიც იზიარებენ ევროპულ ღირებულებებს. პირველ რიგში, მდგრადი ენერგეტიკული ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის და ენერგეტიკული რესურსების მიწოდების მარშრუტების დივერსიფიკაციისათვის, რომლებიც ექსპორტირდება აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან.

ცვლილებები მიღებულ იქნა გერმანიისა და ნიდერლანდების ზენოლის ქვეშ, რომელთა აზრითაც „ევროპული ქვეყნების“ ხსენება შეიძლება იყოს აღქმული როგორც შემდგომ გაფართოებაზე მითითება. ახალი ფორმულირებები,

---

Eastern Europe and the Southern Caucasus. European Commission's site.  
External relations and foreign affairs - Neighbourhood policy. – 08.05.2009.  
[http://ec.europa.eu/news/external\\_relations/090508\\_en.htm](http://ec.europa.eu/news/external_relations/090508_en.htm).

რომლებიც ეხება ვიზუალური განსხვავდება უფრო ადრეული ჩეხეთის წინადაღებებისაგან, როცა საუბარი იყო „ვიზუალური გადაადგილების“ შესახებ.<sup>17</sup>

2010 წლის 20 მაისს ევროპულმა პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია „სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სტრატეგიისადმი მოთხოვნა“, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ევროკავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში უნდა იყოს მიმართული სამ დარგზე: კონფლიქტების გადაწყვეტა; დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და სამართლის უზრუნველყობის განვითარება; ეკონომიკური თანამშრომლობა და სოციალური განვითარება. რეზოლუციაში აღნიშნულია რეგიონის გადამწყვეტი მნიშვნელობა ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რომელიც ახდენს გაზის ტრანსპორტირებას სამხრეთ-კავკასიის მიღსადენით კასპიის ზღვიდან შავ ზღვაში. ევროპარლამენტარებმა გამოხატეს მხარდაჭერა ევროკავშირის ურთიერთობათა განმტკიცებას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ენერგეტიკული პროექტების დარგში, და დაუინებით მოუწოდეს ევროკავშირს იმუშაოს მიღსადენი Nabucco-ს მშენებლობის პროექტზე. ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეშლას წარმოადგენს ე.ნ. „გაყინული კონფლიქტების“ არსებობა. რეზოლუციაში

<sup>17</sup> EU summit text loaded with eastern tension. "EUobserver.com", 07.05.2009. <http://euobserver.com/9/28081>

ნათქვამია, რომ ევროპა ხვდება რთულ პოლიტიკურ სიტუაციას თავის ურთიერთობებში სამხრეთ კავკასიის რეგიონთან, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია კონფლიკტებთან მთიან ყარაბახში და საქართველოში, ასევე სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობებში დაძაბულობასთან. რეზოლუციაში არის ევროპული პარლამენტის მკვეთრი და ერთიანი პოზიცია სომხეთ-აზერბაიჯანული, მთიანი ყარაბახის კონფლიკტებისა და მათი მძიმე შედეგებთან დაკავშირებით. ევროპარლამენტმა მთლიანად დაუჭირა მხარი აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას, მოთხოვა სომხეთს დაუყოვნებლივ გამოიყვანოს თავისი შეიარაღებული ძალები აზერბაიჯანის ოკუპირებული მთიანი ყარაბახის რეგიონიდან და მისი მიმდებარე რაიონებიდან, ხაზი გაუსვა კონფლიკტის მოგვარების მნიშვნელობას საერთაშორისო სამართლის ნორმათა ჩარჩოებში, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ჩათვლით, ასევე აღიარა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა თავის საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების უფლებათა უზრუნველყოფის აუცილებლობა.<sup>18</sup>

2010 წლის 25 მაისს პოლონეთის ქალაქ სოპოტში გაიმართა ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინის-

<sup>18</sup> European Parliament resolution of 20 May 2010 on the need for an EU strategy for the South Caucasus. 20 May 2010. Site of the European Parliament. <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=TA&reference=P7-TA-2010-0193&format=XML&language=EN>

ტროების ხელმძღვანელთა შეხვედრა, მიძღვნილი „აღმოს-ვლეთ პარტნიორობისადმი“, რომელზეც პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ შესთავაზა რუსეთს მიუერთდეს „მეგობართა ჯგუფის“ ქვეყნებს, რომლებიც მონაწილეობენ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამაში. მისი აზრით რუსეთის გარდა, ამ ჯგუფში შეიძლება შესულიყვნენ ნორვეგია, კანადა, აშშ, იაპონია და სხვა ქვეყნები.

ამგვარი განცხადებები, შესაძლებელია, განიმარტება იმით, რომ დსთ-ს სივრცეში აგრძელებს განვითარებას მოსკოვის ინტეგრაციული ინიციატივები, რომლებიც აღელვებს ბრიუსელს. კერძოდ, 16 ივნისს ევროკავშირის უზენაესმა წარმომადგენელმა საერთაშორისო საქმეებში და უსაფრთხოების პოლიტიკაში ქეთრინ ეშტონმა განაცხადა ევროპარლამენტში, რომ საბაჟო კავშირმა, რომელსაც ქმნის რუსეთი, ბელორუსია და ყაზახეთი, შეიძლება ავნოს საერთაშორისო ვაჭრობას და, შედეგად გახდეს დაბრკოლება ამ ქვეყნების WTO-ში განევრიანებისათვის. „ჩვეულებრივ ჩვენ არა გვაქვს პრობლემები საბაჟო გაერთიანებებთან, ... მაგრამ ჩვენ გვაღელვებს, როცა ასეთი კავშირები ხელს უშლიან

ვაჭრობას, და არა ანვითარებენ მას. ზუსტად ასეა საქმე ამ სავარაუდო კავშირთან“ - თქვა მან.<sup>19</sup>

2011 წლის 13-14 იანვარს ევროკომისიის დეკლარაცია მისი თავმჯდომარის უზენაუელ ბაროზუს ხელმძღვანელობით ეწვია ბაქოს. ვიზიტის პროცესში ხელმოწერილი იყო „სამხრეთ კორიდორის“ შექმნის შესახებ ერთობლივი დეკლარაცია და „გაზის სამხრეთ კორიდორის“ პროექტის რეალიზაციის განზრახვების შესახებ ოქმი. დეკლარაცია ითვალისწინებს ევროკავშირის სამართალს კასპიის რეგიონის გაზთან პირდაპირ წვდომაზე და აზერბაიჯანის ვალდებულებას მიაწოდოს ევროკავშირში „გაზის მნიშვნელოვანი მოცულობა გრძელვადიან პერსპექტივაში“.<sup>20</sup>

2011 წლის 29-30 სექტემბერში ქ. ვარშავაში შედგა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის მეორე სამიტი, რომლის შედეგებითაც მიღებული იქნა მოქმედებათა ახალი გეგმა აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყნების მიმართ. სამიტის შემაჯამებელ პრესს-კონფერენციაზე ევროპული საბჭოს თავმჯდომარემ ჰერმან ვან რომპიომა გაიმე-

<sup>19</sup> ვროპული კავშირი: ფაქტები და კომენტარები. გამოშვება 60: აპრილი-ივნისი 2010წ. იუ. ა. ბორკოს, ო.ვ. ბუტორინას, ვ.ვ. ჟურვინას, ო. იუ. პოტემკინას რედაქციით, ევროპული კავშირის საინფორმაციო ცენტრი ევროპის ინსტიტუტში PAH. <http://www.edc-aes.ru/site/ru/union.html>

<sup>20</sup> ვროპული კავშირი: ფაქტები და კომენტარები. გამოშვება 63-64: იანვარი-ივნისი 2010წ. იუ. ა. ბორკოს, ო.ვ. ბუტორინას, ვ.ვ. ჟურვინას, ო. იუ. პოტემკინას რედაქციით, ევროპული კავშირის საინფორმაციო ცენტრი ევროპის ინსტიტუტში PAH. <http://www.edc-aes.ru/site/ru/union.html>

ორა, რომ ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობლები რჩებიან მისი საგარეო პოლიტიკის „ერთერთ მთავარ პრიორიტეტად“.

2012 წლის 23 ივლისს ბრიუსელში ევროკავშირის გარე-პოლიტიკური საბჭოს სხდომის ფარგლებში შედგა აღმოსავ-ლეთ პარტნიორობის პარტნიორ ქვეყანათა საგარეო საქმე-თა მინისტრების მესამე შეხვედრა, რომელზეც განხილული იყო ევროკავშირის მიერ შემუშავებული აღმოსავლეთ პარ-ტნიორობის „საგზაო რუკა“, და ასევე შემდგომი განვითარე-ბა აღმოსავლეთ პარტნიორობის შემდეგი სამიტის პერიოდ-ზე, 2013 წლის 27-28 ნოემბერი ვილნუსში.

2012 წლის 18 აპრილს ევროპულმა პარლამენტმა მიი-ღო სტრასბურგში ორი რეზოლუცია, რომლებიც შეიცავ-დნენ რეკომენდაციებს ევროპული საბჭოსათვის, ევროპული კომისიისათვის და სომხეთისა (რეზ. 2011/2315(INI)) და აზერბაიჯანის (რეზ. 2011/2316(INI)) ევროკავშირთან ასოცი-აციური შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებებზე გარეპოლი-ტიკური საქმიანობის ევროპული სამსახურისათვის. პირვე-ლად ასოციაციური შეთანხმებების ხელმოწერა ორ ქვეყა-ნასთან ევროპარლამენტის დეპუტატებმა პირდაპირ დაუ-კავშირეს სომხეთ-აზერბაიჯანული და მთიანი ყარაბახის კონფლიქტების დარეგულირების პროგრესს. ევროპარლა-მენტმა კვლავ აღნიშნა მთიანი ყარაბახის მიმდებარე რაიო-ნები როგორც ოკუპირებულები, და არა როგორც უბრალოდ

„სომხეთის ძალებს დაქვემდებარებული“ და ერთდროულად მოითხოვა იქედან სომხური ძალების გამოყვანა და ამ რაიონების დაბრუნება აზერბაიჯანის კონტროლის ქვეშ.<sup>21</sup>

2013 წლის 23 ოქტომბერს ევროპარლამენტის პლენარული სესიის მსვლელობისას იყო მიღებული ევროპული კეთილმეგობრობის პოლიტიკის შესახებ რეზოლუციის პროექტი. რეზოლუციის მე-16 პარაგრაფში ევროპარლამენტმა აღნიშნა, რომ ერთი სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც არის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის მონაწილე, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპაცია, რომელიც ასევე მონაწილეობს ამ პროგრამაში, არის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფუნდამენტალური პრინციპებისა და მიზნების დარღვევა. მოცემულ კონტექსტში განსაკუთრებით აღინიშნა მთიანი ყარაბახის კონფლიკტის დარეგულირების მნიშვნელობა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 1993 წელს მიღებული 4 რეზოლუციისა და ეუთოს მინსკის ჯგუფის საბაზო პრინციპების საფუძველზე, რომლებიც დაფიქსირებულ იქნა აქუილის 2009 წლის 10 ივლისის ერთიან განცხადებაში. რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ სომხეთ-აზერბაიჯანული კონფლიქტი უნდა მოგვარდეს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად, რომლებიც მოითხოვენ საო-

<sup>21</sup> ევროპარლამენტმა აღიარა სომხეთი ოკუპანტ ქვეყნად. 25 აპრილი 2012წ. საიფორმაციო სააგენტო „The First News“. <http://www.1news.analytics/20120425012833907.html>

კუპაციონ ძალების დაუყოვნებლივ, უპირობო და სრულად გაყვანას აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიიდან, ასევე აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის და საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას.<sup>22</sup>

2013 წლის 3 სექტემბერს რუსეთისა და სომხეთის პრეზიდენტები ვლადიმირ პუტინი და სერჟ სარგსიანი მოსკოვში ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგებით გამოვიდნენ ერთობლივი განცხადებით, რომლის თანახმად სომხეთმა გადაწყვიტა განვერიანდეს საბაჟო კავშირში, ხოლო შემდეგში კი მონაწილეობა მიიღოს ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ფორმირებაში, სომხეთის შესვლამ საბაჟო კავშირში შეუძლებელი გახადა მისი მიერთება ასოციაციის შეთანხმებაში და სიღრმისეულ და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონაში (DCFTA), რომელსაც ის აპირებდა რომ გაეფორმა ევროკავშირთან.

2013 წლის 28-29 ნოემბერს ვილნუსში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მესამე სამიტი, რომელშიც სახელმწიფოთა მეთაურების და 6 მონაწილე ქვეყნის მთავრობების გარდა მონაწილეობა მიიღეს ევროპული კავშირის პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ და ევროკომისიის პრეზიდენ-

<sup>22</sup> ევროპარლამენტის რეზოლუცია მოითხოვს აზერბაიჯანის ტერიტორიიდან საოკუპაციო ძალების დაუყოვნებლივ გაყვანას. 23 ოქტომბერი 2013 წ. საიფორმაციო სააგენტო „The First News“. <http://www.1news.az/politics/20131023083919652.html>

ტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ. სამიტის შედეგი გახდა მოლდავეთთან და საქართველოსთან ასოცირებული წევრობის შესახებ შეთანხმებების ხელმოწერა, აზერბაიჯანთან გამარტივებული სავიზო რეჟიმის შესახებ ხელშეკრულება, ევროკავშირის საქართველოსთან ერთად მისიებში მონაწილების ჩარჩო ხელშეკრულება, სამიტის შედეგებით იყო მიღებული ერთობლივი დეკლარაცია, რომელშიც ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებმა განაცხადეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ შემდგომშიც განავითარონ მჭიდრო ურთიერთობები და თანამშრომლობა სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგებში. უახლოესი წლების მიზნები ითვალისწინებენ დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფას და იუსტიციის სფეროში რეფორმების გაგრძელებას. ძირითადი ყურადღება მიექცევა შესაბამის ქვეყნებთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების რეალიზაციას. სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მნიშვნელოვანი წინსვლა ასევე იქნება პროგრამის მომავალი დღის წესრიგის სათავეში. ენერგეტიკული კავშირები იქნება რეკონსტრუირებული, ენერგეტიკული უსაფრთხოება გამტკიცდება, რათა თანდათანობით მოხდეს აღმოსავლეთ პარტნიორების ინტეგრირება ევროკავშირის შიდა ბაზარში. ვილნუსის შეხვედრის მონაწილეები უმაღლეს დონეზე მიესალმებიან საქართველოსა და მოლდოვეთის ასოცირების შეთანხმებების პარაფირებას. დეკლარაციაში მიესალმებიან აზერბაიჯანთან სავიზო რეჟიმის გაადვილების შესახებ შე-

თანხმების ხელმოწერას და გამოიხატება იმედი, რომ მალე მოეწერება ხელი შეთანხმებებს რეადმისიის შესახებ. სამი-ტის მონაცილეებმა ასევე მიესალმეს პროგრესს, რომელიც მიღწეულ იქნა აზერბაიჯანთან მობილური პარტნიორობის გაფორმებას, ავიაციის შესახებ შეთანხმების მოპლაპარაკების მსვლელობა და აღნიშნეს აზერბაიჯანის სტრატეგიული როლი ევროპაში ენერგორესურსების მიწოდების დივერსი-ფიკაციაში.<sup>23</sup>

2014 წლის 14 ივნისს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილ-ჰამ ალიევმა ბაქოში გამართულ შეხვედრაზე ევროკომისიის თავმჯდომარესთან, განაცხადა, რომ „ჩვენ აქტიურად ვიმუ-შავებთ ჩვენი თანამშრომლობის ახალ ფორმატზე. დღეს ჩვენ ვრცლად განვიხილეთ თანამშრომლობის ეს პოტენცია-ლური ფორმატი. ევროპული კავშირი არის ჩვენი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი. თუ ვისაუბრებთ ექსპორტზე, ჩვენი ექსპორტის 80% განეკუთვნება ევროკავშირს.“ ევროკომი-სიის თავმჯდომარე უოზზე მანუელ ბაროზუ საპასუხოდ აღ-ნიშნა, რომ „ჩვენ არ უნდა მივიწეოდეთ აღმოსავლეთ პარ-ტნიორობის ჩარჩოებში ერთიანი მოდელის გამოყენებისაკენ ყველა სახელმწიფოს მიმართ. დარწმუნებული ვარ რომ

<sup>23</sup> Joint Declaration of the Eastern Partnership Summit, Vilnius, 28-29 November 2013. Eastern Partnership: the way ahead. <http://www.eu2013.lt/en/news/statements/-joint-declaration-of-the-eastern-partnership-summit-vilnius-28-29-november-2013>

მნიშვნელოვანია ავაგოთ ჩვენი თანამშრომლობა „აღმოსავ-ლეთ პარტნიორობის“ პრინციპებზე დამყარებით და დადგა დრო, რომ ჩვენი თანამშრომლობა განისაზღვროს კონკრეტული შედეგებით. პრეზიდენტი ი. ალიევთან ჩვენ მივაღწიეთ იმ შეთანხმებას, რომ მივცეთ იმპულსი სტრატეგიული მო-დერნიზაციის პარტნიორობის დოკუმენტის განხილვას და დააჩქარონ ის. ვიმედოვნებ, რომ ეს მოლაპარაკებები დას-რულდება უახლოეს თვეებში.<sup>24</sup>

2014 წლის 17 ივნის საქართველოს პრემიერ მინის-ტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა, ევროსაბჭოს თავმჯდომარე ჰერმან ვან რომპეი და ევროკომისიის თავმჯდომარე უოზე მანუელ ბაროზუმ ხელი მოაწერეს ბრიუსელში საქართვე-ლოს ასოცირებისა და სილრმისეული და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ შეთანხმებას. ის ით-ვალისწინებს თანამშრომლობის განმტკიცებას სხვადასხვა სფეროში, შიდა კანონმდებლობის მოყვანა ევროპული კა-ნონმდებლობასთან შესაბამისობაში, ევროკავშირთან ხელ-მომწერი ქვეყნისათვის ევროპული ბაზრის წვდომა.

\*\*\*

<sup>24</sup> იღვამ ალიევისა და ევროკომისიის თავმჯდომარის ქოზე მანუელ ბაროზუს განცხადებები პრესისათვის. 14 ივნისი 2014 წელი. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ოფიციალური ვებსაიტი <http://ru.president.az/articles/12078>

მაშასადამე, როგორც აღნიშნავენ მკლევარები, არც ევროპას, არც თვით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს არ აწყობს რეგიონალური კონფლიქტების არსებობა იქ სადაც იქმნება ტრანსკონტინენტალური სატრანსპორტო მაგისტრალები და ისხსნება ახალი შესაძლებლობები ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური თანამშრომლობისათვის. მსოფლიო ხდება სულ უფრო ღია და ურთიერთდამოკიდებული, და რეგიონალური წინააღმდეგობების გადაწყვეტის გაურკვევლობაში დატოვება, შემდგომზე გადადება უკვე არა მხოლოდ შეუძლებელია ჩვენთვის, არამედ არახელსაყრელია პლანეტის-თვის მთლიანობაში.<sup>25</sup>

სომხეთში სამწუხაროდ ვერ აცნობიერებენ რეგიონალური თანამშრომლობის ყველა უპირატესობებს და ვარაუდობენ, რომ იმის გამო რომ „სომხეთს აქვს პრეტენზიები ყველა მეზობელ ქვეყნის მიმართ (ირანის გარდა) მისი ტერიტორიის ხელყოფის გამო ან თანამემამულეების უფლებათა დარღვევის გამო, ეს ევროატლანტიკური აქტორების თვალში ამაღლებს მის გეოპოლიტიკურ ღირებულებას.“<sup>26</sup>

ნათელია, რომ სამართლიანი, ღირსეული გადაწყვეტა სომხეთ-აზერბაიჯანის, მთიანი ყარაბახისა და სამხრეთ კავ-

<sup>25</sup> გუსეინოვა ი. ევროპის გაფართოება და სამხრეთ კავკასია. „ცენტრალური აზია და კავკასია“. 31.08.2004, № 004, გვ.4.

<sup>26</sup> მ. აგაჯანიანი პროგრამი „დმიტსავლეთ პარტნიორობა“: სომხეთი „განწირულია“ ევროპულ წარმატებაზე. 19.02.2009.

<http://www.noravank.am/ru/?page=analytics&nid=1629>

კასიის სხვა რეგიონალური კონფლიკტების არის მთელი რეგიონის აღორძინების საფუძველი. აზერბაიჯანის პოზიცია მთლიანად დაფუძნებულია საერთაშორისო სამართალზე და შეესაბამება მის პრინციპებსა და კრიტერიუმებს. თუმცა სომხეთი, რომელიც სადაოდ ხდის ტერიტორიულ მთლიანობას, როგორც აზერბაიჯანის, ასევე რეგიონის სხვა ქვეყნებისაც, ამ სიტუაციის შენარჩუნების შემთხვევაში შესაძლებელია აღმოჩნდეს მსოფლიო ინტერაციული პროცესის გარეთ და დგას საშიშროების წინაშე დაკარგოს რეგიონალური თანამშრომლობის პერსპექტივები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

A Secure Europe in a Better Word. The European Security Strategy. Brussels, 12 December 2003.  
<http://www.consilium.europa.eu/uedocs/cmsUpload/78367.pdf>

Communication from the Commission to the Council and the European Parliament "Wider Europe — Neighbourhood: A New Framework for Relations with our Eastern and Southern Neighbours". Brussels, 11.3.2003 COM (2003) 104 final.  
<http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2003:0104:FIN:EN:PDF>

Communication from the Commission. European Neighbouring Policy. Strategy Paper. Brussels, 12.05.2004.  
[http://ec.europa.eu/world/enp/pdf/strategy/strategy\\_paper\\_en.pdf](http://ec.europa.eu/world/enp/pdf/strategy/strategy_paper_en.pdf)

Council of the European Union. Council conclusions on the

South Caucasus. 2985th Foreign Affairs Council meeting. Brussels, 8 December 2009. European Commission's site.  
[http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms\\_Data/docs/pressdata/EN/foraff/111816.pdf](http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_Data/docs/pressdata/EN/foraff/111816.pdf)

Eastern Partnership implementation well on track - 1 st Eastern Partnership Foreign Ministers meeting. Brussels, 8 December 2009. European Commission's site.  
<http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=IP/09/1891&format=HTML&aged=0&language=EN&guiLanguage=en>

EU summit text loaded with eastern tension. "EUobserver.com", 07.05.2009. <http://euobserver.com/9/28081>

European Parliament resolution of 20 May 2010 on the need for an EU strategy for the South Caucasus. 20 May 2010. Site of the European Parliament. <http://www.europarl.europa.eu/sides/get-Doc.do?type=TA&reference=P7-TA-2010-0193&format=XML&language=EN>

Joint Declaration of the Eastern Partnership Summit, Vilnius, 28-29 November 2013. Eastern Partnership: the way ahead.  
<http://www.eu2013.lt/en/news/statements/-joint-declaration-of-the-eastern-partnership-summit-vilnius-28-29-november-2013>

Joint Declaration of the Prague Eastern Partnership Summit. Prague, 7 may 2009. Council of the European Union. Brussels, 7 May 2009. 8435/09 (Presse 78). European Commission's site.  
[http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms\\_data/docs/pressdata/en/er/107589.pdf](http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en/er/107589.pdf)

Press Release 10189/04 (Presse 195). 2590th Council Meeting. 14.VI.2004 [http://ec.europa.eu/world/enp/pdf/enp-communication\\_72\\_2005\\_en.pdf](http://ec.europa.eu/world/enp/pdf/enp-communication_72_2005_en.pdf)

The EU's Eastern "Sphere of influence". Spiegel online. 05.06.2009.

<http://www.spiegel.de/international/europe/0,1518,623163,00.html>

The EU launches programme to forge closer ties with six countries in Eastern Europe and the Southern Caucasus. European Commission's site. External relations and foreign affairs - Neighbourhood policy. - 08.05.2009. [http://ec.europa.eu/news/external\\_relations/090508\\_en.htm](http://ec.europa.eu/news/external_relations/090508_en.htm).

"", No.4, 2004, . 41-47.

. 25 2012 . "The First News". <http://www.1news.az/analytics/201204250128-33907.html>

: . . ( . . . ), . , .  
., . . . . http://www.edc-aes.ru/site/ru/union.html

. 14 2014.

<http://ru.president.az/articles/12078>

<http://www.noravank.am/ru/?page=analitics&nid=1629>

“ . . . ”

19.02.2009.

”, 2010, 240 .

., “ . . . ”, 2005. 226 .

. 23

2013 . "The First News".

<http://www.1news.az/politics/20131023083919652.html>

Huseyn N.Najafov  
**Politics of the European Union towards the South Caucasus  
Countries at Modern Stage**  
Summary

The article analyzes the evolution of EU foreign policy in relations with the countries of the South Caucasus- Azerbaijan, Georgia and Armenia.

საქართველო-აზერბაიჯანის 1919 წლის  
ხელშეპრულება

კახაბერ სურგულაძე

1919 წლის 16 ივნისის საქართველოს და აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება თავისი შინაარსით სამხედრო-თავდაცვითი ხასიათის იყო. მისი ხელმოწერა დროის მოთხოვნით იყო განპირობებული და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ითვალისწინებდა კავკასიის სამი სახელმწიფოს (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) სამხედრო კონსოლიდაციას საერთო მტრის წინააღმდეგ.

აღნიშნული ხელშეკრულება ქართულ ისტორიოგრაფიაში სამწუხაროდ არ გამხდარა კვლევის საგანი. ასეთ ვითარებაში უკვე ინტერესს იწვევს ხელშეკრულების გარშემო აზერბაიჯანელ მეცნიერთა აზრი. ხელშეკრულების შესახებ თავიანთი პოზიცია დაფიქსირებული აქვთ სომების ისტორიკოსებსაც. უნდა შევნიშნოთ, რომ მათი პოზიცია ცალსახაა და ხელშეკრულების მნიშვნელობა მათ უარყოფითად აქვთ შეფასებული [Петровია, 2012].

საქართველო-აზერბაიჯანის შორის სამხედრო ხელშეკრულების გაფორმების წინა პირობად მიიჩნევა 1919 წელს კავკასიაში შექმნილი რთული საერთაშორისო და საშინაო ვითარება. ორივე სახელმწიფოში მიმდინარე შიდა პრობლემების, ურთიერთშორის ტერიტორიული დავების [Архипова, 2012:79-80], საქართველო-სომხეთის და აზე-

რბაიჯან-სომხეთის ომების გარდა, იყო საგარეო ფაქტორი, რომელიც ითხოვდა კავკასიაში არსებულ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას სამხედრო სფეროში. ამის გარდა, ჯერ თურქეთის, შემდეგ კი რუსეთის არმიის ყოფილი გენერლის ანტონ დენიკინის (1872-1947) მხრიდან კავკასიის მთიანი რესპუბლიკის დაპყრობის შემდეგ იქმნებოდა აზერბაიჯანის ანექსიის საშიშროება. თუმცა დენიკინის წინსვლის შეჩერება მაშინ კავკასიაში ინგლისის ჯარების ხელმძღვანელის გენერალ-მაიორის კორეის მეოხებით მოხერხდა და კიდეც გაივლო მაშინ აკრძალული სადემარკაციო ხაზიც [კავემზადე, 2010:233]. აქ არის ერთი დეტალიც, ანტიდენიკინურ ქმედებებს მაშინ სომხეთი არ შეუერთდა, რასაც გენერლის მხრიდან მოჰყვა საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური ბლოკადა.

საქართველოა-აზერბაიჯანს შორის სამხედრო ხელშეკრულებას წინ უსწრებდა მათი თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში. ამ მხრივ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ შეთანხმებას ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის ერთობლივ ექსპლუატაციის შესახებ (4.06.1918) [1:18], ბონების შესახებ (15.11.1918) [1:79], საქონელბრუნვის შესახებ (26.12.1918) [1:90], სატელეგრაფო შეტყობინებების შესახებ (3.01.1919) [1:98], საფოსტო შეტყობინებების შესახებ (4.01.1919) [1:100], საარკინიგზო შეტყობინენების შესახებ (8.03.2014) [1:144] და ა.შ.

უნდა შევნიშნოთ, რომ კავკასიელებს შორის რეგიონალური კოლექტიური თანამშრომლობის იდეის ინიცია-

ტორი საქართველოს მთავრობა იყო. მათ მიაჩნდათ, რომ საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის და ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკას შორის ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირებით ერთიანი ფრონტის შექმნით შესაძლებელი იქნებოდა კავკასიის შიდა პრობლემების (ტერიტორიული და სხვ.) და საგარეო, ამ შემთხვევაში დენიკინის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის ლიკვიდაცია.

ამ იდეის განხორციელების მიზნით, 1919 წლის 25 აპრილიდან 12 ივნისის ჩათვლით თბილისში მიმდინარეობდა საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის და ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლებს შორის რეგიონალური ურთიერთობის დარეგულირების კონფერენცია. უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს მთავრობის მხრიდან გაუდერებული იდეა იმთავითვე განწირული იყო. საქმე იმაშია, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის წარმომადგენლები ვერ გამოვიდნენ ურთიერთტერიტორიული პრობლემებიდან. ასე მაგ., აზერბაიჯანი სომხეთისგან მოითხოვდა დაცვას რუსული საფრთხისგან. პარალელურად, იგი ცდილობდა ყარაბახის და სხვა ტერიტორიების დაბრუნებას. ამის გარდა, სომხეთი იკვებებოდა დენიკინის მხრიდან მათი სახელმწიფოებრიობის აღიარების ილუზიური იდეებით. ასევე მათ ჰქონდათ თურქეთ-აზერბაიჯანის მხრიდან თავდასხმის შიშიც.

უნდა ითქვას, რომ მსგავსი დამოკიდებულებები უარყოფითად მოქმედებდა კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების პროცესზე. ასეთ ფონზე, ერთადერთი რა-

საც კონფერენციამ მიაღწია იყო ერის თვითგამორკვევის პრინციპიდან გამომდინარე არბიტრაჟის მეშვეობით მომავალში სასაზღვრო დავების გადაწყვეტის პირობა.

ცხადია, კონფერენციაზე გაუღერებული სხვადასხვა პოლიტიკური პოზიციის გამო, ასევე დენიკინის მხრიდან მზარდმა საშიშროებამ, აიძულა საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობები, რეალობიდან გამომდინარე ისინი მაინც გამოსულიყვნენ ერთიანი ფრონტით. ამიტომაც ორივე ქვეყნის წარმომადგენლებმა 1919 წლის 16 ივნისს, თბილისში, ხელი მოაწერეს საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მთავრობებს შორის სამხედრო-თავ-დაცვით ხელშეკრულებას.

საერთოდ, შეთანხმების ტექსტი შედგენილი იყო ტრადიციული ფორმით. იგი შედგებოდა 12 პუნქტისგან და შესრულებული იყო ორ პირად, რომლებსაც ორიგინალის სახე ჰქონდა. ტექსტში განსაზღვრული იყო მოლაპარაკე სახელმწიფოების ერთობლივი ვალდებულებები და-მოუკიდებლობის დაკარგვის ანდა ტერიტორიული ხელშეუხებლობის დროს.

ხელშეკრულება ითვალისწინებდა სასაზღვრო დავების მოგვარებას ურთიერთშეთანხმებით ან არბიტრაჟის შეშვეობით, რომელთა დასკვნა სავალდებულო იქნებოდა ორივე მხარისთვის. შეთანხმება ითვალისწინებდა ე.ნ. ხალხთა ლიგის შექმნის საკითხს, რის შემდეგაც საქართველო-აზერბაიჯანის არსებული შეთანხმება ძალადაკარგულად ჩაითვლებოდა.

უნდა შევნიშნოთ, რომ წინამდებარე შეთანხმების ტექსტი რატიფიცირებისთვის გადაეცა დამფუძნებელ კრებას. ასევე განისაზღვრა, რომ აზერბაიჯანის მხრიდან ხელმოწერის დღიდან 2 კვირის ვადაში მოხდებოდა ბაქოში რატიფიკაციის გაცვლა.

საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო-თავდაცვით ხელშეკრულების ტექსტს საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერეს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭ-კორმა, სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა, სამხედრო მინისტრის თანაშემწემ გენ. იო-სებ გედევანიშვილმა და სამხედრო საბჭოს წევრმა გენ. ილია ოდიშელიძემ. რაც შეეხება აზერბაიჯანის მხარეს, მათგან ხელი მოაწერეს საგარეო საქმეთა მინისტრმა მა-მედ-იუსუფ ჯაფაროვმა, სამხედრო მინისტრმა გენ. სა-მედ-ბექ მეხმანდაროვმა და გენერალური შტაბის უფროს-მა გენერალ-ლეიინტენატმა მატვეი სულკევიჩმა.

წინამდებარე შეთანხმება დაიდო 3 წლით, მაგრამ განისაზღვრა, რომ აღნიშნული ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე მოლაპარაკე მხარეებს მიეცა უფლება სუ-რვილისამებრ გააგრძელოს ხელშეკრულება ახალი ვადით ან უარი თქვან მასზე. ასევე, პრაგმატული პოზიციებიდან გამომდინარე, კავკასიის შიდა ვითარების გათვალისწინებით, მოლაპარაკე მხარეებმა სომხეთს მისცეს სამხედრო კავშირში განევრიანების ორკვირიანი ვადა [Каземзаде, 2010:234]. სამწუხაროდ, დენიკინთან თავიანთი ილუზიური

დამოკიდებულების გამო მათ არ მიიღეს აღნიშნული წინადადება.

წყაროების სიმცირის გამო ჩვენ არ შეგვიძლია სრულად ვისაუბროთ ხელშეკრულებიდან გამომდინარე განხორციელებული კონკრეტული პრაქტიკული ნაბიჯების შესახებ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელშეკრულების რატიფიცირების მიუხედავად, საქართველო-აზერბაიჯანის სადავო სასაზღვრო საკითხების გადაწყვეტა შეჩერდა. სამეცნიერო ლიტერატურაში საზღვრის სადავო მონაკვეთის გადაუჭრელობის მიზეზად მოტანილია რეგიონში შექმნილი პოლიტიკური ვითარება [Архипова, 2012:80].

ხელშეკრულებამ ორივე ქვეყნებს შესაძლებლობა მისცა სამხედრო სფეროში დაწყოთ თანამშრომლობა. ასე მაგ., საქართველოში არსებული სამხედრო პოტენციალის გათვალისწინებით, თბილისში ინტენსიურად დაწყებულა აზერბაიჯანელი კადრების მომზადება. ერთ-ერთი ასეთი სფერო ყოფილა სამხედრო ავიაცია, სადაც აზერბაიჯანის მხრიდან ავია კურსებზე ფორმირებული იყო 9 მფრინავ-კურსანტი [История, 2012:11].

სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამხედრო თანამშრომლობის სხვა მაგალითების დასახელება. 1919 წლის 16 ივნისის ხელშეკრულება, რომელიც ქმნიდა კავკასიის სტაბილურობის ილუზიას, სომხეთ-აზერბაიჯანის ომის, ასევე თურქეთ-ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობის გამო და ბოლოს რუსე-

თის მხრიდან აზერბაიჯანის ანექსიის გამო, მნიშვნელობა დაკარგა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

( ), 1998;

.., 2012, 2 (22), c. 76-83;

XX , The Caucasus and Globalization, . 1, .  
 1, 2006, 196-205;

: C p  
 : . x , , 2012;  
 „ (1917–1921).

C , 2010;

„  
 2 , c. 54-71 ([http://hpj.asj-  
 oa.am/2863/1/2010-3\(54\).pdf](http://hpj.asj-oa.am/2863/1/2010-3(54).pdf))

„  
 (1918 – 1920 .), , 2012.

Kakhaber Surguladze

## Georgian-Azerbaijan Agreement of 1919

Summary

Georgian-Azerbaijan military-defense agreement of 16<sup>th</sup> June 1919 was reached because of the time demand and implied the consolidation of three Caucasian States (Georgia, Armenia, and Azerbaijan) against the mutual enemy.

Unfortunately, because of the political position of Armenia, internal situation in the Caucasus in general and the annexation of Azerbaijan by Russia eliminated the significance of that agreement.

**1919**

16            1919 ,

, - , ,  
,

ოფშორის გეოპოლიტიკა  
(ზოგიერთი ასპექტი)

ირაკლი გორგილაძე

ოფშორული ზონა ანუ დასავლეთის მიერ სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე „სასიცოცხლო ზონების დაკავება“ ფინანსური და საწარმო აქტივების ხელში ჩაგდების, სახელმწიფოს ინტელექტუალური და ბუნებრივი რესურსების ათვისების მიზნით - ასე განმარტავს „ოფშორის სისტემას“ დასავლელი და არა მარტო დასავლელი მკვლევარების ერთი ნაწილი.<sup>27</sup> ფაქტია, რომ ოფშორის გეოპოლიტიკა როგორც მსოფლიო პოლიტიკის ასევე ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი გახდა და ანალიტიკური წრეების ინტერესების სფეროდ იქცა.

ცივი ომის პირველ ეტაპზე ოფშორული ბიზნესი ახალი გეოპოლიტიკის (გეოეკონომიკის) შემადგენელი ნაწილი გახდა, რომელიც ტრადიციული მიდგომებისგან განსხვავებით აქცენტებს სახელმწიფოს ეკონომიკურ ძლიერებაზე აკეთებდნენ. მალე ოფშორები დასავლეთისთვის მსოფლიო ეკონომიკური სივრცის დაპყრობის ფორპოსტებად იქცა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა ეროვნულ ტრანსაციონალურ კორპორაციებს ოფშორების

<sup>27</sup> Offshore Financial Centers IMF Background Paper. Prepared by the Monetary and Exchange Affairs Department June 23, 2000

აღნიშნული მიზნებში გამოყენების უფლება მისცა. პირველი მსგავსი ფორმოსტები შეიქმნა ბრიტანეთის ყოფილ კოლონიებში ან ახალ, დამოუკიდებელ ზღვისიქითა ტერიტორიებზე: სინგაპური, ჰონკონგი, კიპროსი, მალტა, გიბრალტარი, ბაჰამა, ბერმუდი, ბრიტანული ვირჯინისა და კამბანის კუნძულები, ანტიგუა და მავრიკია. აგრეთვე აშშ დამოკიდებულ ქვეყნებში (პანამა, ლიბერია, მარშალის კუნძულები და სხვ.).

მეორე ეტაპზე გლობალიზაციის პირობებში ოფშორული ბიზნესი მსოფლიო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი გახდა. გადასახადების მინიმიზაციისა და კერძო კაპიტალის დაცვის მიზნით მან სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელსაყრელი გარემო შექმნა. დღეს ბევრ დასავლურ ბანკებს გააჩნიათ შვილობილი ფილიალები ოფშორულ ზონებში სადაც სხვადასხვა მონაცემებით 11,5 ტრილიონი დოლარი ინახება, რაც მსოფლიო საბანკო დეპოზიტების მესამედს შეადგენს.<sup>28</sup>

ნიშანდობლივია, რომ გლობალური კონკურენციის პირობებში, გარკვეულ ეტაპზე, აუცილებელი გახდა მეტოქეთა ნეიტრალიზება. საბჭოთა კავშირის დაშლისა და ერთპოლუსიან სამყაროზე შესაძლო გადასვლის პირობებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (ებრაული ორგანიზაციების დახმარებით) დაიწყო ინფორმაციული შეტევა ნეიტრალურ ბლოკის არაწევრი ქვეყნების მიმართ, მათ შორის კლასიკური

<sup>28</sup> Offshore Voluntary Disclosure. Comparative analysis, Guidance and Policy. report OECD September 2010

ოფშორების ჩათვლით, ისეთების როგორებიც არიან შვეიცარია, ლიხტენშტეინი და ლუქსემბურგი. მათ კიდევ ერთხელ შეახსენეს ისტორიული წარსული - ფაშიზმისთვის ხელშეწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ნეიტრალური, ბლოკის არაწევრი ქვეყნის მიმზიდველი ნიმუში ვაშინგტონის ერთპოლუსიანი არქიტექტურისთვის მიუღებელი იყო. იმ ეტაპზე მთავარ ამოცანას რუსეთიდან ისევე როგორც პოსტსაბჭოთა სისტემის ქვეყნებიდან ფინანსური ნაკადებისა და აქტივების კონტროლზე აყვანა წარმოადგენდა.

აქ ეფექტური ოფშორული გეოპოლიტიკის წარმოება შესაძლებელი გახდა ქვეყნის შიგნით გავლენიანი აგენტების - ფიზიკური პირებისა და კორპორაციული კრიმინალურ-კორუმპირებული ჯგუფების მეშვეობით, რომლებიც დასავლეთის გეოპოლიტიკურ პროექტებს საკუთარი „ოჯახების“ ლეგიტიმურობის სანაცვლოდ ლობირებენ. მათი მოღვაწეობა, ერთი გეოპოლიტიკური სისტემის მეორეთი შეცვლის მიზნით ეროვნული უსაფრთხოების პოზიციიდან შესაძლებელია შეფასდეს, როგორც შპიონაჟი და სახელმწიფოს დესტაბილიზაციისკენ მიმართული ქმედება. გეოპოლიტიკური აგენტურის ზემოქმედება, მასშტაბები და კომპეტენციები რათქმა უნდა აღემატება სპეცსამსახურების დაზვერვით სტრატეგიებს.

ახალი ქსელური გეოპოლიტიკური ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა მოისყიდო სახელისუფლებლო ელიტის ნაწილი და დემოკრატიული გზით მოახდინო გავლენის ახა-

ლი აგენტების დანერგვა იქ. როგორც წესი, ცივილიზებულ ქვეყნებში ისინი კვალიფიცირებულნი არიან, როგორც ეროვნული ინტერესების გამყიდველები. სწორედ ეს განასხვავებს მათ პრინციპულად სამშობლოს მოღალატეებისგან. ამ უკანასკნელის მომსახურება გაცილებით ძვირია, და მისი არსებობა კონსპირაციულობას მოითხოვს. გავლენის აგენტებს ხშირად დემოკრატიის „საყრდენს“ ან „ქარიშხალას“ უწოდებენ. ისინი შეირჩევიან ფიზიკური პირებში რომელთაც არასრულფასოვნების კომპლექსები ახრჩობთ და ადგილობრივი „მეხუთე კოლონის“ ავანგარდს ემსახურებიან (მათ შორის, პოპულისტები, ავანტიურისტები, კორუმპირებული ჩინოვნიკები და კრიმინალური ავტორიტეტები).

სტატიაში განვიხილავთ ოფშორული ზონების რამდენიმე ავანგარდს და შევეცდებით გავაანალიზოთ მისი გეოპოლიტიკური ფაქტორები.

ოფშორული გეოპოლიტიკის აბსოლუტური ლიდერია ინგლისი, როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად სტაბილური ქვეყანა. ამასთან ლონდონს სამართლიანად უწოდებენ მსოფლიოს საქმიან დედაქალაქს, სადაც ერთმანეთს კვეთს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფინანსური და მატერიალური ნაკადები. გაერთიანებული სამეფოს საკანონმდებლო ბაზა, „ინგლისური სახის“ არგადამხდელი კომპანიების დაფუძნების საშუალებას იძლევა, რომლებიც დაცულნი არიან ე.ნ. „შავი სიისგან“.

2002 წელს ინგლისელმა კანონმდებლებმა „დამოვიდებული ტერიტორიები“ გაერთიანებული სამეფოს ზღვისიქითა ტერიტორიების სტატუსით ჩაანაცვლეს და იქ მცხოვრებ ადამიანებს ინგლისის მოქალაქეობა მიანიჭეს. მათ შორის ოფშორულ გეოპოლიტიკაში განსაკუთრებულ, მებაირალეს როლს ვირჯინის კუნძულები ასრულებენ. აქ ძირითად ვალუტას ამერიკული დოლარი წარმოადგენს. ბრიტანეთის ეს ზღვისიქითა ტერიტორია განსაკუთრებული პოლიტიკური სტაბილურობით გამოირჩევა, რომელიც პირველყოვლისა გარანტირებულია ლონდონისა და რა თქმა უნდა კარიბის ზღვის განვითარებული ეკონომიკით, ეკონომიკური სპეციალიზაციის მთავარ სფეროს აქ ტურიზმი და ოფშორული ბიზნესი წარმოადგენს.

„ზღვისიქითა ტერიტორიები“ ვირჯინის კუნძულებზე დასავლეთს, ცალკეულ სახელმწიფოთა იმ ლიდერების მანიპულაციისა და კონტროლის საშუალებას აძლევს რომელთაც სახელმწიფო რესურსებით „ბიზნესის“ კეთების ცდუნებას ვერ გაუძლეს. უნდა ვივარულდოთ, რომ იგივე დასავლეთის (აშშ) სპეცსამსახურები ყველაფერს აკეთებენ კორუმპირებული რეჟიმების კონსპირაციულობისთვის და უხანგრძლივებენ მათ ლეგიტიმურობას მანამ, ვიდრე ისინი ეროვნული რესურსების გადაქაჩვაში არ შეუშლიან ხელს.

ოფშორულ ბიზნესში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს კვიპროსიც, უმსხვილესი საგადასახადო თავშესაფარი პოს-

ტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური ელიტებისთვის. XX საუკუნის 70-იან წლებში ეთნიკური კონფლიქტის, სახელმწიფო გადატრიალებისა და თურქეთის მიერ ჩრდილოეთი ნაწილის ოკუპაციის შედეგად კვიპროსი ორ ნაწილად გაიყო. მწვანე ზოლის ჩრდილოეთით ცხოვრობენ კვიპროსელი თურქები, ხოლო სამხრეთით კი კვიპროსელი ბერძნები. დროთა განმავლობაში აქ ცხოვრების დონის მკვეთრი დიფერენციაცია დაიწყო. ორთემიანი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის კომპრომისის არარსებობის პირობებში სამხრეთით (ბერძნულ ზონაში) „საგადასახადო პრეფერენციების ნავსაყუდელისა“ და საერთაშორისო ტურიზმის განვითარების წყალობით შესაძლებელი გახდა „ეკონომიკური სასწაულის“ მოდელის ფორმირება.

კვიპროსზე დარეგისტრირებულია დაბალი საგადასახადო კოეფიციენტის დაახლოებით 30 000 ოფშორული ფირმა. კვიპროსის ოფშორებში გაედინებოდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ჩრდილოვანი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი.<sup>29</sup>

2004 წელს კვიპროსის ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ, კუნძული ამოღებული იქნა ოფშორების „შავი სიიდან“ და აღიარებულ იქნა საერთაშორისო საგადასახადო

<sup>29</sup> The 2009 Offshore Voluntary Disclosure Initiative Increased Taxpayer Compliance, but Some Improvements Are Needed. September 21, 2011 Reference Number: 2011-30-118

სტანდარტების სუბიექტად. მან დაკარგა მანამდე მიმზიდველი „ბინძური ფულის“ გათეთრების კუნძულის სტატუსი და საერთაშორისო საქმიანი და ფინანსური ცენტრის სახელი მოიხვეჭა, შედეგად აღმოსავლეთ ევროპის ბევრმა ქვეყანამ ორიენტირები ამ მიმართულებით შეცვალეს. დაახლოებით 30%-მდე რუსულმა კომპანიამ დატოვა ქვეყანა და ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე ან კიდევ უფრო მოშორებით, ოკეანეთში გადაინაცვლეს. ამ მიმართებით განსაკუთრებით პოპულარული გახდა ოკეანეთის კუნძულოვანი სახელმწიფოს იურისდიქცია - ვანუატუ. ამ უკანასკნელის დედაქალაქ პორტ-ვილაში წარმატებით მოქმედებს ოფშორული საფინანსო ცენტრი. ქვეყნის ხელისუფლება იმდენად მოიხიბლა რუსული კაპიტალის არსებობით სახელმწიფოში, რომ საპასუხოდ აფხაზეთის დამოუკიდებლობა სცნეს.

ოფშორული ბიზნესი საკმაოდ მიმზიდველი გახდა რეზიდენტებისთვის აღმოსავლეთ ევროპიდან, სადაც კაპიტალს არალეგალური წარმომავლობა გააჩნია. აქ ოფშორული გეოპოლიტიკა საკმაოდ ფართო პრეფერენციებს იძლევა, რომელთა შორის მთავარი მესაკუთრეთა შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობაა. ოფშორის ბიზნესი სახელმწიფო ბიუჯეტებისთვის, პოსტსაბჭოთა სივრცეში „საგადასახადო ხვრელად“ იქცა. ფაქტია, რომ მან არა თუ ვერ გადაჭრა მთავარი პრობლემა - კაპიტალის საზღვარგარეთ გადინება, პირიქით სავალუტო კანონმდებლობის სისუსტის ან/და

დარღვევების წყალობით გაზრდილი შემოსავლების წყაროდ იქცა.

ამრიგად თანამედროვე ოფშორული გეოპოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან რესურსების გადაქარგვის ახალ „ცივილიზაციური“ გზების ძიებაშია. სწორედ მას ეკუთვნის ამ უკანასკნელის მსოფლიო პერიფერიად (რესურსების პროტოკლურიატი) ქცევის იდეა. დღეს ოფშორი წარმოადგენს უმსხვილეს ინსტიტუტს, რომლის მთავარი მიზანი სახელმწიფოთაშორის, მსხვილი კერძო და უცხოური კაპიტალის, უმაღლესი თანამდებობებისა და კორუმპირებული ჩინოვნიკების თუ პოლიტიკოსების „დაძმობილებაა“. ამიტომ ქვეყნის მთავარი სტრატეგია „მოსალოდნელი სიურპრიზების“ თავიდან ასაცილებლად, ვუიქრობთ სტრატეგიული საწარმოებისთვის ოფშორული იურისდიქციის გამოყენების აკრძალვაშია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

Offshore Financial Centers IMF Background Paper. Prepared by the Monetary and Exchange Affairs Department June 23, 2000

Offshore Voluntary Disclosure. Comparative analysis, Guidance and Policy. report **OECD** September 2010

The 2009 Offshore Voluntary Disclosure Initiative Increased Taxpayer Compliance, but Some Improvements Are Needed. September 21, 2011 Reference Number: 2011-30-118

Irakli Gorgiladze

## Geopolitics offshore

### Summary

Historically, offshore companies were broadly divided into two categories. On the one hand were companies which were statutorily exempt from taxation in their jurisdiction of registration provided that they did not undertake business with persons resident in that jurisdiction. Such companies were usually called International Business Companies, or IBCs. Such companies were largely popularized by the British Virgin Islands, but the model was copied widely. However, in the early 2000s the OECD launched a global initiative to prevent "ring fencing" of taxation in this manner, and many leading jurisdictions (including the British Virgin Islands and Gibraltar) repealed their International Business Companies legislation. But IBCs are still incorporated in a number of jurisdictions today including Anguilla and Panama.

Separately from IBCs, there are countries which operate tax regimes which broadly achieve the same effect: so long as the company's activities are carried on overseas, and none of the profits are repatriated, the company is not subject to taxation in its home jurisdiction. Where the home jurisdiction is regarded as an offshore jurisdiction, such companies are commonly regarded as offshore companies. Examples of this include Hong Kong and Uruguay. However, these tax regimes are not limited to conventional offshore

jurisdictions: the United Kingdom operates on broadly similar principles in relation to taxation of companies.

(                        )

— «  
»

,

«                        »,

«                        »

(                        ),

,

: , , , ,  
, , ,  
, , ,  
. , .)  
,

საქართველოში ელექტრონული მგაროველობის  
ფორმირების ინსტრუმენტაციური ბაზა

გენადი იაშვილი  
ირაკლი მანველიძე

საჯარო ხელისუფლების ღიად საქმიანობის ვალდებულება და მოქალაქეების წინაშე არსებული ანგარიშვალდებულის შესრულების აუცილებლობა დემოკრატიული, სამრთალებრივი სახელმწიფოს აუცილებელი პირობაა. სწრაფად განვითარებადი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფონზე იზრდება მისი გავლენა და როლი სახელმწიფოს მართვის სხვადასხვა დონეებზე. ელექტრონული რესურსების ეფექტური გამოყენებით შესაძლებელია ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივება, პირდაპირი კომუნიკაციის აგება, აზრთა ურთიერთგაცვლა და მთავრობის მეტი ღიაობის უზრუნველყოფა, საბოლოო ჯამში კი ელექტრონული/ციფრული დემოკრატიის განვითარება. მით უფრო, რომ დღეისათვის ნებრისმეირ სახელმწიფოში ელექტრონული მმართველობის განვითარების ხარისხი არის ქვეყნის განვითარების დონის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი. ვინაიდან ელექტრონული მმართველობა ეფუძნება ინფორმაციისა და კომუნიკაციათა ტექნოლოგიების გამოყენებას ქვეყნის მართვის პროცესში. ის მოიცავს როგორც ადგილობრივ თვითმმართველობას, ასევე სახელმწიფო მმართვე-

ლობას ეროვნულ დონეზე და უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს [1].

ელექტრონული მმართველობის განვითარება საქართველოს მთავრობის სტრატეგიული მიმართულებაა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამ მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კოორდინირებით შეიქმნა მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა, რამაც შესაძლებელი გახადა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების საინფორმაციო სისტემების თავსებადობა და ამ უწყებებს შორის მონაცემთა ურთიერთგაცვლის მოქნილი პლატფორმის ამოქმედება. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შექმნამ თავის მხრივ განაპირობა სხვადასხვა ელექტორნული მომსახურების ამოქმედება, რომელთა აქტიური გამოყენებაც კომფორტს უქმნის როგორც მოსახლეობას, ისე დიდი ფინასური დანაზოგი მოაქვს მთავრობისთვის.

2007 წელს მაგთიკომმა გაიმარჯვა საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულ სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ერთიანი საკომუნიკაციო ქსელის შექმნის ტენდერში. 2008 წლის 3 ნოემბერს კომპანიამ ქსელის გამართვა დაასრულა და მთელი საქართველოს მასშტაბით, ერთიან სამთავრობო ქსელში, სხვადასხვა უწყების და სამინისტროს 400 ობიექტზე მეტი ჩართო. უახლეს ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ერთიანი სამთავრობო ქსელი ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი და დაცული კომპიუ-

ტერული – VPN ტიპის ქსელის შექმნას, რომელიც, online რე-ჟიმში ერთმანეთთან აკავშირებს სამთავრობო სტრუქტუ-რებს, შესაძლებელს ხდის ყველა ტიპის ციფრული მონაცე-მების მიმოცვლას ცენტრალურ და რეგიონალურ უწყებებს შორის, მნიშვნელოვნად ამცირებს სახელმწიფო უწყებების საკომუნიკაციო ხარჯებს: აძლევს მათ იაფი და მაღალსიჩქა-რიანი ინტერნეტითა და ინტრანეტით სარგებლობის საშუა-ლებას. ერთიანი სამთავრობო ქსელი საქართველოში ელექ-ტრონული მმართველობის დანერგვის შესაძლებლობას იძ-ლევა.

ელექტრონული მმრთაველობის ფორმირება, მისი ფუნქციონირების ინსტრუმენტალური ბაზის სრულყოფი-ლება უნდა იყოს სახელმწიფოს საინფორმაციო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელმაც თავი-სი გამოხატულება უნდა ჰპოვოს სახელმწიფოს საინფორმა-ციო პოლიტიკის კონცეფციაში, რომელიც სამწუხაროდ დღემდე არ შემუშავებულა.

საქართველოში ელექტრონული მმართაველობის და-ნერგვისა და განვითარების მიმართულებით შემუშვადა სამი მნიშვნელოვანი კონცეპტუალური დოკუმენტი: საქართვე-ლოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო კონცეფცია, ელექ-ტრონული მთავრობა საქართველოსათვის: არსი, აქტუალო-ბა, შექმნის პერსპექტივები და შესაძლებლობანი- კონცეფ-ცია და ელექტრონული საქართველოს სტარტეგიული დო-კუმენტი. პირველი ორი კონცეფცია შემუშავდა ვ. ხუსუნაიშ-

ვილის სახელობის „ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის“, ხოლო მე-სამე დოკუმენტი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ.

ელექტრონული მმართველობის ინსტიტუციონალური უზრუნველყოფის საფუძვლებში ერთის მხრივ, გვევლინება ელექტრონული მმართველობის სისტემის ყველა - ცენტრალური, რეგიონალური და მუნიციპალური დონის ორგანოების მოდელების შექმნა, რომელთა შორის განსაზღვრული და გარკვეული იქნება კომპეტენციები, ურთიერთკავშირები, ურთიერთქმედების მექანიზმები და ა.შ. ხოლო მეორეს მხრივ, ელექტრონული მმართველობაზე დაფუძნებული საჯარაო სამსახურის ლოგიკური მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც გულისხმობს საჯარო სამსახურის სტრუქტურის ფუნქციებთან და კომპეტენციებთან ლოგიკური კავშირის, საჯარო მოსამსახურების საქმიანობის და შესაბამის პროცედურათა ალგორითმის, საჯარო სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის რაციონალური წესების, ელექტრონული მთავრობის საქმისწარმოების სტანდარტების და ა.შ. დაწესებას. ამავე დროს არ უნდა დაგვავინყდეს ელექტრონული მთავრობის რეალიზების გზაზე არსებული ისე ბარიერები და გამოწვევები, რომლებიც სწორედაც, რომ ისეთი ინსტიტუციონალური ფაქტორებით არის განპირობებული, როგორებიცაა: გამოწვევბი IT მოწყობილობების გამოყენების გზაზე; სირთულე კომუნიკაციურ პროცესში; სა-

ზოგადოებრივი სექტორის სისუსტეები; მოძველებული სისტემა; IT ინფრასტრუქტურის კონსტრუქცია; უსაფრთხოების მექანიზმების ხელშეწყობა; ინტეგრირება; ელექტრონული მთავრობის ინტეგრაციის ტექნოლოგიური სირთულეები, შეზღუდვები ელექტრონული მთავრობის პარამეტრების, ფუნქციების, სტანდარტების, ხარისხის შეფასების მეთოდებისა და მაჩვენებლების შემუშავებასა და განსაზღვრაში; მუდმივი ელექტროენერგიის, ტელეკომუნიკაციის, ინტერნეტწვდომის, საიმედო ტექნიკური უსაფრთხოების კონტროლის განხორციელების, პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური სერვისის საჭიროებისას IT ცენტრების მომსახურების სირთლეები და წინააღმდეგობები [2].

ადსანიშნავია, რომ ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით მუშაობის განხორციელებისათვის გარკვეული საფუძვლები უკვე შეიქმნა, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ამ კუთხით მუშაობის გააქტიურებისათვის. კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შექმნილია კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი, რომელის პირდაპირი ფუნქცია არის ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა, ასევე სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინოვაციების სფეროს განვითარებისა და სრულყოფის სტრატეგიის, პროგრამების, კიბერ და საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკის, ქვეყანაში საინ-

ფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების პოლიტიკის შემუშავება, განხორციელებაში მონაწილეობა და მონიტორინგი. სახელმწიფოს საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვასა და ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით სახელმწიფოს გამართულ ფუნქციონირებას ხელს უწყობს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „**სმართ ლოჯიქი**“ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ „**მონაცემთა გაცვლის საგენტო**“, რომლის მთავარი მიზანი ელმმართველობის განვითარებაა. კიდევ ერთი უწყობა, რომელიც ამავე სამინისტროს ფარგლებში საქრთველოში ელ-მთავრობის განვითარებას უწყობს ხელს არის **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** [3].

უკანასკნელი წლების განმვალობაში საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის პროცედურების გამარტივება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოიყენება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემები, რომელებიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს სახლიდან თუ სამუშაო ადგილიდან გაუსვლელად დისტანციურად, ერთი ფანჯრის პრიონციპით ისარგებლოს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების მომსახურებით. ამ კუთხით აღსანიშნავია მოქალაქის პორტალი [my.gov.ge](http://my.gov.ge). მოქალაქის პორტალი არის საუკეთესო საშუალება იმისთვის, რომ მაქსიმალურად გამარტივდეს მო-

ქალაქეს, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა და ეს ურთიერთობა იყოს მაქსიმალურად მარტივი, კომფორტული და უსაფრთხო.

ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე შეიქმნა ინფორმაციული სისტემების ერთიანი სახელმწიფო რეესტრი. ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრი არის რეესტრის სუბიექტის მონაცემთა ბაზების, რეესტრების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების ერთიანი კატალოგი, რომლის მიზანია საქართველოს საჯარო სექტორში არსებული საინფორმაციო რესურსების აღწერა, ინფორმაციასთან მუშაობის ერთიანი სტანდარტების დადგენა, ინფორმაციული სისტემების კოორდინაცია და თანამიმდევრული განვითარების ხელშეწყობა, აგრეთვე ერთიანი ინფორმაციული პოლიტიკის ხელშეწყობა და საჯარო რესურსების ეფექტიანად გამოყენება.

სამწუხაროდ, ზემოთხსენებული ელექტრონული მმართველობის შესახებ დოკუმენტები არ არის ჯერ რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ და, შესაბამისად, არაა ჩამოყალიბებული განხორციელების ვადები, ფინანსური რესურსები თუ მაკონტროლებელი ორგანოები. კონცეფციები და დოკუმენტები მხოლოდ საჯარო განხილვის დონეზეა, რაც, აფერხებს ქვეყნის შემდგომი ინფორმატიზაციისა და ელექტრონული მმართველობის პროცესის დროულ განვითარებას.

საქართველოს საკანონმდებლო აქტებში არის რიგი ნორმებისა, რომლებიც ადგენენ ელექტრონული მმართველობის ფუნქციონირების ცალკეულ სამართლებრივ საფუძვლებს. პირველ რიგში ესაა ელექტრონული ფორმით ზოგიერთი სახელმწიფო პროცედურის განხორციელება, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა და ა.შ.

საქართველოს სხვადასხვა სამართლებრივი აქტების შესწავლით ჩანს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოების მხოლოდ ნაწილი ცდილობს სერვისებზე თუ კომუნიკაციაზე ორიენტირებული საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებას. შესაბამისად, საქართველოს რეალობაში შეიძლება ვისაუბროთ ამა თუ იმ სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში მოქალაქეებთან ელექტრონული კომუნიკაციის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის არსებობის შესახებ. რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იმ ნორმათა ერთობლიობას, რომელიც არეგულირებს საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-რესურსების თუ სხვა საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით ამ დაწესებულებების მმართველობის სფეროში არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული სახით გამოქვეყნებას და ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას[4].

აღსანიშნავია, რომ მსგავსი სამრთლებრივი ბაზის არსებობა ჩვენს ქვეყნაში უფრო განპირობებულია არა ელექტრონული მმართველობის დანერგვის და განვითარების მი-

მართულებით მიზანმიმართულ, ხელშემწყობ ქმედებად, არამედ საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებად აღიარებამ და, აქედან გამომდინარე საჯარო ხელისუფლების ღიად საქმიანობის ვალდებულებითა და მოქალაქეების წინაშე არსებული ანგარიშვალდებულის ამ გზით შესრულების აუცილებლობით.

სახელმწიფოს მიერ ელექტრონული სერვისების მიწოდებას გარკვეულწილად არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა. შიდაუწყებრივი და სხვა სახის სამართლებრივი აქტებით უზრუნველყოფილია სხვადასხვა დოკუმენტის მიღება/მიწოდება და ასევე საჯარო დაწესებულების სხვადასხვა მომსახურების მიღება ელექტრონული ფორმით. ან კიდევ ეტაპობრივად იზრდება როგორც სახელმწიფო ასევე ბიზნეს სექტორში ელექტრონული სერვისების მოხმარების წილი და შესაბამისად სქართველოს ელექტრონული სერვისების ბაზარი. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო არ ჩამორჩეს კერძო სექტორს და ელექტრონულ „ბაზარზე“ წარმდგენილი სერვისები მეტად ხელმისაწვდომი გახადოს მოქალაქეებისათვის [4].

ელექტრონული ფორმით სახელმწიფო მომსახურების ცალკეული საკითხები რეგულირდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს საბაჟო კოდექსის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის, ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის, ასევე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, ცალკული სახელმწიფო უწყებების თუ ქვეუწყებების სამართლებრივი აქტების (ბრძანებულებები, დადგენილებები, განკარგულებები) საფუძვლებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო მომსახურების სპეციტრი შეზღუდულია და არ მოიცავს ყველა სახელმწიფო ორგანოების მიერ ელექტრონული პროცედურების განხორციელებას. ასევე აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ყველა სახელმწიფო მომსახურების წარმოდგენა ელექტრონული სახით. ამ მიმართულებით ცალკეული უწყებები შეიმუშავებენ სახელმწიფო მომსახურების განხორციელების საკუთარ რეგლა-

მენტს. ამ კუთხით შეიძლება აღინიშნოს საქართველოს იუსტიციის და ფინანსთა სამინისტროები.

საქართველოში ელექტრონულ მმართველობა სრულყოფილ სამართლებრივი რეგულირების საჭიროებას. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო მმართველობის ელექტრონულ ფორმაზე გადაყვანა საწყის სტადიაზე იმყოფება. არსებითია ის გარემოება, რომ მოცემულ ეტაპზე არსებული სამართლებრივი ბაზა თანაბარნილად დაბალ დონეზეა წარმოდგენილი როგორც სახელმწიფო ორგანოებისათვის და საჯარო მოხელეებისათვის, ასევე მოქალაქეებისათვის და ბიზნესისათვის ელ-მმართველობის შემთხვევებში. დაბალ დონეზეა წარმოდგენილი ელ-ჩართულობისა და ელ-კონსულტაციის ინსტიტუტები, და შეიძლება ითქვას, რომ ჯერჯერობით არ არის დამკვიდრებული ელ-მართულობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მიღებაზე დაკონკრეტებას, არ არის გათვალისწინებული საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე არსებული მიმართვის ელექტრონული ფორმებით გაგზავნილ შეკითხვებზე იურიდიული ძალის მქონე პასუხების მიღების საშუალება, რაც აგრეთვე შეიძლება გათანაბრდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა-გაცემის უკვე არსებულ ფორმასთან. რაც შეეხება ელ-გამჭვირვალობის მარეგულირებელ ერთიან სამართლებრივ ბაზას, შეიძ-

ლება ითქვას, რომ ის საერთოდ არ არსებობს. საჯარო და-ნესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე არ არის და-ნერგილი ინფორმაციის პროექტიულად გამოქვეყნების სტანდარტები. ამავე დროს, არ არის სახეზე ერთიანი სამარ-თლებრივი ნორმა, რომელიც დაავალდებულებდა ყველა სა-ჯარო დაწესებულებას - საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანგარიშვალდებულების, საჯაროობისა და ინფორმაციუ-ლობის ხარისხის გაზრდის მიზნით - იქონიოს ოფიციალური ვებ-გვერდი. მიუხედავად არსებული პრობლემატიკისა უნდა აღინიშნოს, რომ ელ-გამჭვირვალობის (იშვიათ შემთხვევებში) და განსაკუთრებით, ელ-მმართველობის სფეროების მა-რეგულირებელი ნორმები მართებული მიმართულების და-სახვის შემთხვევაში შეიძლება მოაზრებულ იქნენ, როგორც ხსენებული სფეროების სამომავლო სამართლებრივი რეგუ-ლირების მეტ-ნაკლებად მყარ საფუძვლად [5].

საქართველოში ელექტრონული მთავრობის ფორმირე-ბის სრულყოფილი სამართლებრივი საფუძველი შეიძლება შეიქმნას იმ შემთხვევაში თუ მიღებული იქნება ზემოთ ხსე-ნებული კონცეფციების რეალიზებისათვის კანონქვემდება-რე აქტები, რომლებიც მიმართული იქნება ელექტრონული მთავრობის ფორმირებაზე. პირველ რიგში ასეთი აქტები უნდა ატარებდეს პროგრამულ ხასიათს, იმდენად, რამდენა-დაც ხებისმიერი რაიმე სისტემის შექმნა მოითხოვს განსაზ-ღვრული ღონისძიებების ერთობლიობას. ინფორმატიზაციის

პირობებში კი ასეთი ღონისძიებები ასახული უნდა იყოს სამართალში.

ელექტრონული სახელმწიფოს ფუნქციონირების და ფორმირების ცალკეული ელემენტების სამართლებრივი რეგულირების დადგენა საქართველოს კანონმდებლობაში ცხადია დღის წესრიგში სერიოზულად დააყენებს არსებული მმართველობის სისტემის სრულ ტრანსფორმაციას. ერთი რამ ცალსახად ნათელია, რომ მოცემულ ეტაპზე დემოკრატიის ელემენტებთან ერთად საქართველოში ელექტრონული სახელმწიფოს სრულფასოვანი ფუნქციონირებასა და რეალურ არსებობაზე საუბარი ზედმეტია.

ელექტრონული მმართველობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზაში მოიაზრება იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირების გაზრდაზე მიმართულ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც მოიცავს საჯარო დაწესებულებების მხრიდან ვებ-გვერდების მეშვეობით მომსახურების გაწევას, მომხმარებელთან ინტერნეტით ურთიერთობის სხვა ფორმებს (სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის მიღება, ვაჭრობები მონანილეობის საშუალება და ა.შ.) და ინტერაქტივის დამკვიდრებასა და მისი ღონის ამაღლებას. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული მმართველობის საკითხები დღითიდლე უფრო აქტუალური ხდება ქართულ რეალობაში მან კანონმდებლობაში სრულყოფილი ასახვა ჯერჯერობით ვერ მოიპოვა. საქართველოში არ არსებობს საბაზო კანონი,

რომელიც შეეხებოდა ელექტრონულ მმართველობს, თუმცა მისი ცალკეული ელემენტები უკვე მოცემულია საკაონონ-მდებლო აქტებში.

ამრიგად, საქართველოში ელექტრონული მმართველობის დანერეგვის და განვითარების ინსტიტუციონალური უზრუნველყოფის მიმართულებით გაწეული მუშაობა არასაკამრისია. ხოლო საერთო ეროვნული მასშტაბით ელექტრონული მთავრობის დანერგვა საჭიროებს ინსტიტუციური გარემოს ცვლილებებს, კონკრეტული სამთავრობო უწყების მიერ ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე სისტემის ტრანსფორმაციის პროცესის ხელმძღვანელობას და კოორდინაციას; საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემის, მონაცემთა ინტეგრირებული ბაზის, საჯარო წვდომის IT ინფრასტრუქტურის შექმნას და ა.შ.

ქვეყნის ელ-მმართველობის ყოვლისმომცველი და მულტიკომპონენტიანი (ცენტრალური, რეგიონული, - ადგილობრივი დონეები) პროგრამის ეფექტური დაგეგმვა და განხორციელება მოითხოვს ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნის), ინსტიტუციურ (საჯარო-სამსახურების, კომპეტენციების და ურთიერთქმედები ლოგიკური სისტემის ფორმირების) და საინფორმაციო გარემოს (საზოგადოების ჩართულობაშესაბამისი პირობების) უზრუნველყოფას სახელმწიფოს მხრიდან. აქედან გამომდინარე, უნდა შემუშავდეს ქვეყნაში ელექ-

ტრონული მთავრობის ფორმირების ინფრასტრუქტურის სისტემური პროექტი, რომელიშიც გეგმიურად იქნება განერილი ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე ელექტრონული მთავრობის ინსტრუმენტალური ბაზის განვითარების ცალკეული ასპექტები, მაგ., ელექტრონული მთავრობის ფორმირების მართვის, ელექტრონული მთავრობის ფორმირებაზე საბიუჯეტო ხარჯების ეფექტურობის უზრუნველყოფის, ელექტრონული მთავრობის ინფრასტრუქტურის და სახელმწიფო სერვისების დაშვების უზრუნველყოფის, პირველადი პრობლემების გადაწყვეტის და ელექტრონული მთავრობის ძირითადი ინფრასტრუქტურის ფორმირების, ელექტრონული მთავრობის საინფორმაციო-ტექნოლოგიური და საინჟინრო კომპონენტების, ელექტრონულ ფორმაში სახელმწიფო საანგარიშო საქმიანობის გა-დაყვანის საკითხები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

ქ. როსტიაშვილი, ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები, წყარო: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), იხ. ბუმლზე: <http://www.idfi.ge/?cat=researches&topic=35&lang=ka>

რ. აბულაძე, ელექტრონული მთავრობა, თბ., 2013, გვ. 366-367.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, იხ. ბმულზე: <http://www.justice.gov/Page/index/?code=3cb9948b-d9bf-486b-ad7f-d53aa6566660>.

უ. სეთური, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ელექტრონული კომუნიკაციის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს საკანონმდებლო აქტებში, გვ. 8, თბ., 2013, იხ. ბმულზე: <http://www.idfi.ge/?cat=researches&topic=109&lang=ka>

კ. ჯანჯღავა, საქართველოში ელ-მმართველობასა და ელ-გამჭვირვალობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის მოკლე მიმოხილვა, გვ. 54 იხ. ბმულზე: <http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Chapter%20II%20geo.pdf>

Genadi Iashvili  
Irakli Manvelidze

## The Instrumental Basis for Formation of Electronic Governance in Georgia

### Summary

The work done for the institutional support of establishment and development of electronic governance in Georgia is not enough. At the national level establishment of electronic governance requires institutional changes, leading and coordination of the system

transformation process at the central, regional and municipal levels by concrete governing bodies as well as creation of information security system, integrated data system, IT infrastructure, etc. Therefore, effective planning of the multi component program of country e-governance (at the central, regional and local levels) requires technological (creation of telecommunication infrastructure), institutional (creation of public service communication system) and informational (relevant conditions for public involvement) support from the state. Therefore, a systematic project should be developed aimed at formation of infrastructure of electronic governance in the country which will contain concrete aspects for development of instrumental basis for electronic governance at the central, regional and municipal levels.

,  
;  
,

- . . ,  
,

( ,  
)

,  
( )  
,

,  
,

,  
,

,  
,

რუსეთ-ევროპაზშირის ურთიერთობების  
გეოეპონომიკური ასპექტები

ლაშა ბაჟუნაიშვილი

1989-91 წლებში გლობალურ პოლიტიკაში ე.წ. „ტექტონიკური ძვრების“ შედეგად, გეოპოლიტიკური სივრციდან ფაქტობრივად გაქრა უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული „კონტინენტი“, რომელიც 46 წლის განმავლობაში ბიპოლარული სამყაროს ერთ-ერთ ძლიერ პოლუსს წარმოადგენდა. სსრკ-ს დაშლის შემდეგ, რუსეთი დასავლეთისთვის, განსაკუთრებით კი ევროკავშირის ქვეყნებისთვის, სტრატეგიული კონკურენტიდან ეკონომიკურ პარტნიორად გადაიქცა. 90-ან წლებში გერმანია-რუსეთის სავაჭრო მოცულობა ყოველწლიურად 12-დან 13, იტალიასთან 6, ხოლო შეერთებულ შტატებთან 8,8 მილიარდი დოლარის ფარგლებში მერყეობდა. 2000-იან წლებში სამეულს სხვა სახელმწიფოებიც მიჰყვნენ და უკვე 2010-2013 წლებისთვის, რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის ლიდერი სახელმწიფოები გამოიკვეთა [2,3,4]. ამ კუთხით განსაკუთრებული ადგილი გერმანიას უჭირავს. 2013 წლისათვის მხარეებს შორის ვაჭრობის მოცულობამ 77 მილიარდ დოლარს მიაღწია. 2012 წლისთვის გერმანია ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი იყო რუსეთში ევროკავშირის ქვეყნებს შორის. ევროკავშირის სტატისტიკის სამ-

სახურის (ევროსტატი) მონაცემების მიხედვით, გერმანიაში რუსეთში 37,9 მილიარდი ევროს პროდუქცია შეიტანა, რამაც საერთო ექსპორტის 31% შეადგენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მხარეებს შორის ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობა. გერმანიაში იმპორტირებული ცისფერი საწვავის 24%, ხოლო ნავთობის 10% რუსეთზე მოდის. გერმანული ჰოლდინგი BASF მონაწილეობს ციმბირის ბუნებრივი აირის საბაზოების ოპერირებაში, ხოლო რუსული გაზპრომი კი ქვემო საქსონიაში გერმანიაში სიდიდით პირველ აირის საცავებს ფლობს. გარდა ამისა, რუსეთის საინვესტიციო ბაზარზე საქმიანობას ეწევა სხვადასხვა სიდიდის 6 ათასი გერმანული კომპანია, რომელსაც საერთო ჯამში 20 მილიარდი დოლარის ინვესტიცია აქვთ დაბანდებული [14,15].

გერმანიის მსგავსად, რუსეთთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები გააჩნია ნიდერლანდების გაერთიანებულ სამეფოს. 1995 წლიდან 2007 წლის ჩათვლით, რუსეთში დაბანდებული ინვესტიციების მიხედვით, ჰოლანდია რიგით მეორე სახელმწიფოს წარმოადგენდა დიდი ბრიტანეთის შემდეგ. 2007 წელს საერთაშორისო ინვესტიციების 20% რუსეთზე მოდიოდა. 2011 წლისათვის ჰოლანდიიდან რუსეთში ექსპორტმა 6,4 ხოლო იმპორტმა 16,6 მლიარდი ევრო შეადგინა. 2012 წლისათვის ჰოლანდიის ექსპორტი კიდევ 10%-ით გაიზარდა, თუმცა, იმპორტი კვლავ სჭარბობდა (21,1 მილიარდი ევრო) (ევროსტატი), რადგანაც ჰოლანდიაში იმპორ-

ტირებული ნედლი ნავთობის 30%, ხოლო მზა ნავთობპრო-  
დუქტების 45% რუსეთზე მოდის [6]. ენერგორესურსების  
ტრანსპორტირების ეფექტურობის ამაღლების მიზნით, რუ-  
სული კომპანია SUMMA Group-მა და ნავთობის ტერმინალე-  
ბის უდიდეს კონსორციუმმა VTTI-მა (VITOL Group-ისა და  
Misc-ის შვილობილი კომპანია) ჰოლანდიის პორტ როტერ-  
დამში დაიწყო 800 მილიონიანი ინვესტიციის რეალიზება,  
რომელიც ითვალისწინებს ახალი ტერმინალის Tank Terminal  
Europoort West (TEW) მშენებლობას, რომელსაც საშუალება  
ექნება 62 მილიონი ბარელი ნავთობის გატარება წელიწად-  
ში. აღნიშნული ტერმინალი ევროპაში ურალის ნავთობის  
ტრანსპორტირების უმსხვილესი ცენტრად უნდა გადაიქცეს  
(წყარო: VTTI-ის კონსორციუმის ოფიციალური ვებ-გვერდი  
<http://www.vtti.com>).

რუსეთთან ტრადიციული ეკონომიკური ურთიერთო-  
ბები გააჩნია საფრანგეთს. 90-იან წლებში (1992-1997 წწ.)  
ვაჭრობის მოცულობა 3-დან 3,5 მილიარდ დოლარის ფარ-  
გლებში მერყეობდა. 2000-2008 წლებში ეს მაჩვენებელი 22  
მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. ევროსტატის მონაცემე-  
ბის მიხედვით, 2012 წლისათვის საფრანგეთის ექსპორტმა  
რუსეთში 9,1 მილიარდი, ხოლო იმპორტმა 11 მილარდი ევრო  
შეადგინა (ევროსტატი). ექსპორტ-იმპორტის ბალანსში უარ-  
ყოფითი მაჩვენებელი განპირობებული იყო რუსეთიდან ენერ-  
გორესურსების იმპორტირებით. 2012 წლიდან საფრანგეთი

ევროპაში ექპორტირებული რუსული გაზის 6%-ის მომხმარებელია [18,2,6].

საფრანგეთის მსგავსად, რუსეთთან ტრადიციული ეკონომიკური კავშირებით გამოირჩევა იტალიაც. ოფიციალური რომის მონაცემების მიხედვით, იგი რიგით მესამე ექსპორტიორია რუსეთში, ხოლო მე-7 ადგილზეა რუსეთიდან იმპორტირების სფეროში. 2010 წელს მხარეებს შორის ვაჭრობამ 22 მილიარდ ევროს, ხოლო 2011 წელს კი 27 მილიარდამდე გაიზარდა. დღეისათვის დაახლოებით 500 იტალიური ფირმა მოქმედებს რუსეთის ბაზარზე, რომელთა შორისაც არის ისეთი მსხვილი კომპანია, როგორიცაა ENI, ENEL, FIAT და სხვ. მსგავსად სხვა ევროპული სახელმწიფოებისა, რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქციის დიდი ნაწილი ენერგორესურსებზე მოდის. ფარნესინას<sup>30</sup> მიხედვით, იტალიაში იმპორტირებული ბუნებრივი აირის 30% (2012 წელს ეს მაჩვენებელი 11% იყო), ხოლო ნავთობის 15% რუსეთზე მოდის [3,4,17].

დიდ ბრიტანეთში რუსეთის ფედერაციის საელჩოს თანახმად, გაერთიანებული სამეფო 90-იანი წლებიდან მოსკოვის მთავარ პარტნიორს წარმოადგენს ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროში. 1995-2007 წლებში ინვესტიციების დაბანდების მიხედვით, ინგლისი იყო პირველ ადგილზე და მხო-

<sup>30</sup> რეზიდენცია სადაც განთავსებულია იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ლოდ 4%-იანი სხვაობით უსწრებდა ნიდერლანდებს, რომლის მაჩვენებელიც 20% შეადგენდა. ტენდენცია შენარჩუნებული იქნა მომდევო წლებშიც. 2011 წელს რუსეთში 11 მილიარდი ევროს ბრიტანული ინვესტიცია დაფიქსირდა. 2001 წლიდან 2011 წლის ჩათვლით, ვაჭრობის მოცულობა სახელმწიფოს შორის დინამიურად გაიზარდა და 19,5 მილიარდი ევრო შეადგინა, აქედან რუსეთში ექსპორტი 9,9 მილიარდ ევროს, ხოლო იმპორტმა 9,6 მილიარდს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთს გააჩნია ბუნებრივი აირის საკუთარი რეზერვი, 2012 წელს ლონდონმა გაზპრომისაგან 2,4 მილიარდი მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირი შეისყიდა, რომელმაც საერთო მოხმა-რების 15% შეადგენდა [1,3,4,17].

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, დასავლეთმა რუსეთი იმდენად აღიქვა საიმედო სავაჭრო პარტნიორად, რომ ცივი ომის პერიოდის საბჭოური საფრთხეები დაივიწყა, როდესაც მოსკოვი ცდილობდა სხვადასხვა მეთოდებით ევროპა ჯერ მის იაფ ნავთობზე ენერგოდამოკიდებული გაეხადა, შემდეგ კი მის წინააღმდეგ ენერგოშანტაჟის პოლიტიკა ენარმოებინა. ზოგიერთმა ევროპულმა სახელმწიფომ წითელი ხაზიც კი გადაკვეთა და წლების მანძილზე, მნიშვნელოვანნილად რუსული ბუნებრივი აირზე დამოკიდე-

ბული მომხმარებელი გახდა<sup>31</sup>. ევროპის უზრუნველსაყოფად არაერთი გაზსადენი (ჩრდილოეთის ნაკადი, „იამალი-ევროპა“, უკრაინის სატრანზიტო დერეფანი „ქმობა“ და ამჟამად უკვე უარყოფილი „სამხრეთის ნაკადი“, რომელსაც ბულგარეთის გავლით სამხრეთ ევროპის რეგიონის ქვეყნები უნდა მოემარავებინა). ამგარად რუსეთმა ჩრდილოეთის, ცენტრალური და სამხრეთ ევროპის ქვეყნები თავის გაზზე და-მოკიდებული გახადა. მხოლოდ ევროპის კონსერვატორული ძალები საუბრობდნენ რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირებისა და ბუნებრივი აირის აღტერნატიული წყაროების ძიების განსაკუთრებულ აუცილებლობაზე. მოიხაზა რამდენიმე პერპსექტიული მიმართულება: 1 - აზერბაიჯანიდან, ირანიდან და შუა აზიიდან თურქეთის გავლით, აღტერნატიული გაზმომარავების დერეფანის (NABUCCO) ფორმირება; 2 - ენერგორესურსების მსხვილი ექსპორტიორი ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებიდან გათხევადებული ბუნებრივი აირის იმპორტირება; 3 - ევროპაში არსებული ფიქლის ბუნებრივი აირის მოპოვების გაზრდა; 4 - ჩრდილოეთის

<sup>31</sup> 2009 წლის ბუნებრივი აირის მიწოდების უსაფრთხოების შესახებ ევროკომისიის სპეციალურ ანგარიშის თანახმად ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და ფინეთი 100% არის დამოკიდებული რუსეთიდან იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე. სლოვაკეთი 98%, ბულგარეთი 92%, ჩეხეთი 77,6%, საბერძნეთი 76%, უნგრეთი 60%, სლოვენია 52%, ავსტრია 49%, პოლონეთი 48,15%, ხორვატია 37%, და რუმინეთი 27% [6:2].

ზღვაში, ბრიტანეთის ტერიტორიულ წყლებში ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების გაორმაგება, რომელიც 1 ტრილიონი დოლარის ინვესტიციას მოითხოვს [11]; 5 - აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზში, განსაკუთრებით კვიპროსის ტერიტორიულ წყლებში ბუნებრივი აირისა და ნავთობის მარაგების აღმოჩენა. შეერთებული შტატების ენერგეტიკის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით ე.წ. ლევანტის აუზში 1.7 მილიარდი ბარელი ნავთობი და 122 მილიარდ მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირის რესურსი არსებობს. ევროკავშირის წევრი კავიპროსის სახელმწიფო უკვე მუშაობს ბუნებრივი აირის მოპოვების, მისი გათხევადებისა და ევროპაში ექსპორტირების პროექტზე. გარდა ამისა, კვიპროსის, საბერძნეთისა და ისრაელის მთავრობები ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე გაზსადენის მშენებლობაზე შეთანხმდნენ, რომელიც მათ ბუნებრივი აირის საბერძნეთის გავლით ევროპის ქვეყნებში ტრანსპორტირების შესაძლებლობას მისცემს [20]. 6 - ევროპაში დიდი ტევადობის ბუნებრივი აირის საცავების მშენებლობა; 7 - ჩრდილო აფრიკის ქვეყნებიდან იმპორტის გაზრდა; 8 - 2014 წელს ევროკომისიის გადაწყვეტილებით, ბრიტანულმა კომპანია BP აზერბაიჯანულ-თურქული კონსორციუმის (SOCAR, BOTAS, TPAO) ტრანს-ანატოლიის გაზსადენის (Trans Anatolia Natural Gas Pipeline - TANAP) მშენებლობის პროექტში ჩაერთო. მისი დასრულება 2018 წლისათვის არის დაგეგმილი და აღნიშნულ პროექტში ირანის ჩართვასაც ით-

ვალისწინებს. დაგეგმილია საბოლოოდ, ანატოლიიდან გაზ-სადენის სამხრეთ ევროპამდე გაგრძელება და ირანული ბუ-ნებრივი აირის ევროპაში გადაქაჩვა [6,7].

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თანამშრომლო-ბის სფეროში რუსეთსა და ევროკავშირს შორის მჭიდრო ურ-თიერთობები დამყარდა, ამას აღმოსავლეთსა და დასავ-ლეთს შორის შეუთავსებელი გეოპოლიტიკური პროცესების განვითარებისთვის ხელი არ შეუშლია, რაც ევრო-ატლანი-კური ორგანიზაციების აღმოსავლეთით გაფართოების პრო-ცესში გამოიხატა. 90-იანი წლებში პოსტსაბჭოთა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურო-ბის ფონზე, ევროკავშირი და ჩრდილო ატლანტიკური ალი-ანსი აღმოსავლეთ ევროპაში გაფართოვდა და რუსეთის საზ-ღვრებს მოსკოვითვს მიუღებელ დისტანციაზე მიუახლოვდა. მიუხედავად კრემლის რეაქციისა, 2004-2007 წლებში ევრო-ატლანტიკური ორგანიზაციები ბალტიისპირეთისა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე დამკვიდრდა, რის შედე-გადაც ევროპული „ოსტპოლიტიკა“ კიდევ უფრო ინტენსიუ-რი გახდა. ამჯერად ევროკავშირი შეეცადა უკრაინასთან და საქართველოსთან ასოცირებული წევრობის ფორმატში ეკო-ნომიკური თანამშრომლობას გარღმიავებას, მათი ევრო-ატ-ლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პერსპექტივით.

დასავლეთის მხრიდან რუსეთისთვის სტრატეგიულ ზონაში დამკვიდრების მცდელობას, ჯერ 2008 წლის რუსეთ-

საქართველოს აგვისტოს ომი, ხოლო 2009 წელს კიევსა და მოსკოვს შორის „გაზის ომი“ მოჰყვა, რომელსაც არა მარტო უკრაინის, არამედ რიგი ევროპული სახელმწიფოების ერთოვანი ენერგოკრიზისი მოჰყვა, საპასუხოდ ევროპული სახელმწიფოები მხოლოდ მოკრძალებული დიპლომატიური განცხადებებით შემოიფარგლნენ. მოსკოვთან პარტნიორული ურთიერთობებით დაინტერესებული პოლიტიკური ძალები თვლიდნენ, რომ საბჭოთა იმპერიის უსისხლოდ დაშლის სანაცვლოდ, NATO აღმოსავლეთით აღარ უნდა გაფართოებულიყო, ხოლო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მათ შორის უკრაინა და საქართველო, რუსეთის გავლენის ზონაში უნდა დარჩენილიყვნენ. თუმცა, 1999 და 2004 წლებში ჩრდილო ატლანტიკურმა აღიანსმა და ევროკავშირმა რუსეთისთვის მიცემული პირობა „დაარღვია“ და საკუთარი საზღვრები აღმოსავლეთით გადასწინეს. შესაბამისად გასაგებია რუსეთის რეაქციაც, რომელიც თავს მოტყუებულად და იზოლირებულად გრძნობს. ამ ლოგიკის მიმდევრები ძირითადად აპელირებენ გეოპოლიტიკური ცნებებით, აღიარებენ რა რუსეთის ექსკლუზიურ ინტერესებს პოსტ-საბჭოთა ქვეყნებზე და მოუწოდებენ დასავლეთს თავი შეიკავოს რუსეთის უმიზეზო გაღიზიანებისგან.

ევროკავშირის წამყვან ქვეყნებს, ისევე როგორც ევროპულ ინსტიტუციებს, მკვეთრად განსაზღვრული სტრატეგია არ გააჩნდათ არც 2013 წლის შემოდგომაზე უკრაინა-

ში განვითარებული მოვლენების მიმართ, როდესაც ვიქტორ იანუკოვიჩის პრორუსულმა მთავრობამ უარი განაცხადა ევ-როკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებაზე (21 ნოემბერი) და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ მოლაპარაკებები რუსეთთან წამოიწყო. იანუკოვიჩის ხელისუფლების გადაწყვეტილებას უკრაინის პროევროპული პოლიტიკური ძალებისა და მოსახლეობის ნაწილის მწვავე პროტესტი მოჰყვა, რომელიც სისხლიან შეტაკებებში გადაიზარდა. ანტისახელისუფლებო დემონსტრაციების პარალელურად, იზრდებოდა ანტირუსული განწყობილებაც, რომელმაც უკრაინის მოსახლების ორად გაყოფა გამოიწვია. საბოლოოდ, პროცესები ე.წ. „ევრორევოლუციით“ დასრულდა და ხელისუფლებაში პროევროპული ძალები მოვიდნენ, რომლებმაც კვლავ განაახლეს მოლაპარაკებები ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ყოფილი „მოკავშირის“ დასჯის მიზნით, მოსკოვმა კიევში მიმდინარე ანტირუსული (საუბარია რუსეთის ხელისუფლების საწინააღმდეგო) მოძრაობა ფართო პროპაგანდისტულ ჭრილში „ნეონაციზმად“ წარმოაჩინა და უკრაინის დეზინტეგრაციის გეგმის რეალიზება დაიწყო. უკრაინაში მცხოვრები ეთნიკურად რუსი მოსახლეობის მეშვეობით, ჯერ ყირიმის ნახევარკუნძული მიიერთა, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ რეგიონებში პრორუსული სეპარატისტული ძალებზე დაყრდნობით შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება მოახდინა.

უკრაინაში სეპარატისტული მოძრაობის შემდეგ დაიწყო დასავლეთში რუსეთის მიმართ კრიტიკის ზრდა. სირიის და უკრაინის მაგალითზე, ობამას ადმინისტრაცია საბოლოოდ დარწმუნდა, რომ „გადატვირთვის“ პოლიტიკამ კრახი განიცადა, ხოლო ევროპულ დედაქალაქებში იმ პოლიტიკურ ძალთა პოზიციები გამყარდა, რომლებიც ამართლებენ NATO-ს და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებას. ისინი ამტიცებდნენ, რომ ევროკავშირსა და რუსეთს შორის მდებარე პატარა ქვეყნებმა თავად უნდა განსაზღვრონ საკუთარი მომავალი და არ უნდა გახდნენ დიდ სახელმწიფოებს შორის გეოპოლიტიკური გარიგებების მსხვერპლი. თუმცა, ამჯერადაც დასავლეთმა კვლავ ფრთხილი პოზიცია დაიჭირა და რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შეკავების მიზნით, ევროკავშირმა და შეერთებულმა შტატებმა მის წინააღმდეგ მხოლოდ ვიწრო ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციების დაწესება გადაწყვიტეს, რომელიც მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო კომპანიის საქმიანობას, ბიზნესს და პოლიტიკოსს შეეხო. როგორც ჩანს, დასავლეთში შეუძლებლად მიიჩნიეს არსებული ეკონომიკური პარტნიორობის პირობებში რადიკალური ღონისძიებების გატარება, რათა პირველ რიგში არ დაზარალებულიყო ევროპის ეკონომიკური ინტერესები.

დასავლეთის საპასუხოდ რუსეთმა კონტრსანქციებით უპასუხა, შეზღუდა ევროპული საქონლის იმპორტი რუსეთში

და აქტიურად მოემზადა „ზამთრის სანქციებისთვის“, რომელმაც 2009 წელს ეფექტურად იმუშავა. ამ კუთხით ხელი-სულების მიერ კონტროლირებად მასობრივ საინფორმაციო საშუალებები და რუსი მაღალჩინოსნები ევროპას „ძალზედ ცივი“ ზამთრის დადგომას უნინასწარმყეტველებდნენ. გარდა ამისა, მოსკოვმა ევროპას ცივი ომის პერიოდის მანევრებითაც შეახსენა თავი, როდესაც ბალტიის ზღვის აუზის ქვეყნების საზღვაო აკვატორიაში რუსული წყალქვეშა ნავები, ხოლო ევროპის საჰაერო სივრცეში სტრატეგიული ბომბდამშენები და გამანადგურებლები გამოჩნდა.

ამრიგად, ყირიმის კრიზისმა მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობაში. პირველად ცივი ომის დასრულების შემდეგ, ევროპა დარწმუნდა, რომ 2008 წლის აგვისტოს აგრესია, 2009 წლის „გაზის ომი“ და 2014 წლის უკრაინის დეცენტრალიზაცია რუსეთის არაპოსტ-იმპერიული რეფლექსის გამოვლენა, არამედ, მკვეთრად განსაზღვრული სტრატეგია იყო, რომელიც კრემლის-თვის მეოცე საუკუნის ყველაზე „დიდი გეოპოლიტიკური შეცდომის“ - სსრკ-ს დაშლის, გამოსწორებისაკენ მიმართული ქმედება იყო. ამგვარად, რუსეთთან მიმართებაში დასავლეთისთვის კვლავ წამოიწია უსაფრთხოების საკითხი, რომელმაც გარკვეულწილად გადაფარა მასთან ურთიერთობის ეკონომიკური პრეფერენციები. მაგრამ როგორც ჩანს, შექმნილ ვითარებაში რთული იყო რუსეთთან მჭიდრო ეკონომი-

კური ურთიერთობებიდან სტრატეგიული თავდაცვის რეჟიმში გადაწყობა, რომელიც აპსოლიტურად განსხვავებული ურთიერთობების კონფიგურაციას წარმოადგენს.

მსგავსი ეკონომიკური ურთიერთობების ფონზე რთული იქნებოდა გადამჭრელი ეკონომიკური სანქციების რეალიზება, რადგანაც დაზარალდებოდა რუსეთის ბაზარზე მოქმედი ევროპული და ამერიკული კომპანიების ინტერესები, რომელთა რაოდენობა რამდენიმე ათასს აღწევს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე. ამიტომ რუსეთის ეკონომიკური დასუსტების შედარებით კარგად შენილბული და უკვე ნაცადი სტრატეგია იქნა შემუშავებული, რომელიც მსოფლიო ბაზარზე ენერგეტიკულ რესურსების ფასებს უკავშირდება. ამგვარად, რუსეთის მძლავრი იარაღი - მისი ენერგორესურსები, მისი ეკონომიკური დაქვეითებისათვის იქნა გამოყენებული. შედეგად, 2014 წლის ივნისიდან ნავთობის ფასმა მსოფლიო ბაზარზე მკვეთრი ვარდნა დაიწყო. დეკემბრის დასაწყისისთვის Brent-ის მარკის 1 ბარელ ნავთობზე ფასმა 70\$ შეადგინა [8,9,10].

ამრიგად, დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ მოკლე დროში ნავთობზე ფასის მკვეთრად შემცირებით, დასავლეთმა შეერთებული შტატების ლიდერობით რამდენიმე სტრატეგიული ამოცანა გადაჭრა: 1 - ნავთობდოლარებზე დაფუძნებული რუსული ეკონომიკა და ფინანსური სფერო მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დააყენა. აღსა-

ნიშნავია, რომ რუსეთის ექსპორტის 68%, ხოლო ფედერალური ბიუჯეტის 50% ენერგორესურსების ექსპორტირებაზე მოდის. 2 - რუსეთს, ფაქტობრივად მოუსპო შესაძლებლობა კოლოსალური თანხები ხარჯოს როგორც გლობალურ, ისე სამეზობლო სივრცეში აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებისთვის; 3 - ნავთობზე ფასის ვარდნის ფონზე, წარმოქმნილი საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისის რეჟიმში, მოსკოვი იძულებული გახდება უარი თქვას აგრესიულ ენერგოპოლიტიკაზე და ევროპასთან „გაზის ომის“ წარმოებაზე, რადგან ნავთობის ნაცვლად, კრემლი ბუნებრივი აირის ექსპორტის გაზრდით შეეცდება რუბლის გამყარებას და ფინანსური კრახის თავიდან აცილებას. 4 - დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა რუსეთის სამხედრო სფეროს მოდერნიზების ამბიციური პროექტი (მეხუთე თაობის გამანადგურებლების, ახალი კლასის ბირთვული სარაკეტო სისტემების და სხვ.), რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ჯერ კიდევ 2012 წელს საპრეზიდენტო კამპანიის პერიოდში გაახმოვანა [12].

### გამოყენებული ლიტერატურა:

Andrew Monaghan, UK-Russia Relations: a Bad Case of Mutual Misunderstanding (s), The Foreign Policy Center, *Source:* <http://fpc.org.uk/search/1.%09andrew+monaghan/>;

Lúcio Vinhas de Souza, Foreign Investment in Russia, European Commission's Directorate-General for Economic and Financial Affairs, Country Focus. Volume 5, Issue 1 11.01.2008.

*Source:* [http://ec.europa.eu/economy\\_finance/publications](http://ec.europa.eu/economy_finance/publications);

Marco Siddi, Italy-Russia Relations: Politics, Energy And other Businesses, *Source:* [http://fakproject.hu/docs/EE-4-kotet\\_ch3.pdf](http://fakproject.hu/docs/EE-4-kotet_ch3.pdf);

Nadezhda Arbatova, Italy, Russia's Voice In Europe? Russian/NIS Center. IFRI-Paris, 2011. *Source:* [www.ifri.org](http://www.ifri.org);

EU-Russia Summit, Record levels for trade in goods between EU27 and Russia in 2012, 83/2013 - 3 June 2013, *Source:* [europa.eu/rapid/press-release\\_STAT-13-83\\_en.pdf](http://europa.eu/rapid/press-release_STAT-13-83_en.pdf);

Energy Dialog EU-Russia, The Tenth Progress Report, by Commissoner of the European Commission on Energy Issues Andris Piebalgs and Minsister of Energyof the Russian Federation Sergey Shmatko, Moscow 2009;

Станислав Тарасов, Станет ли Путин “Лениным», а Эрдоган — «Ататюрком», 03.12.2014 ИА REGNUM. *Source:* <http://www.regnum.ru/news/polit/1872663.html#ixzz3KwoqQRV9>;

Steven Mufson, As Oil Prices Plunge, Wide-Ranging Effects For Consumers and The Global Economy, The Washington Post, 1 Dec, 2014. *Source:* [http://www.washingtonpost.com/business-](http://www.washingtonpost.com/business/)

[s/economy/as-oil-prices-plunge-wide-ranging-effects-for-consumers-and-the-global-economy/2014/12/01/904984b2-7971-11e4-9a27-6fdb612bfff8\\_story.html;](http://www.telegraph.co.uk/finance/newsbysector/energy/oilandgas/11215063/Vladimir-Putin-oil-price-decline-has-been-engineered-by-political-forces.html)

Peter Spence, Vladimir Putin: oil price decline has been engineered by political forces, The Telegraph, 6 Nov. 2014.  
*Source:* <http://www.telegraph.co.uk/finance/newsbysector/energy/oilandgas/11215063/Vladimir-Putin-oil-price-decline-has-been-engineered-by-political-forces.html>;

Gregory Viscusi, Tara Patel and Simon Kennedy, Oil Shock Streaks Across Globe From Moscow to Tehran to Caracas. Ready for \$40? Bloomberg, Dec 1, 2014. *Source:* <http://www.bloomberg.com/news/2014-11-30/oil-at-40-possible-as-market-transforms-caracas-to-iran.html>

Andrew Critchlow, North Sea needs £1 Trillion to Tap Remaining Oil and Gas, The Telegraph, 30 Sep. 2014. *Source:* <http://www.telegraph.co.uk/finance/newsbysector/energy/oilandgas/11128240/North-Sea-needs-1-trillion-to-tap-remaining-oil-and-gas.html>;

Nikolas K. Gvosdev, Russia's Massive Military Modernization Might be in Big Trouble, The National Interest, Dec. 2, 2014. *Source:* <http://nationalinterest.org/feature/russias-massive-military-modernization-might-be-big-trouble-11768>;

Economic War with Russia: A High Price for German Business *By SPIEGEL Staff*, March 17, 2014. *Source:* <http://www.spiegel.de/international/europe/germany-to-play-central-but-expensive-role-in-sanctions-against-russia-a-959019.html>;

Sumi Somaskanda, Germany's \$104 Billion in Russian Trade Complicates Response to Crisis in Ukraine, The Washington, May 26, 2014.

*Source:* <http://www.washingtontimes.com/news/2014/may/-26/germany-s-104-billion-in-russian-trade-complicates-/?page=all>

Stephen Evans, Germany and Russia's contradictory relationship, BBC News, Berlin, 22 July 2014. *Source:* <http://www.bbc.com/news/business-28423733>;

Russo-British Economic Relations, Official web-site of Russian Embassy in United Kingdom of Great Britain and Northern Ireland. *Source:* <http://www.rusemb.org.uk/economy/>

Relations Between Italy Russia, Official web-site of Ministry of Foreign Affairs. *Source:* [http://www.esteri.it-/MAE/EN/Politica\\_Estera/Aree\\_Geografiche/Europa/I\\_nuovi\\_rapporti.htm](http://www.esteri.it-/MAE/EN/Politica_Estera/Aree_Geografiche/Europa/I_nuovi_rapporti.htm);

Mikhail Agadzhanyan, Russia-France: Balance of Economy and Policy, *Source:* <http://www.eurodialogue.eu/Russia-France-Balance-of-Economy-and-Policy>, Published, 17.12.2012;

Ambrose Evans-Pritchard, Gas Bonanza for Cyprus hostage to strategic battle with Turkey, The Telegraph, 18 Feb 2014 Nicosia, Cyprus. *Source:* <http://www.telegraph.co.uk/finance/newsby-sector/energy/oilandgas/10647382/Gas-bonanza-for-Cyprus-hostage-to-strategic-battle-with-Turkey.html>;

Cyprus, US Energy Information and Administration, Independent Statistics and Analyses. *Source:* <http://www.eia.gov/countries/country-data.cfm?fips=cy>;

Lasha Bazhunaishvili

## Geo-economics Aspects of EU-Russia Relations

### Summary

The article describes strategic rivalries developed simultaneously with close economic cooperation between Russia and Western Countries after the collapse of Soviet Union. During the end of the 1990s and in 2000s Euro-Atlantic organizations (EU and NATO) began establishing itself in the strategically important zones of Russia. Kremlin reacted immediately and responded with 2008 August War against Georgia, using energy (natural gas) as tool of political pressure and decentralization of Ukraine after the “Euro-Revolution” of 2013-2014. After the Ukrainian Crisis for European Countries again raised security challenges and overweighed preferences of economic cooperation with Russia. In order to contain

Russian military activities EU and the US established sanctions against Moscow and with dropping of oil price hinted Russian economic development.

2008

2013-2014

ტერორიზმი - საერთაშორისო საჭროები

ინგა ცინცქილაძე

დღეისათვის ტერორიზმი კაცობრიობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხედ ითვლება. ტერორიზმის არსებობა უკვე საუკუნეებს ითვლის, თუმცა იგი განსაკუთრებით მომძლავრდა მეოცე საუკუნეში. ტექნიკურმა პროგრესმა ტერორიზმი უფრო სახიფათო გახდა. საერთაშორისო ტერორიზმი საფრთხეს უქმნის საზოგადოებას, ამიტომ მთელი მსოფლიო უნდა გაერთიანდეს მის წინააღმდეგ. თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მრავალ სხვა გადაუჭრელ პრობლემათა შორის ტერორიზმით გამოწვეულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ადამიანურ დანაკარგებს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. ტერორიზმის შედეგები ფატალურია: ადამიანთა მასობრივი მსხვერპლი, ფსიქიკური ტრავმები, განადგურებული მატერიალური და სულიერი ღირებულებები, რომლებიც აღდგენას აღარ ექვემდებარება.

ტერორიზმის განმარტებები მრავალრიცხოვანია, თუმცა მათი უმეტესობა რამდენიმე ფაქტორს ითვალისწინებს, როგორიცაა ძალადობა, პოლიტიკური მოტივი და მოსახლეობის გამიზნული დაშინება. ტერორიზმმა გასაქანი ჰპოვა მრავალ განვითარებად ქვეყანაში, განსაკუთრებით აზისა და აფრიკის კონტინენტზე, მაგალითად, ალჟირში, სადაც

მთავრობას ყოველდღიურად უხდება თავდასხმებთან გამკლავება და ისრაელში, სადაც თვითმკულელების მიერ მოწყობილი აფეთქებები მოქალაქეებს მუდმივ საფრთხეს უქმნის.

ტერორიზმის, როგორც გლობალური საფრთხის პრობლემა ნათლად გამოჩნდა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების დროს. ამ დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებზე განხორციელებულმა ტერორისტულმა თავდასხმამ მთლიანად შეცვალა აღნიშნული პრობლემისადმი მიდგომა, რაც გამოიხატა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაში. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შენობის და აშშ-ს ეკონომიკური სიძლიერის სიმბოლოს წინააღმდეგ მიმართულმა ტერორისტულმა აქტმა ამერიკელებს შეკი მოჰკვარა. მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობებს კომერციული რეისის ორი, ადვილად აალებადი საწვავით დატვირთული თვითმფრინავი შეეჯახა. „ცათამბჯენები მცირე სნის განმავლობაში იწვოდა, შემდეგ კი საოცარი სიძლიერით ჩამოინგრა, რამაც მანქეტენის ცენტრის დიდი ნაწილი გაანადგურა, შენობებში მყოფი ათასობით ადამიანი იმსხვერპლა, ქუჩები ათასობით ტონა ცეცხლმოდებული ნანგრევით აავსო და კვამლის, მტვრისა და ფერფლის უზარმაზარი ღრუბელი წარმოქმნა, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში იყო ჩამონალილი ქალაქის თავზე.“ (თ.მ. მაგშტად-

ტი, „გავიგოთ პოლიტიკა: იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები“, თბილისი 2010, გვ. 515).

დღეს მსოფლიოში ტერორიზმისგან დაცული არ არის არც ერთი ქვეყანა. დასავლეთ ევროპის ყველაზე განვითარებული ინდუსტრიის მქონე ქვეყნებიც კი არ არიან დაზღვეული ტერორიზმისგან. ამის ერთ-ერთი წათელი მაგალითია დიდი ბრიტანეთი, სადაც ირლანდიის რესპუბლიკური არმიის ულტრანაციონალისტები 1960-იანი წლებიდან წარმართავენ ტერორისტულ კამპანიას ჩრდილოეთ ირლანდიაზე ბრიტანული კონტროლის წინააღმდეგ.

ტერორიზმის პრობლემა მწვავედ დგას მსოფლიოს წინაშე. მისი შედეგების იგნორირება შეუძლებელია. 1994 წლის გაზაფხულზე გერმანიის პოლიციამ აღმოაჩინა და აღკვეთა ბირთვული მასალების გაყიდვის ოთხი მცდელობა, რის შედეგადაც შეიძლებოდა ატომური ბომბი დამზადებულიყო. 1994 წლის აგვისტოში ავიაკომპანია ლუფტჰაიზებას მოსკოვი-მიუნხენის რეისზე 350 გრამი ბირთვული საწვავი აღმოაჩინეს. ბიოლოგიური და ქიმიური მასალების შავ ბაზარზე გაყიდვის ფაქტები ასევე დიდ საშიშროებას ქმნის. ეს და სხვა ფაქტები იმის დადასტურებაა, რომ ტერორიზმი საფრთხეს უქმნის მთელ მსოფლიოს და საჭიროა მის წინააღმდეგ მთელი ცივილიზებული სამყაროს გაერთიანება. (თ.მ. მაგმადტი, „გავიგოთ პოლიტიკა: იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები“, თბილისი 2010).

ტერორიზმი უმთავრესად განმარტებულია, როგორც დაშინება და ძალადობრივი ქმედება. ტერორიზმის (ლათინურიდან ტერორი-შიში, საშინელება) ცნება გულისხმობს პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური თუ ტერორისტებისთვის მისაღები სხვა სახის სარგებლის მოპოვების მიზნით ცალკეული პირის თუ პირთა ჯგუფის წინააღმდეგ ძალადობის გამოყენებას ან მუქარას.

ტერორიზმის განმარტებისადმი მიძღვნილი ნაშრომების ანალიზი ცხადყოფს, რომთითქმის ყველა მკვლევარს ამოძრავებს საერთო სურვილი უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ტერორიზმის ცნება.

2002 წლის ოქტომბერში სიტყვით გამოსვლისას გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა ტერორიზმი აღნერა, როგორც გლობალური საფრთხე, გლობალური ეფექტებით. კოფი ანანის თქმით, თავისი ბუნებიდან გამომდინარე ტერორიზმი არის თავდასხმა სამართლის, წესრიგის და ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ პრინციპებზე. (press release, SG/SM/8518).

ტერორიზმის განმარტებები მრავალრიცხოვანია, თუმცა მათი უმეტესობა რამდენიმე ფაქტორს ითვალისწინებს, როგორიცაა ძალადობა, სურვილი იმისა, რომ მომხდარი ფაქტი გახმაურდეს, პოლიტიკური მოტივი და მოსახლეობის გამიზნული დაშინება.

ხშირად ტერორისტული აქტების მიზანი შიშის და გაურკვევლობის ატმოსფეროს შექმნაა, რის შედეგადაც მოსახლეობას მოქმედი მთავრობის მიმართ ნდობა ეკარგება. ტერორისტებისთვის ქაოსი თვითმიზანსა და სასურველი ცვლილებების მიღწევის წინაპირობას წარმოადგენს.

ტერორიზმს ხშირად უწოდებენ სუსტების იარაღს ძლიერთა წინააღმდეგ. აშშ-ს საგარეო პოლიტიკა ტერორიზმს ეპყრობა, როგორც პოლიტიკურ ფენომენს, ტერორისტებს კი პოლიტიკური საქმიანობისათვის ძირის გამომთხრელ ადამიანებად თვლის. ეს მიდგომა ხაზს უსვამს ტერორიზმის არალეგალურობას და მხარს უჭერს მასთან ბრძოლას სწრაფი დასჯითა და შესაფერისი სიფრთხილით. (თ.მ. მაგშტადტი, „გავიგოთ პოლიტიკა: იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები“, თბილისი 2010).

ტერორიზმის ყველაზე ფართოდ გავრცელებული და გამოყენებადი დეფინიცია შემოგვთავაზეს ცნობილმა სპეციალისტმა კონტრტერორისტულ საკითხებში, ბრაიან ჯენკინსმა და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის თანამშრომელმა, უოლტერ ლექვერმა. მათ ტერორიზმის ცნება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განსაზღვრეს, მაგრამ მსგავს დასკვნამდე მივიღნენ.

ჯენკინსმა მოგვაწოდა დეფინიცია, რომელსაც თავად ხშირად იყენებდა უშიშროების ძალებთან კონსულტაციების წარმოებისას. ჯენკინსი ტერორიზმს უწოდებს პოლიტიკური ცვლილების გამოწვევის მიზნით დაშინების კუთხით ძალის

გამოყენებას (B. Jenkins, Terrorism and Personal Protection, Boston, 1985).

ლექვერი კი თავის განმარტებაში აღნიშნავს, რომ ტერორიზმი წარმოადგენს ძალის არალეგიტიმურ გამოყენებას გარკვეული პოლიტიკური მიზნის მიღწევისთვის უდანაშაულო ხალხის გამოყენებით. ლექვერი ასევე აღნიშნავს, რომ ტერორიზმი არის პოლიტიკური ან კრიმინალური (სისხლის სამართლის) ძალადობრივი ქმედების ერთ-ერთი ფორმა სამხედრო ტაქტიკის გამოყენებით, რათა დაშინების გზით მოხდეს გარკვეული სისტემის შეცვლა (W. Laqueur, No End to War-Terrorism in the 21<sup>st</sup> century, New-York, 2003, ISBN 0-8264-1435-4).

კონტექსტუალური დეფინიციების თვალსაზრისით ტერორიზმის შინაარსზე გავლენას ახდენს ისტორიული და პოლიტიკური ფაქტორები, კონფლიქტები, პოლიტიკური რეპრესიები, ძალადობა და სხვა.

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში ტერორიზმის, როგორც დანაშაულებრივი ქმედების განმასხვავებელ ნიშნებს გამოყოფენ. ტერორიზმი ქმნის დიდ საზოგადოებრივ საფრთხეს, რომელიც საყოველთაოდ სახიფათო ქმედების ან მუქარის შედეგად წარმოიშვება. ტერორისტთა განზრახვაა მძევლად აყვანილ პირთა ან აფეთქების ადგილის მახლობლად მყოფ ადამიანთა სიცოცხლის მოსპობა. ტერორისტული აქტი საჯაროდ სრულდება, საყოველთაო გახმაუ-

რებისა და პირობების ღიად წაყენების გზით. ტერორიზმის-თვის დამახასიათებელია შიშის, დეპრესიისა და დაძაბულობის განზრახ დანერგვა. ამასთან მსგავსი გარემო იქმნება არა ინდიდუალურ ან ვიწროჯგუფურ, არამედ სოციალურ დონეზე და წარმოადგენს ობიექტურად აღმოცენებულ სოციალურ-ფსიქოლოგურ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს სხვა პირებზე და უბიძგებს მათ ტერორისტთა ინტერესების სასარგებლოდ გარკვეული ქმედების ჩადენის ან მათი პირობების მიღებისკენ. შიში ამ შემთხვევაში არის მიზანმიმართული ბერკეტი, რომლის დანერგვაც გარკვეული მიზნის მიღწევის საშუალებაა. ამგვარად, საფრთხისმომცველი გარემოს შექმნა არის ტერორიზმის გამოხატულება, მისი არსის გამომჟღავნება და არა საბოლოო მიზანი.

ზეგავლენა იმ ადამიანებზე, ვისგანაც ტერორისტები გარკვეულ შედეგს მოელიან შეიძლება იყოს როგორც პირ-დაპირი, ისე არაპირდაპირი. მაგალითად, მთავრობისგან გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ნაციონალ-სეპარატისტების მიერ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწყობილი აფეთქებები სოციუმზე პირდაპირი ზეგავლენის მოხდენის კლასიკური ნიმუშია ( . . , :

- ).

ტერორიზმი ისეთივე ძველი მოვლენაა, როგორიც კონფლიქტები. უცხოელი და ქართველი პოლიტოლოგები, ის-

ტორიკოსები, ფილოსოფოსები და სამართალმცოდნეები ტე-  
რორიზმის სისტემატიზაციასა და კლასიფიკაციას სხვადას-  
ხვა ჭრილში განიხილავენ. ისინი გვთავაზობენ კლასიფიკა-  
ციის სპეციფიკურ კრიტერიუმებს, რაც თავისთავად ამ მოვ-  
ლენის მრავალგანზომილებიანობასა და სირთულეს ასახავს.  
მიდგომათა მრავალფეროვნებისა და ზოგჯერ შეუთავსებ-  
ლობის მიუხედავად, პრობლემის შესწავლის მსგავსი მრა-  
ვალნახნაგოვნება მეცნიერებს საშუალებას აძლევს უფრო  
მყარად დაასაბუთონ ტერორიზმის საზოგადოებრივი საფ-  
რთხე და გამოავლინონ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

პოლიტოლოგი დ.ვ. ოლშანსკი ტერორიზმის განსაკუთ-  
რებით „მსხვილ“ ფორმას მიაკუთვნებს: პოლიტიკურ, საინ-  
ფორმაციო, ეკონომიკურ და სოციალურ ტერორიზმს. პოლი-  
ტიკურ ტერორიზმში იგი გულისხმობს სხვადასხვა სახის ტე-  
რორისტულ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს პოლი-  
ტიკურ ლიდერებზე, ხელისუფლებაზე და მათ მიერ გატარე-  
ბულ პოლიტიკაზე ზეგავლენას, ამა თუ იმ პოლიტიკური ნა-  
ბიჯისა თუ სახელისუფლებო გადაწყვეტილების იძულებას  
( . . . , . . . , .. . . . , 2002).

საინფორმაციო ტერორიზმში ოლშანსკი გულისხმობს  
უშუალო ზეგავლენას ადამიანთა ფსიქიკასა და ცნობიერე-  
ბაზე, იმ საჭირო შეხედულებებისა და აზრის ფორმირების  
მიზნით, რომლებიც გარკვეულნილად წარმართავენ ადამი-  
ანთა ქცევას. ეკონომიკური ტერორიზმი ოლშანსკის აზრით  
არის დისკრიმინაციული ხასიათის სხვადასხვა ეკონომიკური

ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკურ კონკურენტებზე, სოციალურ ჯგუფებსა და მოსახლეობის ფართო ფენებზე, აგრეთვე სახელმწიფოებსა და მათ ლიდერებზე ზეგავლენას ტერორისტებისთვის ეკონომიკურად სარფიანი კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღწევის მიზნით. სოციალურ (საყოფაცხოვრებო) ტერორიზმში კი ოლშანსკი მოიაზრებს ისეთ მოვლენებს, როგორიცაა ქუჩური დანაშაულის თარეში, მზარდი კრიმინალიტეტი და საერთო სოციალური არასტაბილურობა ( . . . , ....., 2002).

როგორც ა.კ. მიკეევი აღნიშნავს, დანაშაულის ზრდის ტენდენციებისა და ოპერატიული თუ სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პოტენციურად სახიფათო ობიექტები ტერორისტთა სამიზნედ შეიძლება იქცეს. ამასთან, დღესდღეობით საკმაოდ რეალურია ბირთვული მასალების, ბირთვული წარმოებისა და იზოტოპური პროდუქციის ნარჩენების უკანონოდ ხელში ჩაგდების გზით რადიაციული ტერორიზმის განხორციელების საშიშროება. არანაკლებ სერიოზულ საფრთხეეს ის ჰიდროტექნიკური ნაგებობებიც წარმოადგენენ, რომლებიც, როგორც წესი, მსხვილი ქალაქების მიდამოებში ან მდინარის დინების გაყოლებაზეა მაღლა განლაგებული. მათი განადგურება ადამიანთა დაღუპვის, ფართო ტერიტორიების, მათ შორის, ეკონომიკური და სტრატეგიული ობიექ-

ტების დატბორვის მიზეზი შეიძლება გახდეს ( . . . ,

// : , . . . ,  
1999).

ბიოლოგიურ, ქიმიურ და ბირთვულ ტერორიზმს გააჩინა მოქმედების ფართო დიაპაზონი, როგორც ზიანის ხასიათის და ხარისხის, ისე მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით. მსგავსი იარაღის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა უზარმაზარი მსხვერპლი, ეპიდემიის დიდი კერძის აღმოცენება, ფსიქოლოგიური ზემოქმედება და ა.შ. (კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო, ავტორთა კოლექტივი, მთავარი რედაქტორი გ. ლლონტი, თბილისი, 2003).

ძლიერდება ტერორისტთა საქმიანობის სფეროს (ნარკობიზნესი, რეკეტი, ცეცხლსასროლი იარაღის კონტრაბანდა, პროსტიტუცია) გაფართოების ტენდენცია, ფინანსებისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგში დანაშაულებრივი დაჯგუფებების შეღწევის მცდელობა. ტერორისტულ ორგანიზაციებსა და დაჯგუფებებს შორის მყარდება მჭიდრო კავშირები. ისინი მოქმედებენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მათი ცენტრები ახორციელებენ ტერორისტთა მომზადებას მსოფლიოს სხვადასხვა ტერიტორიებზე განთავსებულ ბაზებზე, კოორდინაციას უწევენ და აფინანსებენ ტერორისტული აქტების მოწყობას მათთვის სასურველ წერტილში.

ტერორიზმის ერთ-ერთ უახლეს ფორმას მიეკუთვნება კიბერტერორიზმი. მისი მიზანი მოწინააღმდეგის სამოქალაქო და სამხედრო ინფრასტრუქტურაში არსებული ინფორმაციისა და საინფორმაციო სისტემის განადგურებაა. განარჩევენ საინფორმაციო ტერორიზმის ორ სახეს: 1) საინფორმაციო ტექნიკის ისეთი დაზიანება (ელექტრონული ან ფიზიკური), რომელსაც მწყობრიდან გამოჰყავს საინფორმაციო სისტემა და მასზე დამოკიდებული ინფრასტრუქტურა. 2) საინფორმაციო სისტემით მანიპულირება მონაცემთა შეცვლის, მოპარვის ან საერთოდ სისტემის ფუნქციის შეცვლის გზით. ([www.wikipedia.org](http://www.wikipedia.org)).

თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მრავალ სხვა გადაუქრელ პრობლემათა შორის ტერორიზმით გამოწვეულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ადამიანურ დანაკარგებს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. ტერორიზმის თავიდან აცილებისთვის აუცილებელია სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობა უსაფრთხოების საკითხებში, რათა მოხდეს ტერორიზმის პრევენცია საწყის ეტაპზე. ტერორიზმი წარმოადგენს გლობალურ საფრთხეს და მის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა ცივილიზებული სამყაროს გაერთიანება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

თ.მ. მაგრტადტი, „გავიგოთ პოლიტიკა: იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები“, თბილისი 2010

კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო, ავტორთა კოლექტივი, მთავარი რედაქტორი გ. ღლონტი, თბილისი, 2003

B. Jenkins, Terrorism and Personal Protection, Boston, 1985  
press release, SG/SM/8518

W. Laqueur, No End to War-Terrorism in the 21<sup>st</sup> century,  
New-York, 2003, ISBN 0-8264-1435-4

[www.wikipedia.org](http://www.wikipedia.org)

1999

2002

Inga Tsintskiladze

## The Problem of Terrorism in International Security

### Summary

Terrorism as an international threat and problems connected with it are discussed in this article. There are many definitions of terrorism and all of them emphasize the violence that is connected with it. Today terrorism is one of the biggest threats to society. Terrorism has existed for centuries but it especially strengthened since 20<sup>th</sup> century. Economic, human and political loss caused by terrorism may be enormous and international cooperation is necessary in order to prevent it.

20-

პონევერგენცია ეპონომიკური პოლიტიკურის  
პონტექსტში

ნატალია ლაზარევა

XX-XXI საუკუნების მიჯნა საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების კიდევ უფრო გაღრმავებით ხასიათდება, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაა.

გლობალიზაციის, როგორც პროცესის მიმდინარეობისას კიდევ უფრო მკაფიოდ ვლინდება ერთიანი ეკონომიკური სისტემის მოქმედება, რომელიც ფლობს ერთიან მსოფლიოს ტერიტორიას, და ამავე დროს ცალკე აღებულ ნაციონალურ ეკონომიკებს კარნახობს არსებობის წესებს. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებში ჩართული არიან არა მარტო დიდი ქვეყნები, არამედ პატარებიც, როგორც ეკონომიკურად განვითარებულები, ისე ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულები (Фишер П. გვ. 53).

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია წარმოადგენს რთულ, წინააღმდეგობრივ პროცესს, რომელიც წარმოებს ტექნოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური და სოციალურ - კულტურული ფაქტორებით. ამ პროცესს რთული, ხანგრძლივი ისტორია აქვს და ის შეიძლება განიხილებოდეს როგორც მნიშვნელოვანი ეტაპი მსოფლიო მეურ-

ნეობის ინტერნაციონალიზაციის - XX საუკუნის განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკაში ეკონომიკური ზრდის აუცილებელი ფაქტორი. რაც ასევე გულისხმობს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში გამოხატული სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაღრმავებას.

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესის პირველ წინაპირობას XX საუკუნის ბოლოს ინფორმაციული რევოლუცია წარმოადგენს - გლობალური ინფორმაციული ქსელების შექმნა. ინფორმაციული ტექნოლოგიები, ერთის მხრივ, ხელს უწყობენ ეკონომიკურ, ტექნიკურ, კულტურულ განვითარებას, მეორე მხრივ, კონკურენციის გაძლიერებისათვის იარაღის როლს თამაშობენ ( . . . , გვ. 27-28).

ინფორმაციული რევოლუციის კონტექსტში გლობალიზაციის სინონიმია ურთიერთშრწყმა, რაც ნიშნავს ეკონომიკების შერწყმის პროცესს კონკურენციის პირობებში და სამეცნიერო - ტექნიკური პროცესის დაჩქარებას.

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესის მეორე წინაპირობას წარმოადგენს ინტერნაციონალიზაციის მასშტაბების ჩქარი ზრდა და კომპანიებში კონკურენტული ბრძოლის გაძლიერება. რეგიონალური ტრანსნაციონალური კომპანიები „იზრდებიან“ და დებულობენ გლობალურ ხასიათს, მსოფლიო მასშტაბით სამრეწველო პროცესების ოპტიმიზაციას, რესურსების გამოყენებასა და სამეცნიერო შემუშავებას, აგრეთვე ინვესტიციების მართვას და დივერსიფიკაციას.

გლობალიზაცია ერთ-ერთი გავლენიანი ძალა, რეალური ასპექტი გახდა თანამედროვე მსოფლიო სისტემაში, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი პლანეტის შემდეგ მსვლელობას. ის ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის, სოციალური ცხოვრების, ეკოლოგიის, უსაფრთხოების ჩართვით ( [..www.strategy.kz](http://www.strategy.kz)).

ეჭვგარეშეა, გლობალიზაცია შეიცავს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ასპექტებს. მისი პოზიტიური გავლენა დაკავშირებულია კონკურენციის ეფექტთან, რომლისკენაც ის აუცილებლად მიჰყავს, ნეგატიური კი დაკავშირებულია პოტენციალურ კონფლიქტებთან, რომლებიც გარდაუვალია ამ პროცესი. მათი გარიდება პოლიტიკური თანხმობის საფუძველზე შესაძლებელია გლობალური თანამშრომლობის განვითარებით, ან ახალი საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნით. ერთადერთი ძირითადი პრობლემა დაკავშირებულია ისეთ საკითხზე, როგორიცაა, ვინ რჩება მოგებული გლობალიზაციიდან. ფაქტიურად, მემკვიდრეობის ძირითად ნაწილს მდიდარი ქვეყნები დებულობენ, ან ინდივიდები.

უსამართლო გადანაწილება გლობალიზაციის სარგებლიდან კონფლიქტების საფრთხეს ქმნის რეგიონალურ, ნაციონალურ და ინტერნაციონალურ დონეებზე. ზოგიერთი ექსპერტი გლობალური კონვერგენციის (დაახლოების პროცესი) შესაძლებლობებზე საუბრობს. მათ მოჰყავთ იმის არ-

გუმენტები, რომ დარიბი ქვეყნების ეკონომიკა, ვიდრე მდიდარი ქვეყნებისა, ვითარდება უფრო სწრაფი ტემპებით. სინამდვილეში, სწრაფი ზრდა მხოლოდ სამხრეთ - დასავლეთ აზის ქვეყნების („აზიური ვეფხვები“ - კორეა, სინგაპური, ტაივანი, ჰონკონგი) მცირე ჯგუფს ახასიათებს. იმ დროს, როცა ნაკლებად განვითარებული ეკონომიკური თვალსაზრისით სხვადასხვა ქვეყნები უფრო დაბალი ზრდის ტემპებით განსხვავდებიან, ვიდრე მდიდარი სახელმწიფოები. მათი მოგება გლობალიზაციიდან მინიმალურია. შედეგად ხდება არა კონვერგენცია ან შემოსავლების გათანაბრება, არამედ მათი პოლარიზაცია. ამ პროცესში სწრაფადგანვითარებადი ქვეყნები მდიდარი სახელმწიფოების წრეში შედიან, დარიბი ქვეყნები კი უფრო და უფრო ჩამორჩებიან მათ. შემოსავლების სხვაობა უკმაყოფილებას იწვევს მათ მხრივ, ანუ პოლიტიკურ კონფლიქტებს, რამდენადაც სახელმწიფოები მიისწრაფვიან შეუერთდნენ მდიდარი ქვეყნების კავშირს და მზად არიან მათთან ერთად მსოფლიო წარმოებაში თავისი წილის ბრძოლისათვის. საკითხის სარგებელი განაწილებას წარმოადგენს ძირითად მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში.

მეორე პრობლემა დაკავშირებულია პოტენციალურ რეგიონალურ ან გლობალურ არასტაბილურობასთან ნაციონალური ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების გამო მსოფლიო მასშტაბით. ლოკალური ეკონომიკური კრიზისი

ერთ სახელმწიფოში ღებულობენ რეგიონალურ ან გლობალურ შედეგებს. ამის ნათელი მაგალითია ფინანსური კრიზისი აზიაში, რომელიც 1997 წელს ტაილანდში დაიწყო, შემდეგ კი გადაედო სამხრეთ-დასავლეთ აზიის სხვა წვეყნებს და ბოლოს თავი იჩინა სამხრეთ კორეაში. მსგავსი მოვლენები მეტყველებენ ურთიერთდაკავშირებულ ეკონომიკებზე დაუცველობას. მსოფლიო დეპრესიას შეუძლია შეძახილებები გამოიწვიოს ურთიერთკავშირების გაწყვეტისათვის, რომლებიც გლობალიზაციის ჩამოყალიბების დროს შეიქმნა, როგორც მოხდა აშშ 30-იან წლებში დიდი დეპრესიის დროს. შედეგად, შეიძლება ეკონომიკური კონფლიქტი განვითარდეს, რომელიც შესაძლოა გადაიზარდოს ეკონომიკურ ომში ან სამხედრო შეჯახებაში.

გლობალიზაციის პროცესის შემდეგ უარყოფით მხარეს იმის შიში წარმოადგენს, რომ ეკონომიკაზე კონტროლი ცალკე ქვეყნებში შეიძლება სუვერენულ მთავრობებიდან სხვის ხელში გადავიდეს, ანუ ძლიერ სახელმწიფოებთან, ნაციონალურ, გლობალურ კორპორაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამასთან დაკავშირებით, ზოგი გლობალიზაციაში წაციონალური სუვერენიტეტის ძირსგამომთხრელ მცდელობას ხედავს. ამ მიზეზის გამო გლობალიზაციის შეუძლია წაციონალურ ლიდერებში უძლურობის გრძნობა გამოიწვიოს მის წინაშე, ელექტორატში კი - მის მიმართ ანტიპათიას. ამდაგვარი მდგომარეობა ადვილად შეიძ-

ლება გადაიზარდოს ნაციონალიზმში. გამოიწვიოს ექსტრემისტული პოლიტიკური მოძრაობების ზრდა, რაც პოტენციალურად ემუქრება სერიოზული კონფლიქტებით როვორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაში.

გლობალიზაციის პოზიტიური და ნეგატიური შედეგების ბალანსი ხშირად იცვლება. მაგრამ უდავოა, რეალობაა ის, რომ გლობალიზაცია ობიექტურ და გარდაუვალ მოვლენას წარმოადგენს, რომლის შეჩერება ალბათ მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის ხერხებით იქნება შესაძლებელი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

., 1999.

, 1 99

", 2004.

// . 2000. 2).

? 17.04.2002, <http://www.strategy.kz>

<http://works.tarefer.ru/99/102026/index.html>

XX

Natalia Lazba

### Convergence in the Context of Economic Conflict

The end of XX century and the beginning of XXI century are characterized by deepening of international economic integration processes one of the significant signs of which is the world economic globalization.

In the process of globalization a unified economic system is formed which involves the whole world territory and dictates rules to separate national economies.

What does globalization bring -a threat or new possibilities?

It is difficult to answer this question as positive and negative consequences often change. But it is not doubtful that globalization is an ineluctable process which probably can only be halted by economic policies.

სოციალური მოძრაობები

ინგა ცინცქილაძე

სოციალური მოძრაობა კოლექტიური ქმედების განსაკუთრებული სახეა. იგი ხანგრძლივი და გამიზნული ქმედებაა სოციალური ცვლილების განსახორციელებლად ან მის შესაჩერებლად. იმის გამო, რომ სოციალური მოძრაობა ფუნქციური ინტეგრაციის არსებულ მოდელს ეწინააღმდეგება, ხშირად აწყდება სხვადასხვა დაბრკოლებას. ადამიანთა ერთი ნაწილი ღიად უპირისპირდება მას, ნაწილი კი გულგრილია მის მიმართ. საზოგადოებრივი მოძრაობა მხოლოდ მაშინ არის შედეგიანი, როცა მნიშვნელოვანი ძალის მოკრებას ახერხებს. რევოლუციონერები სოციალური ცვლილების განხორციელებას მთავრობის სათავეში მოსვლით მოპოვებული ძალაუფლების საშუალებით ცდილობენ, სხვა საზოგადოებრივი მოძრაობები კი, როგორიცაა მაგალითად, ქალთა მოძრაობა, ხალხის დამოკიდებულების, რწმენის, ღირებულებების და შესაბამისად, მათი ქცევის შეცვლისკენაა ორინტირებული.

საზოგადოებრივი მოძრაობა შესაძლოა სოციალურმა უუფლებობამ და ეკონომიკურმა სიდუხჭირემ გამოიწვიოს. როდესაც არსებული სოციალური წყობით გამოწვეული უკამაყოფილება საკმარისად იზრდება, ხალხი ერთიანდება და

ბრძოლას იწყებს. კარლ მარქსი მიიჩნევდა, რომ რევოლუციებისა და სხვა საზოგადოებრივი მოძრაობების გამომწვევი ძირითადი მიზეზები სტრუქტურული სახის იყო. სხვადასხვა წარმოების მფლობელები საკუთარი უპირატესობის მოპოვებას მუშების ექსპლუატაციის ხარჯზე ცდილობდნენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ ასეთი ექსპლუატაცია ფართო-მასშტაბიან სიღარიბესა და სიდუხჭირეს იწვევს, რაც თავის მხრივ, რევოლუციის დაწყებას უწყობს ხელს. მაგალითად, საფრანგეთის რევოლუციას წინ უსწრებდა პურზე ფასების მკვეთრი ზრდა, რაც 1787-88 წლებში ცუდი მოსავლიანობით იყო გამოწვეული. როგორც ქალაქის მუშებს, ისე სოფლის მოსახლეობას შიმშილი ემუქრებოდა. 1789 წელს ისინი აჯანყდნენ. (სოციოლოგია, ქ. კალჭუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, 2008).

ფრანგმა მკვლევარმა, ალექსის დე ტოკერვილმა ხაზი გაუსვა კულტურის როლს რევოლუციებისა და სხვა სოციალური მოძრაობების პროვოცირებაში. არსებული პირობები, შესაძლოა საგრძნობლად არ გაუარესდეს, მაგრამ ახალი კულტურული იდეების გაჩენის შემდეგ ადამიანებს საკუთარი მდგომარეობა შესაძლოა აუტანლად მოეჩვენოთ. სოციოლოგები ადამიანის მოლოდინსა და მათ ფაქტობრივ პირობებს შორის არსებულ განსხვავებას შეფარდებით სიდუხჭირეს უწოდებენ (Why Men Rebel, T. R. Gurr, Princeton University Press, 1970).

შეფარდებით სიდუხჭირეს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. ტოკერვილის აზრით, ერთ-ერთი მათგანია მზარდი მოლოდინი. ზოგიერთი სოციოლოგის აზრით, სწორედ მზარდი მოლოდინი გახდა 1960-იან წლებში გეტოს ამბოხებებისა და შავკანიანთა მასობრივი მოძრაობების დაწყების მიზეზი. 1950-იანი წლების ეკონომიკურმა აღმავლობამ და სამოქალაქო უფლებათა მოძრაობის ადრეულმა მონაპოვრებმა აფრო-ამერიკელები დაარწმუნა, რომ სულ მალე მათი პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა, თუმცა სამოქალაქო უფლებათა ახალმა კანონმდებლობამ და პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონის სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამამ ბევრი ვერაფერი შეცვალა. ჯონსონის ადმინისტრაციის დიდებული საზოგადოების შექმნის დაპირება აშშ-ს ვიეტნამის ომში ჩათრევასთან ერთად უფერულდებოდა. ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო სოციალურად ფეთქებადი სიტუაციის შექმნას. 1992 წლის ლოს-ანჯელესის ამბოხება სწორედ იმ იმედგაცრუებითა და უკმაყოფილებით იყო განპირობებული, რაც სამოქალაქო უფლებათა ბრძოლაში მიღწეული წარმატების შემდეგ 1980-იანი წლების რეგრესმა გამოიწვია. (სოციოლოგია, ქ. კალჭუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, 2008).

თანამედროვე სოციოლოგთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ სოციალური მოძრაობის პროვოცირებისთვის მხოლოდ სიდუხჭირე არ კმარა. ისინი ამტკიცებენ რომ უკმაყოფილება ყოველთვის არსებობს, სოციალური მოძრაობები კი არ-

ცთუ ხშირია, რადგან უკმაყოფილებასთან ერთად საჭიროა ჯგუფის კოლექტიური ინტერესების სახელით რესურსების მობილიზაციის უნარი.

ჩვეულებრივ, სოციალური მოძრაობის წარმატება ეფექტურ ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული. სოციოლოგები ლიდერთა რამდენიმე ტიპს გამოყოფენ: მათ შორის „აგიტატორს“, ანუ „მქადაგებელს“, რომლის მოთხოვნების ჩამოყალიბების ნიჭი საზოგადოების ყურადღებას იპყრობს და „ადმინისტრატორს“, რომელსაც ძირითადი აქცენტი კამპანიის ორგანიზებაზე აქვს გადატანილი. ზოგჯერ ყველა ამ ფუნქციას ერთი ლიდერი ასრულებს. მაგალითად, უმცროსი მარტინ ლუთერ კინგი და ბეტი ფრაიდენი გავლენიანი მქადაგებლები იყვნენ, რომლებიც შავკანიანთა და ქალთა პრობლემებს ახმოვანებდნენ. თუმცა ორივე ასრულებდა ორგანიზატორის მოვალეობასაც. კინგი სამხრეთის ქრისტიანული ხელმძღვანელობის კონფერენციის სპიკერი იყო, ფრაიდენი კი - ქალთა ეროვნული ორგანიზაციისა. ამგვარი მრავალმხრივი ლიდერები არც ისე ხშირია. ამიტომ უფრო ხშირად ფუნქციების გადანაწილება სხვადასხვა ლიდერს შორის მათი უნარების მიხედვით ხდება (Introduction to Social Movements, J. Wilson, 1973).

სოციოლოგების, ჯონ მაკვარტისა და მეიერ ზალდის მოსაზრებით, თანამედროვე ეპოქის მრავალი სოციალური მოძრაობის წარმატება პროფესიონალი ლიდერების დამსა-

ხურებაა. ხალხში დაგროვილი უკმაყოფილების გრძნობა ყოველთვის როდი იწვევს საზოგადოებრივ მოძრაობას. გამოცდილ ლიდერს შეუძლია სუსტი ან ჩამოუყალიბებელი უკმაყოფილება კიდევ უფრო გაამძაფროს. სწორედ ამიტომ ასეთი მოძრაობები ხშირად მხოლოდ დაწყების შემდეგ მოიპოვებს ხოლმე ფართო მასების მხარდაჭერას. (სოციოლოგია, ქ. კალპუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, 2008).

საზოგადოებრივი მოძრაობის იდეა მე-19 საუკუნის ეპოქაში გაჩნდა მუშათა მოძრაობების პარალელურად. ბევრი დამკვირვებელი მუშათა მოძრაობებს საზოგადოებაში პროგრესისა და სოციალური ცვლილების მთავარ ძალად მიიჩნევდა. ლეიბორისტულმა მოძრაობამ, რომელსაც თითქმის მთელი ევროპის სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტური მოძრაობებიც შეუერთდა, მართლაც მოიტანა დრამატული ცვლილებები. დიდწილად ლეიბორისტული და სოციალური მოძრაობების დამსახურებაა, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში უფასო საჯარო განათლება, ჯანდაცვა და უმუშევართათვის კომპენსაცია შემოიღეს. მოძრაობის წევრებს უფრო მაღალი ხელფასები და უკეთესი სამუშაო გრაფიკი ჰქონდათ. ისინი დაზღვეულნი იყვნენ სამსახურიდან უსამართლოდ დათხოვნისგანაც. თუმცა ამ მოძრაობებს კიდევ ბევრი სხვა მოძრაობა მოჰყვა. კიდევ ბევრი ძალა იბრძოდა ცვლილებებისთვის, რომლებიც სხვადასხვაგვარი იყო.

სოციალურ მოძრაობებს ერთი საერთო მიზანი აქვთ, რაც სოციალური გარდაქმნების მიმდინარეობაზე გავლენის მოხდენაში გამოიხატება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგის-თვის მიზანი გარდაქმნების დაჩქარება, ზოგისთვის შეჩერება, ზოგისთვის კი მისი მიმართულების შეცვლა იყო, ყველა თანამედროვე მოძრაობა გამოხატავდა ადამიანების რწმენას, რომ მათი ბედი გარკვეულწილად მათზე იყო დამოკიდებული.

სოციალური მოძრაობისთვის საჭირო რესურსები მოიცავს, როგორც მატერიალურ, ისე ადამიანურ რესურსებს. ადამიანური რესურსები გულისხმობს ლიდერობას, ორგანიზაციულ ნიჭს, პირად იმიჯს და ხალხის ან იმ ინსტიტუტების საფუძვლიან ცოდნას, რომლის შეცვლაც მოძრაობის მიზანს წარმოადგენს. გადამწყვეტია მოძრაობის საქმიანობისათვის დათმობილი დრო და საქმისათვის თავდადებაც, რაც გულისხმობს მიზნის მისაღწევად სირთულეების გადალახვის მზადყოფნას. მხარდაჭერის მოპოვება შესაძლოა, როგორც მოძრაობის წევრთაგან, ისე იმ ადამიანებისგან, რომლებიც პირადად არ მონაწილეობენ მოძრაობაში, მაგრამ იზიარებენ მის მიზნებს.

სოციალური მოძრაობისთვის საჭიროა ხელსაყრელი სოციალური გარემო. რესურსების მობილიზაციისთვის საჭირო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რასაც დაგ მაკედამიკოგნიტურ (შემეცნებით) გათავისუფლებას უწო-

დებს. კოგნიტური გათავისუფლება ხდება მაშინ, როცა განაწყენებული ხალხი იწყებს ფიქრს უსამართლო ყოფაზე და ამ ყოფის კოლექტიური ქმედებით შეცვლის შესაძლებლობაზე. იმ შემთხვევაში თუ ადამიანები გააცნობიერებენ, რომ მათი პრობლემები სოციალური უსამართლობის შედეგია და არაპირადი მარცხი, ისინი უკავშირდებიან მათ მდგომარეობაში მყოფ სხვა ადამიანებს. კოგნიტური გათავისუფლება დამოკიდებულია ხელსაყრელი გარემოს შექმნასა და ორგანიზებაზე. ამ ფაქტორებს შედეგად კოლექტიური ქმედება მოაქვს. (სოციოლოგია, ქ. კალპუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, 2008).

სოციოლოგების მიერ შესწავლილი ბევრი საზოგადოებრივი მოძრაობა მხოლოდ მოკრძალებული გარდაქმნებისთვის იბრძვის, მაგალითად, მოძრაობა, რომელიც ცდილობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი და შენობები უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ინვალიდებისთვის. სხვა მოძრაობები უფრო ძირეული ცვლილებებისთვის იბრძვის, რაც ზოგჯერ რევოლუციით მთავრდება. სოციოლოგი თედა სკოპოლი სოციალურ რევოლუციის განმარტავს, როგორც სახელმწიფოებრივ და კლასობრივ წყობაში საზოგადოების სწრაფ და ძირეულ გარდაქმნას, რომელსაც თან სდევს და ნაწილობრივ მართავს კლასობრივი ამბოხი (T. Skocpol, States and Social Revolutions: A Comparative Analysis of France, Russia and China, Cambridge University Press, 1979).

სკოპოლი სოციალური რევოლუციის განმარტებას მარქსისტული და რესურსების მობილიზაციის თეორიების შერწყმით ცდილობს. მისი აზრით, რევოლუციისათვის კლასობრივი კონფლიქტი ძირითადია, თუმცა საჭიროა სოციალური კლასის წევრების ორგანიზებულობისა და მათი რესურსების გათვალისწინებაც. იმის ნაცვლად, რომ ყველა რევოლუციისათვის ერთი საერთო თეორია შეემუშავებინა, სკოპოლმა სცადა აეხსნა სოციალური რევოლუციების მიზეზები სამ ქვეყანაში: საფრანგეთში ლუი XVI ჩამოგდების დროს (1789 წ.), რუსეთში მეფე ნიკოლოზ II ჩამოგდებისას (1917 წ.) და ჩინეთში ქინგების დინასტიის დამხობისა (1911 წ.) და კომუნისტური რეჟიმის დამყარების პერიოდში (1949 წ.).

ამ რევოლუციების ძირეულად შესწავლის საფუძველზე სკოპოლმა გამოყო სამი ფაქტორი, რომლებიც რევოლუციის სხვა თეორიებში იგნორირებულია:

პირველი, რევოლუცია იშვიათად იწყება წინასწარგამიზნულად, თუმცა მისმა ლიდერებმა შესაძლოა ძალაუფლება ჩაიდგონ ხელში. რევულუცია ძირითადად გამოწვეულია სტრუქტურული კრიზისით, როგორიცაა მთავრობის საბიუჯეტო დეფიციტი ან ომი. მაგალითად, პირველმა მსოფლიო ომმა და მასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა ბიძგი მისცა 1917 წლის რუსეთის რევოლუციას.

მეორე, რევოლუციები მთლიანად შიდა ძალების ხარჯზე არ ხორციელდება. საერთაშორისო ურთიერთობები და მოვლენათა განვითარებები ხელს უწყობს კრიზისს და რევოლუციის დაწყებას.

მესამე, სახელმწიფო თავისთავად არსებობს და ყოველთვის არ არის დამოკიდებული დომინანტური კლასის ინტერესებსა და წყობაზე. რევოლუცია მიმართულია არა პირდაპირ მმართველი კლასის, არამედ სახელმწიფოს წინააღმდეგ (T. Skocpol, States and Social Revolutions: A Comparative Analysis of France, Russia and China, Cambridge University Press, 1979).

სოციალურ მოძრაობებს შეუძლია მოიტანოს მნიშვნელოვანი ცვლილებები საზოგადოებრივი წყობილებისა და მთელი კულტურის შეცვლის გზით. ასე მოხდა ქალთა და მუშათა მოძრაობების შემთხვევაში. ამრიგად, სოციალური მოძრაობები საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

### გამოყენებული ლიტერატურა

სოციოლოგია, ქ. კალპუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, თბილისი, 2008

Introduction to Social Movements, J. Wilson, New-York, 1973

T. Skocpol, States and Social Revolutions: A Comparative Analysis of France, Russia and China, Cambridge University Press, 1979

Why Men Rebel, T. R. Gurr, Princeton University Press, 1970

Inga Tsintskiladze

## Social Movements

### Summary

Social Movements and their importance are discussed in this article. Social movements are collective actions that aim to bring social changes. Different factors that cause social movements are analyzed in this paper and examples of different types of social actions are given in the article.

ლობიზმი როგორც პოლიტიკური  
პოლიტიკა

სალომე კინწურაშვილი

ლობიზმი გულისხმობს საკანონმდებლო ორგანოსა და სახელმწიფოს მაღალი რანგის ჩინოვნიკებზე ზემოქმედების პრაქტიკას, რომლის მიზანია შესაბამისი ჯგუფების ინტერესების კვალად სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა (გარკვეული კანონპროექტების, სახელმწიფო შეკვეთების, სუბსიდიების მიღება, რელიგიური ან ქალთა ინტერესების დაცვა და ა.შ.). ამ მიზნით დასავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, არსებობს სააგენტოების განვითარებული ქსელი, რომლებიც გამოხატავს მსხვილი კომპანიების, პროფესიონალური თუ სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ინტერესებს. ლობისტებად, როგორც წესი, აჰყავთ პროფესიონალი შუამდგომლები, რომლებიც მუშაობენ პოლიტიკისა და პოლიტიკური რეკომენდაციების სფეროში საკონსულტაციო ბიუროებსა და კომპანიებში. მას რთული ხასიათი აქვს და არაერთგვაროვანია მისი განმარტება და ასევე მისდამი დამოკიდებულება სამკეცნიერო ლიტერატურაში და პუბლიცისტიკაში.

ლობიზმი საბაზრო ტიპის დემოკრატიის ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოს პოლიტი-

კური პროცესისი ღიაობას და ზღუდავს სახელმწიფო ხელი-სუფლების თვითნებობას.

თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებებიც რომ ლობიზმი არის კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, რომ პოლიტიკაზე ხდება ზენოლის განხორციელება, ერთი სიტყვით ლობიზმს უკავშირებენ კორუფციას.

მრავალი კითხვა ისმის იმის შესახებ თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში ლობიზმი? რა არის ლობირება? ხელს უწყობს თუ აქვეითებს ლობიზმი დემოკრატიის განვითარებას? ამ კითხვებზე საპასუხოდ აუცილებელია დავიწყოთ კვლევა ამისა რა არის ლობიზმი და საიდან წარმოიშვა ის.

პირველ რიგში უნდა ითქვას რომ ლობიზმი დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. ლობიზმი უფრო მეტად იქაა სადაც მეტია რელური ხელი-სუფლება. ლობიზმი ხელისუფლების სახეა.

ლობიზმის სისტემაში მჭიდროდაა დაკავშირებული სრულიად მრავალფეროვანი ინტერესები: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და მრავალი სხვა. თუმცა ლობიზმის ცნების შესწავლა მაინც უკავშირდება ეკონომიკის სფეროს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით მრავალ განსაზღვრებას ლობიზმზე, რომლებიც გვაძლევენ სხვადასხვა ახსნას ამ ტერმინის ირგვლივ, თუმცა თავად ტერმინი „ლობიზმი“. არც ისე ხშირად გამოიყენება პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში.

ლობირება – სხვებზე ზეგავლენის მოხდენის ხელოვნებაა, მაგრამ როგორც პოლიტიკური მოვლენა ის უფრო მნიშვნელოვანია. ლობიზმს განვიხილავ როგორც პოლიტიკური კომუნიკაციის ერთ–ერთ სახედ, მას ძალზედ მნიშვნელოვანი როლი აკისრია სახელმწიფოს დემოკრატიულობაში.

საქართველოს დღევანდელობაში ისეთი მოვლენა. როგორიცაა ლობირება ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კანონი ლობიზმის შესახებ. ხშირად ჰგონიათ, რომ ტერმინი „ლობიზმი“, მანდამაინც სალანდღავი სიტყვის შინაარსის მატარებელი უნდა იყოს.

მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ლობიზმი ჩვენს ქეყანაში, ჩვენს საზოგადოებაში მაინც არსებობს, საჭირო ნამდვილად არ არის ამის იგნორირება, არამედ პირიქით მისი გარკვევა და ცივილიზებული ფორმების მიცემა.

ლობიზმი, როგორც ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესების დაცვისა და გატარების მექანიზმი, ალბათ უძველესი დროიდან არსებობს. ის თანამედროვე მსოფლიოს ფენომენია.

XVI საუკუნეში შუა საუკუნეების ლათინური ენიდან ინგლისურში შევიდა სიტყვა „ლობი“, და გამოიყენებოდა მონასტრებში გადასასვლელების ან გადახურული გალერეების აღსანიშნავად.

მეცნიერების სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს იმასთან დაკავშირებით თუ როდის გამოჩნდა ასპარეზზე თანამედროვე ანუ პოლიტიკური მნიშვნელობით „ლობიზმის,,

ცნება.ეს ცნება პირველად გამოჩნდა 1808 წელს აშშ-ს მე-10 მოწვევის კონგრესის ოქმებში.

XIX საუკუნის შუახანებიდან კი უკვე აქტუალური ხდება ტერმინი „ლობი“, და „ლობიზმი“, ამერიკულ პოლიტიკურ ლექსიკონებში. 1864 წლიდან ტერმინი „ლობირება“, აღნიშნავს „ფულით ხმების ყიდვას კონგრესის დერეფნებში“, ასეთი ქმედება არ იყო მოსაწონი საზოგადოების-თვის და ტერმინი „ლობი“, ძნელად მკვიდრდებოდა. ლობისტებისადმი დამოკიდებულება ხშირად ცუდი იყო, ამიტომ 1913 წელს ვუდრო ვიდლსონმა პრეზიდენტობის დროს მოითხოვა, რომ ლობისტებს აშშ-ის დედაქალაქი დაეტოვებინათ.

ტერმინი ლობიზმის პოპულარობა ინგლისურენოვან ლიტერატურაში XX საუკუნის 50–60-იანი წლების შუა ხანებში ჩნდება, თუმცა ის უკვე სხვა შინაარსის მატარებელი იყო. ხშირად იგებდნენ, როგორც სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედების არასაპარლამენტო პროცესს. დღემდე აშშ – ში ზოგიერთები ლობირებას განიხილავენ როგორც ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებით მანიპულირების მცდელობას.

ლობიზმის ინსტიტუტი დგეს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს. თუმცა ყველა ქვეყანაში მას თავისი ფორმა და შინაარსი გააჩნია.

ლობისტები და მათი ჯგუფები შუამავლობის ფუნქციას ასრულებენ საზოგადოებისა და სახელმწიფო ორგანოებს შორის, კერძოდ, სახელმწიფო ოგანოების ინფორმირებას ახ-

დენს საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში არ-  
სებული მდგომარეობის შესახებ.

ლობიზმს აფასებენ როგორც პოზიტიურად ისე ნეგა-  
ტიურადაც, რადგანაც მას აქვს არა მარტო “ლეგალური”,  
არამედ „ჩრდილოვანი“, მნიშვნელობაც და იგი „მოსყიდვის“,  
სინონიმადაც აღიქმება. ნეგატიური ლობიზმის მაჩვენებლად  
ითვლება უკანონო ზენოლა ხელისუფლების წარმომადგენ-  
ლებზე, მექრთამეობა, კორუფცია. აი ამგვარი გაგების გამო  
ჩამოუყალიბდა მას ნეგატიური გაგება.

პოზიტიური გაგებით იგი ხასიათდება როგორც სასი-  
ცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც დემოკრატი-  
ული სახით გამოდის ასპარეზზე. მისი მიზანია მიიზიდოს ხე-  
ლისუფლების ყურადღება.

ჩემი აზრით, იქ სადაც ხელისუფლება არაა, არც ლო-  
ბიზმია, რადგანაც, ლობიზმი აშკარად ხელისუფლების თან-  
მდევი ნიშანია. ამიტომაც იგი ასრულებს პოლიტიკური ინ-  
სტიტუტის როლს, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის  
დაინტერესებული ჯგუფების სრულ მონაწილეობას სახელ-  
მწიფო მმართველობაში. ისინი პარლამენტში გამოხატავენ  
კორპორაციულ, პოლიტიკურ ინტერესებს და შედეგად პარ-  
ლამენტში რეალიზდება მრავალი სახის წარმომადგენლობა:  
პარტიები, რელიგიური, ეთნიკური, პროფესიონალური და  
ა.შ.

ლობისტები ხშირად მონაწილეობას იღებენ კანონპრო-  
ექტის შექმნისას და მათი კარგი მუშაობა დადებითად აისა-

ხება მთლიანად საზოგადოებაზე და ეს გარემოება განაპირობებს იმას, რომ ნებისმიერ ქვეყანაში დაინერგოს ლობიზმის ინსტიტუტი, პოლიტიკური კულტურისთვის მისაღები ფორმით.

მისი ძირითადი ფუნქციებია: შუამავლობა მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის, საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება და დაცვა, კანონპროექტების შექმნა.

ერთ-ერთ სტატიაში ეწერა, რომ „ლობისტები თურმე ევროკავშირს საფრთხეს უქმნიან. ევროკავშირისაგან განსხვავებით, დღეს საქართველოს რეგისტრირებული ლობისტები აღარ ჰყავს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქმე კულუარებში წყდება და არავის ანყობს საქმის დეტალების გამჭვირვალობა. არც არარეგისტრირებული ლობისტების რაოდენობაა ცნობილი. ჩვენთან მთავარი ისაა, რომ ლობისტური საქმიანობის შესახებ კანონი მივიღეთ, მერე რა რომ არ მოქმედებს. მთავარია კანონი გვაქვს და როცა საჭირო იქნება, ამოქმედდება კიდეც.“

„კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ“ პარლამენტმა 1998 წელს მიიღო. გამოჩნდნენ პირველი ლობისტებიც. მათი პირველი კლიენტები უცხოური კომპანიები იყვნენ, რომლებმაც საკუთარი საქმიანობის ლობირება „პირველი ლობის“ წევრებს მიანდეს. ავსტრიელებსა და ქართულ-ამერიკული კომპანია „ბაგრატიონთან“ წარმატებული თანამშრომლობის შემდეგ „პირველ ლობს“ საკუთარი ინტერესების დაცვა კომპანია „ეი-ეს თელასმაც“ მიანდო, თუმცა მათი

ტანდემი ვერ შედგა. „ეი-ეს თელასმა" საქართველო მალე დატოვა. ვარდების რევოლუციის შემდეგ კი ლეგალური ლობიზმი აღარავის დასჭირდა. შევარდნაძის ეპოქაში თამაშის ახალი წესების დამკვიდრების მცდელობა პოსტრევოლუციური საქართველოსთვის მიუღებელი აღმოჩნდა, თუმცა არც ახალი წესების დამკვიდრებაზე შეუწუხებია ვინმეს თავი.

როგორ ლობირებენ კომპანიებს საქართველოში ეს ყველაზე ნათლად მრავალფეროვანი ტენდერებისა და პრივატიზაციის დროს სჩანს, როდესაც ტენდერები ფიქტიურია და ინვესტორთა ბედიც კულუარებში და კაბინეტებში წყდება. აბა ვის რაში სჭირდება ლიად დააფიქსიროს თანხების მოძრაობა, ან რატომაა გამარჯვებული ესა თუ ის კომპანია, როცა მასზე უკეთეს პირობებს სახელმწიფოს სხვა კომპანია სთავაზობდა. ანგარიშვალდებულება კი კანონიერი ლობირების დროს კანონის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა. ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული, თუ გაჭირვებული ადამიანების სახელებზე გადაფორმებული კომპანიების ნამდვილ მეპატრონეთა მოძიება კი უსიერ ტყეში გავლის ტოლფასია.

თავი იმითლა შეგვიძლია დავიმშვიდოთ, რომ ჩვენ ევროპისაკენ მივიჩქარით. ჩვენი მეგობარი ამერიკაც ლეგალური ლობისტური ორგანიზაციების სიმრავლით გამოირჩევა და საქმეც კვალიფიციურად, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე კეთდება. იქნებ მათი გამოცდილება გავიზიაროთ და რამდენიმე წლის შემდეგ მაინც, ლია ლობისტური

ორგანიზაციები ჩამოყაყალიბოთ. ბიზნესმენთა ფედერაციაში ამის იმედი აქვთ, რადგან იქ იციან, რომ ბიზნესისათვის ღია ლობირება ძალიან მნიშვნელოვანია.

ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში ლობიზმს უდიდესი მნიშვნელობა აკისრია, ის ძალიან დიდ ფუნქციას ასრულებს ამერიკის, როგორც, სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად შეიძლება გამოიყოს სამი ტიპი ლობიზმზე შეხედულებებისა და მისი კონტროლის შესახებ.

1. მსოფლიო მხარდაჭერა ლობიზმს, ლობისტური პროცესის პოპულარიზაცია. ამის გამოხატულებაა უპირველეს ყოვლისა ამერიკელი ლობისტების ლიგა, რომელმაც შეიმუშავა ლობისტების ეთიკური კოდექსი. ეს ორგანიზაცია ეწევა პროპაგანდას ლობიზმის მნიშვნელობის შესახებ და თუ რა მნიშვნელოვანი ის სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებაში.

2. ნეიტრალური დამოკიდებულება ლობიზმისადმი და მისი განხილვა როგორც ჩვეულებრივ პოლიტიკურ მოვლენად. აღნიშნული ტიპის მიმდევარია პოლიტიკური ცენტრი, რომლის ძირითადი ამოცანაა ობიექტური ინფორმაციის მიწოდება ლობისტების საქმიანობის შესახებ.

3. ლობისტების საქმიანობის კრიტიკოსები. ამ ტიპის მიმდევრები ცდილობენ ლობისტური საქმიანობის შემჭიდროებას ან მკაცრ კონტროლზე აყვანას. მათი აზრით საზოგადოების ჯგუფებს უნდა შეეძლოთ თავიანთი ინტერესების

შესახებ პეტიციების წარდგენა და მიღების მოთხოვნა ლობისტებისა და მათი შუამდგომლობის გარეშე.

ასეთი შეხედულებების ფონზე ჩვეულებრივი მოქალაქეების დამოკიდებულება ლობიზმისადმი აშშ-ში არის ნეგატიური. ისინი თვლიან, რომ ლობისტების საქმიანობა აკნინებს დემოკრატიულობას, არღვევს ამომჩეველთა ინტერესებს და ზოგადად აზიანებს დემოკრატიას.

მიუხედავად იმისა, რომ ლობისტები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ კანონის ფარგლებში, მათი საქმიანობა ყოველთვის იქცევს უურნალისტების ყურადღებას და განხილავენ ლობისტური საქმიანობის ეთიკურ მხარეებს.

ლობიზმს ასევე განიხილავენ, როგორც კანონიერი კორუფციის გამოხატულებად, რადგანაც ლობიზმსა და კორუფციას აერთიანებს ის გარემოება, რომ ორივე მიმართულია სახელმწიფო თანამდებობის პირის ქმედებაზე, რომ მიიღოს ესა თუ ის გადაწყვეტილება ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესების შესაბამისად. ხშირად ხდება, რომ ქრთამის აღებაც მომხდარა, ამიტომ აშშ-ს კანონმდებლობა მიმართულია: ხელისუფლების მიმართ გამჭვირვალობაზე, მოხდეს ლეგიტიმური კორუფციის გამოვლინების ლიკვიდაცია, აიძულებს ლობისტებს და მის დამკვეთებს უარი თქვან ქრთამის და მოსყიდვის ფორმის შედეგის მიღწევაზე.

აშშ-ში ლობისტური საქმიანობა მკაცრად რეგულირდება კანონითა და ეთიკის კოდექსით, რათა ის არ გადაიქცეს კანონიერი კორუფციის ფორმად. ამიტომ ლობისტებს ეკ-

რძალებათ ძვირადღირებული საჩუქრების გადაცემა ამა თუ იმ თანამდებობის პირზე. ერთადერთი გამონაკლისი ლობისტების მიერ თანხის ალებისა არის, როდესაც ფინანსდება პოლიტიკური პიარ კამპანია ან საარჩევნო კამპანია.

ლობირება ბოროტებაა არსებობს ასეთი წარმოდგენანა, რომელიც გავრცელებულია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ დასავლეთშიც, რაც გულისხმობს, რომ ლობირება წარმოადგენს არაეთიკურ პრაქტიკას, რომელიც ვრცელდება და ყვავის პოლიტიკურ წრეებში ქრთამებისა და პოლიტიკური ფავორიტიზმის მეშვეობით, სინამდვილეში კი, ლობირება არც მეტი არც ნაკლები, არის ერთნაირად მოაზროვნეთა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც გამოხატავს საკუთარ მოსაზრებას.

ლობიზმი თავისი არსით ხელს უწყობს პროცესების საჯარობას, აფართოებს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილე სუბიექტთა წრეს და ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლების ბიუროკრატიულ ჩარჩოებს. ამასთან, ლობიზმი წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების თვითორგანიზაციის მვიშვნელოვან ინსტრუმენტს, საზოგადოებაში არსებული მრავალგვარი ინტერესების გამოხატვისა და აღნიშნული ინტერესების რეგულირებისა და დიფერენციაციის საშუალებას. მის მნიშვნელოვან მახასიათებლად უნდა იქნეს მიჩნეული ასევე საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისა და ექსპერტული მოსაზრებების ჩამოყალიბება საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანეს და პრობლემურ საკითხებზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

მაცაბერიძე მ. „თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბება,, პოლიტოლიგია(ლექციების კურსი), თბ. 2001;

მაგცადი თ. მ., გავიგოთ პოლიტიკა, იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები,ქართული გამოცემა, თბ., 2010;

„ლობიზმის სამართლებრივი რეგულირება საერთაშორისო პრაქტიკაში, კორუფციის კვლევითი ცენტრი თბ; 1998

მეტრეველი ვ., დავითაშვილი გ. „პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია,,(ლექციების კურსი). თბ. 1999;

[http://www.rg.ru/anons/arc\\_2000/0516/2.htm](http://www.rg.ru/anons/arc_2000/0516/2.htm)

<http://www.law.edu.ru/article/article.asp?articleID=145126>

<http://allpolitologija.ru/lobbizm-v-politicheskoy-zhizni-obshhestva/>

[http://www.stratagema.org/publications/lobby/item\\_68.html](http://www.stratagema.org/publications/lobby/item_68.html)

[http://ecsocman.hse.ru/data/935/368/1217/006\\_Lobbizm.pdf](http://ecsocman.hse.ru/data/935/368/1217/006_Lobbizm.pdf)

<http://thelobbyconference.com/the-lobby/>

**Salome Kintsurashvili**  
**Lobbyism as political communication**  
summary

It should be noted that actuality of the theme is caused by the factors that are spread among political processes in the countries around the world and also its systematic establishments in daily activities of these institutions. Increased number of interest groups and lobbyist among leading countries and its involvement in decision making processes made the terms *lobbyism* and *lobbying* broadly used words in political and juridical sciences, as well as in daily speech. Due to these processes these terms will cause scientific interest.

პოლიტიკური იმიჯის შექმნის ზოგიერთი  
თავისებურების შესახებ

*ირინე ცინცაძე*

ჯერ კიდევ 1920-იან წლებში ამერიკელი სპეციალისტი აივი ლი წერდა, რომ იმიჯი არამდგრადია, შეიძლება მისი შეცვლა, ტრანსფორმირება. მაგრამ აქაც არსებობს თავისი შეზღუდვები. წლების მანძილზე ადამიანთა ცნობიერებაში მკვიდრდება პოლიტიკოსის გარკვეული სახე და ის დამოკიდებული ხდება თავის იმიჯზე. უფრო მეტიც, პოლიტიკოსის იმიჯი თავად პოლიტიკოსზე დიდხანს ცოცხლობს და ხდება პოლიტიკური პარტიის, სახელმწიფოს ან მთელი ეპოქის სიმბოლო (მაგალითად, სტალინის, ტეტჩერის, ბრეჟუნევის და სხვათა სახეები).

თუმცა მოდით ჯერ განვმარტოთ ტერმინი „პოლიტიკა“ და შემდეგ პოლიტიკური იმიჯის შექმნაზე ვიმსჯელოთ.

„პოლიტიკა“ - ეს არის: 1. საზოგადოების და სახელმწიფოს მართვის ხელოვნება. 2. საზოგადოებრივი იდეების ერთობლიობა და მისგან გამომდინარე მიზანმიმართული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოებს ხალხებს, ერებს, სოციალურ ჯგუფებს შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან.

პოლიტიკა როგორც მეცნიერება, შეისწავლის სახელმწიფო მიზნების მიღწევის ხერხებს. განასხვავებენ საშინაო და საგარეო პოლიტიკას. პირველი მათგანი განისაზღვრება იმ მიზნების შინაარსით, რომელსაც ისახავს მთავრობა და საზოგადოების მმართველი კლასები, და იმ საშუალებებით, რომლითაც ეს მიზნები მიიღწევა.

რაც შეეხება „იმიჯის“ განმარტება - ეს არის გარეგნული სახე, რომლითაც პიროვნება ან ორგანიზაცია საზოგადოების წინაშე წარსდგება. განსაკუთრებით საინტერესოა პოლიტიკური იმიჯი - პოლიტიკური მოვლენის მიზანმიმართულად ფორმირებული სახე, რომელიც მოწოდებულია პოპულარიზაციის, წარმატების მიღწევისა და სხვა მიზნით ემოციურ-ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინოს ხალხზე, ელექტორატსა და სხვ.

ძირითადი კომუნიკაციური ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს კონტაქტს პოლიტიკის სუბიექტებს შორის, არის პოლიტიკური იმიჯი.

თუ განვიხილავთ პოლიტიკური მარკეტინგის კატეგორიაში, პოლიტიკური იმიჯი არის პოლიტიკური საქონლის მიზანმიმართულად შექმნილი სახე, რომელიც მიმართულია მისი პოზიციონერებისაკენ და უზრუნველყოფს საინფორმაციო სივრცეში მის მყარად ყოფნას.

კანდიდატის სახე, რომლის შექმნაზეც მუშაობენ პოლიტიკური კონსულტანტები, იმიჯმეიკერები, როგორც წე-

სი, საინფორმაციო სივრცეში ყოველთვის განიცდის გარკვეულ სახეცვლილებას.

პოლიტიკური იმიჯის არასწორად აღქმა, ხშირად თავად პოლიტიკური ობიექტის ბრალია, ვინაიდან არცთუ იშვიათად პოლიტიკოსი ვერ ახერხებს თავისი იმიჯმეიკერის ჩანაფიქრის განხორციელებას და ვერ მიჰყვება ქცევის დაგეგმილ მოდელს.

ამრიგად, იმიჯმეიკერების მიერ, პოლიტიკოსის სახე, რომელსაც შეგნებულად აყალიბებენ, არასოდეს ემთხვევა იმ სახეს, რომელიც სპონტანურად ყალიბდება რეალურ საინფორმაციო სივრცეში, ე.ი. იმას თუ როგორ წარმოდგება პოლიტიკოსი მოქალაქეების თვალში. ყველაფრის მიუხედავად, იმიჯი არის პოლიტიკოსის საჯარო სახე და მისი დანიშნულება საზოგადოებაში პოზიტიური რეაქციის გამოწვევაა.

სხვათაშორის ძალიან საინტერესოა პოლიტიკური იმიჯის შექმნა და წარმოდგენა წინასაარჩევნო პერიოდში. რა თქმა უნდა ამ შემთხვევაშიც პოლიტიკური იმიჯის შექმნაზე პიარ სპეციალისტები, სპინდოქტრები ზრუნავენ. სპეციალურად შემუშავებული გეგმით მოქმედებენ, რათა საზოგადოების წინაშე კანდიდატი წარმოაჩინონ უაღრესად კეთილშობილ ადამიანად, ქვეყნის, რეგიონის, რაიონის ინტერესების დამველ პიროვნებად.

რატომ?

იმიტომ, რომ კანდიდატი - ეს არის საარჩევნოკამპანიის მთავარი რგოლი. მისი ქცევა და იმიჯი განსაზღვრავს წარმატებულ სამუშაოს, ის უნდა ახდენდეს დადებითი ემოციისა და ენთუზიაზმის დემონსტრირებას.

კანდიდატის იმიჯი შეიძლება შეიქმნას ისეთი ბიოლოგიური მახასიათებლების მოდელირებით, როგორიცაა ძალა, გამძლეობა. შრომისმოყვარეობა. პოლიტიკოსს არ უნდა ჰქონდეს დაღლილი, იმედგაცრუებული, ძალაგამოცლილი იერი, რადგან ჯანმრთელი ადამიანისადმი ნდობა უფრო დიდია. პოლიტიკოსის იმიჯი უნდა შეესაბამებოდეს მასების სოციალურ მოლოდინს, აკმაყოფილებდეს ადამიანთა რამდენიმე საერთო მოთხოვნას.

პიარ სპეციალისტს უნდა ახსოვდეს, რომ იმიჯი მხოლოდ ობიექტის ფრაგმენტია, რომელიც ადამიანს შესაძლებლობას აძლევს შეავსოს ის ახალ - ახალი თვისებებით, ან შეცვალოს საერთო მიმართულება. სპეციალისტმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მარეგულირებელი ძალა.

ლირებულებები, რომლითაც იმიჯი „ავსებს“ ობიექტს, შეიძლება სინამდვილეში არც გააჩნდეს მას, მაგრამ ამ ფასეულობებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმ ადამიანებისათვის, რომლებიც იმიჯს აღიქვამენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შექმნილი იმიჯი, როგორც წესი, სიმბოლოა და არა რეალობა.

რისგან შედგება პოლიტიკური იმიჯი? იმიჯს საფუძვლად უდევს ის თვისებები, რომლებიც იდალიზირებულ ან დადებით რექციას იწვევს საზოგადოებაში, ესაა ადამიანთა ნორმატიული წარმოდგენები, რომლებიც მათ გადააქვთ პოლიტიკოსზე. ამის წყალობით იმიჯი აღწევს თავის მთავარ მიზანს - საზოგადოების პოზიტიური რეაქციის საფუძველზე პოლიტიკოსს შეუქმნას მაღალი რეპუტაცია და უზრუნველყოს მხარდაჭერა.

რა თქმა უნდა, საზოგადოების განწყობა და მასთან ერთად პოლიტიკოსების იმიჯის გარკვეული ნიშნები იცვლება და მისი კორექტირება შესაძლებელია, მაგრამ მისი ძირეული შეცვლა შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკოსი დარტყმის ქვეშ აყენებს თავის კარიერას.

ისეთი თვისებები, როგორიცაა პატიოსნება და წესიერება, სანდოობა და სამართლიანობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკოსის რეპუტაციისათვის. ამ თვისებების არ არსებობამ, შეიძლება დამღუპველად იმოქმედოს მის იმიჯზე.

პოლიტიკური პროგრამა იდეებისა და პრონციპების ერთობლიობაა, რომელიც პოლიტიკოსმა უნდა დაიცვას და განახორციელოს ცხოვრებაში, პოლიტიკოსის სხვადასხვა სფეროში - სოციალურიდან ეკონომიკურის ჩათვლით.

როგორც წესი, ძირითადად, მოსახლეობის ფართო ფენა არ კითხულობს და შესაბამისად არ იცის ყველაზე ცნობი-

ლი და პოპულარული პოლიტიკოსის პოლიტიკური პროგრა-  
მებიც კი. ისინი ელოდებიან და აფასებენ მხოლოდ შედეგს.

პოლიტიკოსის საქმიანი თვისებები პირდაპირ მოქმე-  
დებს მის იმიჯზე. ფასდება აგრეთვე კომპეტენტურობა,  
ჭკუა, განათლება, გამბედაობა. თავისი საქმის ცოდნა ერთ-  
ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა, რომელიც მოეთხოვება პო-  
ლიტიკოსს.

აქვე უნდა განვმარტოთ. რომ ყველა პოლიტიკოსი არ  
არის დაბადებით ლიდერი, მაგრამ აუცილებლად უნდა  
ფლობდეს ისეთ თვისებებს, როგორიცაა პრინციპულობა და  
გამბედაობა გადაწყვეტილების მიღების დროს, დამაჯერე-  
ბელი და შთამბეჭდავი სიტყვით გამოსვლა ხალხის წინაშე,  
სიტუაციის განჭვრეტის უნარი.

პოლიტიკური ლიდერისაგან ხალხი ელოდება პრობლე-  
მების დაინტერესებას, გულისხმიერებას, დახმარების სურ-  
ვილს. ის უნდა იყოს გულწრფელი და ადვილად მისაწვდომი  
ყველასათვის.

აუცილებელია პოლიტიკური იმიჯი არამხოლოდ საკუ-  
თარ ძალებში დარწმუნებული და ყოველთვის მოწესრიგებუ-  
ლი პიროვნება იყოს, არამედ გარეგნული იერსახით იგი ძა-  
ლიან არ უნდა განსხვავდებოდეს იმ ადამიანებისაგან, რო-  
მელთაც მას ურთიერთობა უნდეს სამსახურეობრივი მოვა-  
ლეობის, ან საზოგადოებრივი საქმიანობის შესრულების  
დრო.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ პოლიტიკოსის იმი-  
ჯი საკმაოდ რთული შესაქმნელია, ის პოლიტიკოსისა და  
ამავდროულად, იმიჯმენიკის დიდ ძალისხმევას მოითხოვს,  
ვინაიდან, პოლიტიკოსი უნდა გამოიყურებოდეს მათზე უკე-  
თესად, ვინც მას ხმას აძლევს, მაგრამ არა იმდენად, რომ ამ  
უკანასკნელმა მათ ფონზე თავი დაჩაგრულად და არაკომ-  
ფორტულად იგრძნონ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- ს. ლომინაძე, PR - კამპანიები PR პრაქტიკაში, თბ. 2009
- ი. ჟვანია, გ. კიკნაძე, ლიდერი და ლიდერობა
- მ. მაცაბერიძე, პოლიტიკური კომუნიკაცია, იმიჯის ფორმირება, თბ. 2014

[www.Wikipedia.org](http://www.Wikipedia.org)

Irina Tsintsadze

### About Same originality of Making Political Images Summary

In the 1920s American specialist Ivy Lee wrote that the image is unstable, it can be changed, transformed. But there are also some limitations. Over the years a human consciousness forms a certain face of a politician and he (a politician) becomes dependent on his image.

A political image is the main communication unit, which provides contact between the subjects of politics.

In order to create a political image it is necessary not only to be a confident and disciplined person, but also not to differ greatly from those people with whom this person has relationship at work or during public appearances.

1920-

( )

პოლიტიკური ლიდერის ფინომენი

ხათუნა მურადიშვილი

ტერმინი „ლიდერი“ ეტიმოლოგიური განმარტებით ნიშნავს პიროვნებას, რომელსაც მოცემული ჯგუფის ინტერესების დასაკმაყოფილებლად ერთობლივი მოქმედებებისათვის, ინტეგრაციის მიზნით, ძალუძს სხვაზე ზემოქმედების მოხდენა. პოლიტიკაში მოქმედების მასშტაბისა და ხასიათის მიხედვით ანსხვავებენ სამი ტიპის ლიდერს:

- მცირე ჯგუფის ლიდერი;
- საზოგადოებრივი მოძრაობის (ორგანიზაციის, პარტიის) ლიდერი;
- პოლიტიკოსი, რომელიც მოქმედებს ძალაუფლების ურთიერთობების სისტემაში, სადაც პოლიტიკური ლიდერობა სოციალური ინსტიტუტის ხასიათით არის წარმოდგენილი;

მიუხედავად იმისა, რომ ლიდერი უძველეს, უნივერსალურ სოციოლოგიურ-კულტურულ ფენომენს წარმოადგენს და პოლიტიკური სფეროს აქტიური ელემენტი გახლავთ, XX საუკუნემდე არ არსებობდა მისი, როგორც მოვლენისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების შემსწავლელი მეცნიერება რომელიც კონკრეტულად იქნებოდა ლიდერის თვისებების, აუცილებელი ფსოქოლოგიური მახასიათებლების და ლიდერისათვის საჭირო ნიშან-თვისებების კვლევაზე ორიენ-

ტირებული. დღეს მსოფლიო პოლიტიკურს არენაზე კი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციის მატარებელს სწორედ ლიდერი წარმოადგენს.

ზემოთხსენებული საკითხის განხილვამდე უნდა განიმარტოს რამოდენიმე საკითხი:

- უპირველესად საჭიროა განიმარტოს ლიდერობის ცნება;
- უნდა მოხდეს ლიდერის ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება;
- უნდა დაისახოს მიდგომები და პერსპექტივები აღნიშ-ნული მიმართულებით კვლევის განვითარებისათვის;

პოლიტიკური ლიდერის პრობლემატიკა ყველა დროის აქტუალური საკითხია. პოლიტიკაში ლიდერობა ეს ხელმძღვანელობის სპეციფიკური ფორმაა, რომელიც გავლენას ახდენს, როგორც სახელმწიფოზე, ასევე მოქალაქეზე და ზოგადად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. უპირველეს ყოვლისა განსაკუთრებით საყურადღებოა ლიდერის პირადი თვისებების ხარისხობრიობა, იმდენად რამდენადაც თავისი ქმედებით ის ქმნის სახელმწიფოს, რეგიონის იმიჯს. რეგიონული პოლიტიკური ლიდერობა კი ეს არის განსაკუთრებულად ურთიერთდამოკიდებული პროცესი, რომლის დროსაც მოსახლეობის ერთი ნაწილი გამოხატავს თავისი მიმდევრების მოთხოვნილებებსა და ინტერესებს და შესაბამისად სარგებლობენ პრესტიულითა და გავლენით, ხოლო მოსახლეობის მეორე ნაწილი აძლევს მათ საკუთარ პო-

ლიტიკურუფლებამოსილებას, ასევე უფლებას განახორციელონ მიზანმიმართულად თავიანთი წარმომადგენლობა. აღნიშნული ფენომენის ასეთმა ინტერპრეტაციამ საკმაოდ ფართოგანზოგადება ჰქოვა, რადგან ლიდერის ფენომენის სრულყოფილი არეკვლა მხოლოდპოლიტიკურპრაქტიკაში აისახება. ნებისმიერი ტიპის სოციალურ ურთიერთობაში ჩნდება მიმართება დომინანტი - დაქვემდებარებული.

ლიდერი სწორედ ის ადამიანია, რომელსაც აქვს ყველაზე მეტი ბერკეტი საზოგადოების წევრებზე ზეგავლენის მოსახდენად. თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ თავად ლიდერი არ განიცდის საზოგადოების ზეგავლენას. ისევე როგორც ლიდერის პიროვნება და მისი ქცევის წესი განსაზღვრავს საზოგადოებაში ცხოვრების დონეს, ასევე საზოგადოების წევრთა ღირებულებითი ორიენტაციები გავლენას ახდენს ლიდერის ქმედებებზე.

კატეგორია - პოლიტიკური ლიდერი საინტერესოა, რადგანაც მის ხელშია პოლიტიკის საფუძველი - ძალაუფლება და სწორედ ის აძლევს მიმართულებას შემდგომ პოლიტიკურ პროცესებს. მაქს ვებერი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკა მომზიდვლელია სწორედ იმის გამო, რომ იძლევა ძალის ფლობის შეგრძნებას “ძალაუფლების ინსტინქტი”, რომელიც ბუნებრივია პოლიტიკოსისთვის, აძლევს მას საშუალებას იმოქმედოს მიზნის მისაღწევად. ვებერი თვლის რომ მმართველობა ეს არის „მანქანა“, მანქანა სიტყვა-სიტ-

ყვით თავისი პირდაპირი მნიშვნელობით. ის ამბობს, რომ „...ასეთი ადამიანური “მანქანა” უფრო ზუსტი და იაფია, ვიდრე მექანიკური აგრეგატი. “სამყაროს ვერავითარი მაშინერია (მანქანა) ვერ შეძლებს იმუშაოს ისეთი სიზუსტით, როგორც ამ ადამიანურმა მანქანამ და ამავე დროს იყოს ასე იაფიც”. მაგრამ მართვის მანქანა, ყოველი მანქანის მსგავსად, საჭიროებს პროგრამას. პროგრამა კი შეიძლება მას მისცეს მხოლოდ პოლიტიკურმა ლიდერმა (ან ლიდერებმა), რომლებიც გარკვეულ მიზნებს ისახავენ“. მართალია ლიდერობა ძალაუფლების ფლობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ სამყაროს მართვა ასეთი პროგრამებითა და „მაშინერიის“ მეშვეობით ნამდვილად ვერ შექმნის პოზიტიურ ურთიერთობას საზოგადოებას, ლიდერსა და სახელმწიფოს შორის.

ლიდერობა - ესაა ძალაუფლება, იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს „მწვერვალზე“ მყოფი ერთი ან რამდენიმე პირის უნარს აიძულოს სხვები გააკეთოს ის პოზიტიური ან ნეგატიური, რასაც ისინი არ გააკეთებდნენ, ან საბოლოო ანგარიშით, შეეძლოთ არ გააკეთებინათ საზოგადოდ. პოლიტიკური ლიდერობა ისეთი ტიპის ძალაუფლებაა, რომელსაც ახორციელებს ერთი ან რამდენიმე ინდივიდი იმ მიზნით, რათა ერის, საზოგადოების წევრები სამოქმედოდ განაწყოს.

ესე იგი პოლიტიკურ ლიდერს გააჩნია ძალაუფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას აქვს შესაძლებლობა მიიღოს „რიგგარეშე“ რესურსებიდა გარანტიები ძალადობის

წინააღმდეგ. ძალაუფლება თავად არის სპეციფიკური რესურსი ხელი მიგინვდებოდეს სხვა დანარჩენ რესურსებთან, ამიტომაც ძალაუფლების დაკარგვის შიში არის კონცენტრირებული შიში “ყველაფრის დაკარგვისა”.

ადამიანი ლიდერი ხდება იმის გამო, რომ აქვს მოთხოვნილება ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა, მაგრამ ეს არ არის ლიდერობის ერთადერთი მიზანი. შოტლანდიელი ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის თომას კარლეილის თქმით, ყველა ეპოქაში, მსოფლიო ისტორიაში შეიძლება აღმოვაჩინთ დიდი პიროვნება, რომელსაც “შეიძლება ენოდოს მხსნელი, ის ნაპერწკალი, რომელიც იწვევს ალს”. თუმცა, ეს “მხსნელი” კონკრეტულ ჯგუფს სჭირდება. ამდენად, ისტორიული რეალობის გარდა, ლიდერის არსებობისათვის აუცილებელია იმ ჯგუფის არსებობა, რომელიც მას მხარს უჭერს.

არ არსებობს ლიდერი მიმდევრების გარეშე, იმ ადამიანების გარეშე, რომლებიც მას ენდობიან. ლიდერი არეგულირებს ურთიერთობებს საზოგადოებაში, აძლევს მათ გარკვეულ მიმართულებას, იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. თანამედროვე PR-ტექნოლოგები საზოგადოების მნიშვნელობაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ და ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ლიდერი, როგორც წესი უნდა აღიქმებოდეს როგორც „ერთეული ჩვენთაგანი“ და იმავდროულად როგორც „საუკეთესო ჩვენს შორის“.

ცხადია, არსებობს ლიდერის სხვა ტიპოლოგიები და ლიდერობის განსხვავებული ახსნა, რაც თავად ფენომენის სირთულითაა გამოწვეული. თუმცა, შეიძლება იმის თქმაც, რომ ლიდერს გაცილებით მეტი ძალაუფლება აქვს, ვიდრე სხვებს და მას სხვაზე მეტად შეუძლია საკუთარი მოთხოვნილებების დაკავშიროვილება მინიმალური “დანახარჯებით”. მაგრამ ლიდერად ყოფნა არ არის მხოლოდ კონკრეტული პიროვნების უნარებზე დამოკიდებული. ლიდერი იმიტომ არის ლიდერი, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც აძლევენ მას ამის უფლებას და აღიარებენ, როგორც ლიდერს.

პოლიტიკური ლიდერის კვლევა არ გახლავთ ახალი ან ნოვაციური მოვლენა. მრავალი საუკუნის მანძილზე ბევრი მკვლევარი ცდილობდა საკუთარი შეხედულებისა და გამოცდილებისამებრ ჩამოყალიბებინა ის ჩარჩოები და ნორმები, რომელშიც მათი აზრით უნდა მოქცეულიყო ლიდერი. თვითეული მათგანის კვლევა უდაოდ საინტერესო და ყოვლის-მთქმელია, მაგრამ ეპოქის შესაბამისადაა განვითარებული, რაც დღეს მხოლოდ თეორიული ნაწილით თუ შეიძლება მოვარგოთ განვითარებულ სამყაროს ესოდენ ცივილურ პოლიტიკურ მოვლენებს.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება მივიდეთ ერთ დასკვნამდე პოლიტიკური ლიდერის მოქმედება არის მიზანმიმართული, მოტივირებული და პოლიტიკურად მოტივირებული.

## გამოყენებული ლიტერატურა:

ბაღათურია გ. „სტრატეგიული დაგეგმვა“ საგამომცემლო სახლი ‘ტექნიკური უნივერსიტეტი’ თბ. 2009.

ბიჭაშვილი მ. ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში. გამომცემლობა ფონდი "ლიასაზოგადოება - საქართველო" თბ; 2001

დოლონაძე შ., ბაღათურია ო. „სახელმწიფო მართვის თანამედროვე პრობლემები“ თბილისი, 2009

/ . . .

, . . .

**Khatuna Muradishvili**

### **The phenomenon of a political leader**

Suammary

Leadership is one of the oldest forms of human life organizations. It is characteristic to all social communities. The development of social life caused the evolution of leadership phenomenon; Hierarchy of leadership got more complicated. Personal leader type was changed by other, more complicated forms of leadership. Leadership became an active element of political

process and state system. Scholars have been interested in the phenomenon of leadership for centuries.

Term “leadership” has a broader definition. As a social-psychological concept it covers different components. Process, structure and functions of leadership are involved in public activity. The problem of a political leader is a vital problem of all times. Leadership in politics is a special form of governance. It influences not only the state but each individual living in the state and in general has a great impact on different spheres of social life. The quality of a leader’s personal characteristics is of great importance, as with his behavior the leader creates the image of the country and region.



გლობალური „მართვაზი ქაოსი“ და ზამყვან  
სახელმწიფოთა პოლიტიკა ისლამურ სამყაროსთან  
მიმართებით

გელა ირემაძე

მიმდინარე მოვლენები ცხადყოფენ რომ, ამერიკა-რუსეთის თანამშრომლობა აზიის მუსლიმურ ქვეყნებში ზედაპირულ ხასიათს ატარებს. ბოლო ნლებში ის უფრო წინააღმდეგობაში გადაიზარდა, რომელსაც ყოველივეს მიუხედავად ინტენსიურს ჯერ ვერ ვუწოდებ. (ვითარება შესაძლოა შეიცვალოს ამერიკის მხრიდან ირანზე თავდასხმის, სამოქალაქო ომისა და ირანის და ავღანეთის დაშლის შემთხვევაში).

ლერძს, რომლის ირგვლივაც მომავალში საერთაშორისო ურთიერთობების ორ ძლიერ სუბიექტს შორის შეიძლება აიგოს თანამშრომლობა, უსაფრთხოების პრობლემატიკა წარმოადგენს, რომელშიც შედის:

1. ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა;
2. ექსტრემისტული ისლამის (ისლამიზმის) წინააღმდეგ ბრძოლა;
3. ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა.

ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით თანამშრომლობას გააჩნია თავისი სპეციფიკა.

რუსეთი და ამერიკა არსებული წინააღმდეგობის მიუხედავად მუსლიმურ ქვეყნებში ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ თანხმდებიან. აშშ მთავარ საფ-

რთხედ ირანს მიიჩნევს, რუსეთი – პაკისტანს. მსგავსი იარაღის ირანში არსებობამ, როგორც აშშ-ში ვარაუდობენ, შეიძლება ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს მისი გავრცელების მიზნით, და საფრთხე შეუქმნას აშშ-ს ყოფნას დიდ ახლო აღმოსავლეთში, ასევე აშშ-ს მოკავშირეებს – ისრაელს და არაბულ რეჟიმებს (საუდის არაბეთი, ირანის ყურეს ქვეყნები). „ბირთვული ირანის“ ფაქტორი ცვლის ძალთა განლაგებას დიდ ახლო აღმოსავლეთში, რამდენადაც, ირანს აქვს რა რეგიონში სერიოზული გეგმები, ბირთვულ იარაღს განიხილავს (ან მისი სწრაფად შექმნის შესაძლებლობა გამდიდრებული ურანის საფუძველზე) როგორც აშშ-ს სამხედრო შეკავების ინსტრუმენტს.

რუსეთის პოზიცია ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, აგებულია უნდობლობაზე ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნაზე. რუსეთის მხრიდან აშკარა გამორიცხვით და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხრიდან მწვავე სანქციებით და მითუმეტეს პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტა, ირანს უფლებას აძლევს განუხრელად მიიწვედეს კრიტიკული ტექნოლოგიების შექმნისაკენ. ირანისათვის მშვიდობიანი რწმუნება და სამხედრო პროგრამაში მისი მონაწილეობის ირგვლივ არსებული დავები არ ეხება პრობლემის არსა: კომპლექსის შემდეგი განვითარება ურანის გამდიდრებისა თავისუფალი მიიყვანს ბირთვული იარაღის სწრაფად შექმნის შესაძლებლობასთან.

ამ ჰროცესების გაგრძელების შემთხვევაში, უკვე უახლოეს პერსპექტივაში ისრაელის სამხედრო ოპერაცია ან ისრაელისა და აშშ-ს ერთობლივი ოპერაცია გარდაუვალი ხდება. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი შემაკავებელ გავლენას მოახდენს აშშ-ზე გარკვეულ დრომდე მაგრამ ნავთობზე ერთდროულად მოთხოვნისა და ფასების დაცემა, მსოფლიო ეკონომიკაზე ნაკლებად დამანგრეველ ენერგეტიკულ შედეგებს გამოიღებს.

იგივე მიზეზით, საექსპორტო ნედლეულის მისაღები მოსალოდნელი მოგება, ახალი ომის შემთხვევაში რუსეთისათვის, განსაკუთრებით მის პოლიტიკურ დანახარჯებთან შედარებით მინიმალური იქნება. ისლამური სამყაროს სავარაუდო რეაქცია დამოკიდებულია რუსეთის აშშ-სგან გამიჯვნაზე და აგრესის დაგმობაზე, რაც დაარღვევს ბირთვული გაუვრცელებლობის ისლამური ექსტრემიზმთან ბრძოლის, ეკონომიკურ და სამეცნიერო ტექნიკურ ურთიერთთანამშრომლობას ორ ძლევამოსილ სახელმწიფოს შორის.

ირანისათვის რუსული შეიარაღების მიწოდება იქნება ყველაზე გამაღიზიანებელი ფაქტორი მომავალი ადმინისტრაციისათვის. ამასთან არ არის გამორიცხული, რომ ასეთმა მოწოდებებმა ირანი გახადოს ნაკლებად დამაჯერებელი მოლაპარაკებების დროს და ამით დააჩქაროს ომი. არ შეიძლება არ გავითვაალისნინოთ ისიც, რომ აშშ-მ შეიძლება ამას უპასუხოს რუსეთის მეზობლებისათვის – საქართველო, უკრაინა, ბალტიის ქვეყნები, თავდაცვი-

თი საზენიტო სისტემის („პატრიოტის“ ტიპის) მიწოდებით, რაც შეავიწროვებს რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალების უპირატესობას და საქართველოსა და უკრაინას დამატებით დაახლოვებს ნატოსთან.

სხვა მხრივ, თუ ობამას ადმინისტრაცია აიღებს კურსს აქტიურ და მშვიდობიან დიალოგზე თეირანთან და მიაღწევს შეთანხმებას, რუსეთი მაქსიმალურად შეეცდება განზე დატოვოს აშშ და ევროპული სახელმწიფოები შემდგომ გარიგებებსა და პროექტებში. უახლოეს მომავალში, რუსეთის პოზიციის გამნვავება ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით იქნება მიზანმიმართული, პირველ რიგში ახალი ომის თავიდან ასაცილებლად, ხოლო მეორეს მხრივ ამერიკისაგან შემხვედრი დათმობების მისაღებად ურთიერთთანამშრომლობის სხვა თემებთან დაკავშირებით. რუსეთისათვის პოლიტიკურ ამოცანად ითვლება ხელი შეუწყოს დიალოგს აშშ-სა და ირანს შორის, და ამით აიცილოს ომი, მაგრამ არ დაუშვას სეპარატული შეთანხმებები მის ზურგს უკან. მოლაპარაკებების ევროპული მონაწილეები და ჩინეთი ასევე დაინტერესებული არიან კოლექტიურ საფუძველზე პრობლემის მოგვარებაში.

ისლამური ექსტრემიზმისათვის და ტერორიზმისათვის წინააღმდეგობა არ არის უმთავრესი რუსეთ-ამერიკის თანამშრომლობაში. ტერორისტების საერთო აქტიურობის შემცირება არ ნიშნავს პოლიტიკური სცენიდან მათ გაქრობას. საუბარია პაუზაზე, ან ძალთა გადაჯგუფებაზე.

არც რუსეთსა და არც ამერიკას არ შეუძლია იგნორირება გაუკეთოს ექსტრემისტების ახალი ქსელის აქტივაციის შესაძლებლობას. ამასთან, არცერთი სახელმწიფო არ არის დაზღვეული იმისგან, რომ ზუსტად ის არ გახდება მათი დარტყმის ობიექტი. ასეთი დარტყმების ალბათობა გაიზრდება ეკონომიკური კრიზისის პირობებში, რომელიც მუსლიმანური სამყაროს გარემოს დესტაბილიზაციას ახდენს, რომლის შედეგადაც ეკონომიკური აქტიურობების მიღმა რჩება მილიონობით ახალგაზრდა ადამიანი. ისლამური რადიკალიზმის სულით აღზრდილებს, საკუთარი უკმაყოფილებიდან გამოსავალის მოძებნა შეუძლიათ ექსტრემიზმის გზით. უფრო დიდი რისკის ზონაში მოქმედევა აშშ, როგორც კრიზისის მაპროვოცირებელი, ასევე „ისლამურ-ქრისტიანულ სასაზღვრო ზოლის“ ტერორისტები, ასევე ევროპა და რუსეთი, უპირველეს ყოვლისა ჩრდილოეთ კავკასია, სადაც შეიძლება სოციალური კონფლიქტების წარმოქმნა.

არაეფექტური რჩება თანამშრომლობა ნარკოტიკებთან ბრძოლის კუთხით. ფორმალურად ამით ორივე სახელმწიფოა დაინტერესებული. მაღალი ხარისხით – რუსეთი, რომელიც რჩება ტრანზიტულ ტერიტორიად და სულ უფრო ხდება მისი მომხმარებელი. ამასთან, ის და აშშ, მიუხედავად ყველა ოფიციალური დეკლარაციისა, დე-ფაქტო აღიარებენ ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის არაეფექტურობას. საიდუმლო არ არის, რომ ამერიკამ ოპიუმის წარმოების სწრაფი განვითარება ავღანეთში

(185 ტონიდან 2001 წელს, 7700 ტონამდე 2008 წელს) გაცვალა საველე მეთაურების მხარდაჭერაზე და ეფემერულ პოლიტიკურ სტაბილურობაზე ქვეყნის პროვინციებში.

კრიზისის დროს ნარკოტიკების ნარმოების ნახტომი ცენტრალურ აზიაში და მისი ექსპორტის ზრდა დასავლეთიდან ჩრდილოეთისაკენ გარდაუვალია. ნარკოტიკების წარმოებასა და გავრცელებაში ჩათრეული აღმოჩნდა ათასობით ადამიანი. ეს ფენა წარმოადგენს ხელსაყრელ გარემოს რელიგიური რადიკალიზმის გავრცელებისათვის.

რუსეთსა და შშ-ში ითავისებენ ნარკოვაჭრობის საფრთხეს და ესმით, რომ ცენტრალური ქვეყნების ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის გარეშე, რათა შეცვალონ ნარკოტიკების მწარმოებელი და ტრანზიტორი ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური გარემო, პრობლემა შეიძლება საერთოდ ვერ გადაიჭრას. თუმცა ეს შესაძლებელია მხოლოდ რუსეთ-ამერიკის პროგრამებისა და ძალისხმევის კოორდინაციით (მსოფლიოს სხვა მსხვილი ეკონომიკების ჩართვით) პაკისტანიდან ცენტრალური აზიის ჩრდილოეთ საზღვრამდე სივრცეზე.

ტერორიზმის საფრთხისაგან თავის დაცვა მოკლე და საშუალო ვადის პერსპექტივაში, შესაძლებელია მხოლოდ სპეცსამსახურებისა და სპეცდანიშნულების რაზმების ურთიერთთანამშრომლობის საგრძნობი გაფართოებით კონტრტერორისტული, აგენტურულ და საბრძოლო ტიპის ოპერაციებში.

რუსეთ-ამერიკის ურთიერთთანამშრომლობა არც თუ შორეულ მომავალში გონივრული იქნება გაგრძელდეს ახლოაღმოსავლეთის კონფლიქტების ზონაში. ამ რეგიონში თანამშრომლობა მნიშვნელოვანია რუსეთის ევროკავშირთან დაახლოების საკითხში და ამით „დიდი ევროპის“ გავლენის გაძლიერება აშშ-ზე.

თანამშრომლობის შესაძლო რეგიონია აგრეთვე ცენტრალური აზია, რომელზეც გავლენას ახდენს ავღანეთსა და პაკისტანში არსებული მდგომარეობა. რუსეთი დაინტერესებულია ავღანეთში კოალიციის ყოფნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ქვეყანაში რადიკალური ისლამის გაძლიერება აისახება მთელი ცენტრალური აზიის რეგიონზე და შეიძლება მას დიდი სიძნელეები შეუქმნას. ეკონომიკურ კრიზისს უკვე მოაქვს რეგიონის საშინაო მდგომარეობის დაძაბვა. შეიძლება სოციალურ-პოლიტიკურმა პროტესტმა რელიგიური ხასიათი მიიღოს.

რუსეთსა და აშშ-ს საერთო ინტერესები მდგომარეობს სტაბილურობის შენარჩუნებაში მუსლიმანურ სამყაროში, მისგან მომავალი საფრთხეების აუცილებლობაში. და პირიქით მუსლიმანურ სამყაროში გავლენისათვის წინააღმდეგობამ შეიძლება წარმოიშვას დამატებითი დაძაბულობა, ასევე ისლამისტი რადიკალების ამბიციების ზრდა.

ამრიგად მიუხედავად რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების განსხვავებული ხედვებისა სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით თანმამად შეიძლება ითქვას

რომ ისინი არა მარტო ისლამურ ექსტრემიზმთან არამედ ტერორიზმთან ბრძოლაში აქტიურად თანამშრომლობენ.

«

»

, , ,  
(  
,

Gela Iremadze

## Global “Ruled Chaos” and Policy of Great Powers towards Islamic world

Summary

Current affairs prove that American-Russian relations in the Asian Muslim world have shallow character. Last times these relations became so contradicting that it became impossible to call them intensive. (The situation may change if America attacks Iran, in case of civil war or collapse of Afghanistan or Iran).

## გამოყენებული ლიტერატურა:

2011;

Conception of the foreign Policy of the USA, Woshington,  
2011;

სალომე ყორანაშვილი, პოლიტიკური ურთიერთობები  
საქართველოს, აშშ-სა და რუსეთის ფედერაციას შორის  
1991-1997 წლებში, თბ., 2009;

ნატო ღუდუშაური, რუსეთის პოლიტიკური ანატომია,  
თბ., 2010;

ზურაბ კვეტენაძე, რუსეთი ახალი მსოფლიო წესრიგის  
გზაზე, ურნ. „საისტორიო ვერტიკალები“ №16. თბ., 2009;

რონდელი ა. „საერთაშორისო ურთიერთობებში ახლა  
ისეთი დროა, როცა ვითარების შეცვლას უნდა დაველო-  
დოთ“. საიფორმაციო სააგენტო "ინტერპრესნიუსი" პოლი-  
ტიკა 13-02-2010;

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართვე-  
ლოში. <http://georgia.usembassy.gov/>;

## ფსიქოლოგია

პლიენტზე - ცენტრიზებული თერაპიის  
პროპრიეტეტი კარადიგმაზე

გურამ ჩაგანავა

კარლ როჯერსის კლიენტზე (თუ ჯგუფზე) ცენტრიზებულ თერაპიაში მნიშვნელოვანია კლიენტის მიერ გამოთქმული თვალსაზრისის განმეორება. ამ საკითხთან დაკავშირებით კ. როჯერსი წერს (*Роджерс, 2007:50-99*)(თემა-კონსულტანტის როლი), რომ ქვემოთ მოყვანილი კონსულტანტის გამონათქვამების განსხვავებულობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, არის თუ არა მისი გამონათქვამი ნამდვილად ემპათიური, თუ გამონათქვამი დეკლარატიულია. როჯერს მოყავს კლიენტის ერთი გამონათქვამი: „მე ვგრძნობ, თითქოს დედა მუდმივად თვალყურს მადევნებს მე და მაკრიტიკებს იმის გამო, რასაც მე ვაკეთებ. ამიტომ მე ძლიერ ვღიზიანდები, ვღელავ.“ კლიენტი ავრძელებს: მე მესმის, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ ამას მაინც ასე განვიცდი ხოლმე. მაშინ მე უშუალოდ ვგრძნობ მის არნივისებურ მზერას, რომელიც პირდაპირ მე მიმიზნებს და ჩემში ისევ, მომენტალურად რაღაც ინტენსიურად დუღილებს“.

კონსულტანტის რეპლიკა კ. როჯერსის თანახმად შეიძლება იყოს: „თქვენ გნეინთ მისი კრიტიკა“. ეს პასუხი შეიძლება სულ სხვანაირად გაუღერდეს, თუ იქნება ემპათიით ნარმოთქმული, გარკვეული ტონით, თითქოს კონსულტანტს სურდა ეთქვა: „თუ ჩემში და თქვენში აღმფოთებას იწვევს. ასე არ არის?“ თუ ფრაზა შესაფერისი ტონით იქნება ნარმოთქმული, რაც კონსულტანტის თანაგრძნობასა და კლიენტის მიმართ მის დამოკიდებულებას ასახავს, ეს კლიენტის მიერ უფრო მეტად ასახული იქნება, როგორც მისი აზრების გადმოცემისა და საუბრის გაგრძელებისადმი სტიმულირებაში დახმარება.

კ. როჯერსი ნერს, რომ ფრაზა „თქვენ გენეინათ მისი კრიტიკა“ შეიძლება ნარმოთქმული იქნეს ისეთი ტონით და ისეთი გამომეტყველებით, რომლითაც ჩვეულებრივ ნარმოთქვამენ: „თქვენ, ძვირფასო ნითელა გაქვთ?“; ან ისეთი გამომეტყველებით და ტონით როგორც ჩვეულებრივ ნარმოთქვამენ ფრაზას: „მე უკვე ყელში მაქვს ამოსული ეს სისულელები!“ ამრიგად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონსულტანტი იქნება ნამდვილად ემპათიური და გამგები, მაშინ კონსულტანტის ფრაზაზე („თქვენ გნეინთ მისი კრიტიკა“) კლიენტი უპასუხებს: „დიახ, ეს ზუსტად ის არის, რასაც მე ვგრძნობ“ განსაკუთრებით კარგად მე ეს ახლა გავიგე, როდესაც ეს თქვენ სხვა სიტყვებით თქვით“. მაგრამ თუ კონსულტანტის სიტყვები დეკლარა-

ტიულია, მაშინ ეს კლიენტისათვის ისე გამოიყურება და განიცდება, როგორც კონსულტანტის მხრივ კლიენტის სიტყვების შეფასება. ასეთ შემთხვევაში მთელი პროცესი ცენტრირდება და განისაზღვრება კონსულტანტით, და ამ დროს, კლიენტი ფიქრობს, რომ მას ახლა დიაგნოზი დაუსვერს.

ეს კი ნიშნავს კონსულტანტის ჩარევას და კლიენტის მიმართ კონსულტანტის მხრივ დირექტიული მიდგომის განხორციელებას. კ. როჯერსის მიხედვით კონსულტანტის მიერ კლიენტის სიტყვების გამეორებას ძირითადად ის მნიშვნელობა აქვს, რომ, თუ ფრაზა შესაფერისი ტონით იქნება ნარმოთქმული, ის კონსულტანტის თანაგრძნობასა და კლიენტის მიმართ მისი დამოკიდებულების ამსახველი იქნება, ხოლო კლიენტის მიერ უფრო მეტად ეს მდგომარეობა ასახული იქნება, როგორც მისი საკუთარი აზრების გადმოცემაში და საუბრის გაგრძელებისადმი სტიმულირების პროცესისადმი დახმარების აღმოჩენა( Роджерс, 2007:50-99).

მაგრამ ჩვენი თვალსაზრისით ამ შემთხვევაში მთელ რიგ დამატებით ფაქტთან გვაქვს საქმე. კლიენტის მიერ გამოთქმული მოსაზრების, თვალსაზრისის, პოზიციის, შეხედულების კვალდაკვალ კონსულტანტის მიერ კლიენტის სიტყვების შესაფერისი ინტონაციით (ემპათიის) გამეორებისას ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ეს გამეორება კითხვითი ფორმისაა, რომლის მნიშნელობაზე არაფერს ამბობს როჯერსი. კლიენტის მიერ გამოთქმული თვალ-

საზრის გამეორება და მისთვის კითხვითი ფორმის მიცემა თავისთავად ნიშნვს იმას, რომ რაღაც არის უცნობი, რაღაც არის გასარკვევი, რაღაც არ არის ჩვენ მიერ გაცნობიერებული, რაღაც არ არის დაკვირვების საგანგებო, დამოუკიდებელ ობიექტიად გამხდარი, როგორც ამას შეიძლება დ. უზნაძე იტყოდა (უზნაძე, 1949:116-117). სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, აქ არაპირდაპირ კონსულტანტი მიუთითებს კლიენტის ფსიქიკაში არსებულ პრობლემაზე, რომელიც, მართალია, კლიენტმა კი აღწერა, მაგრამ არ ცდილობს მის განხილვას, რომლის დროს ის იძულებული იქნება ამ პრობლემას არა მხოლოდ, როგორც კონტროლის გარეგან ლოკუსს (Maijer, 2000:47-70) შეეხოს, როდესაც ადამიანის ქცევა გარეგანი ფაქტორებით არის განპირობებული, ხოლო აღწერილი პრობლემის შინაგანი ფაქტორი ხელშეუხებელი რჩება. აქ მივდივართ ჩვეულებრივ კლიენტისა, თუ პაციენტის მიერ ფსიქოთარაპიის პროცესში დადასტურებულ ე.წ. წინააღმდეგობის პროცესთან(Фреяд, 2003:15-22), როდესაც ადამიანს თავისთავად პრობლემა იმდენად გათავისებული, აპროპრიერებული აქვს, რომ პრობლემა უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება იქნეს აღწერილი, ბუნებრივია, თუ მან შეძლო მისი წარმოშობის გარემოებების გახსნება. ასეთი მდგომარეობა ხშირად გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ, რადგან პრობლემის მიზეზს მივაკვლიერ ეს თავისთავად პრობლემის მოცილებას უტოლდება და ჩვენ ფსიქოთერაპიულ მიზანს მივაღწიეთ და ფსიქოლოგიური პოზიტიური შედეგი სახე-

ზე გვაქვს. ასეთი დასკვნა ბროიერის მიერ პაციენტების ჰიპნოზის მეშვეობით მკურნალობის დროს იყო გამოტანილი, თუმცა კი ფრიოდი შემდგომში სავსებით სამართლიანად უარს ამბობს ასეთი მეთოდით ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე პაციენტების მკურნალობაზე. როგორც ცნობილია ის გადადის ე. წ. თავისუფალი ასოციაციების მეთოდის გამოყენებაზე, რომელშიც უდიდესი მნიშვნელობა ქონდა პაციენტის ამა თუ იმ უნებურად ნათქვამის ფსიქოთარაპევტის მიერ ფრონიდის მიერ შექმნილი არაცნობიერი სისტემის საფუძველზე, ძირითადად ფსიქოთარაპევტის მიერ ინიცირებულ ინტერპრეტაციას, რაც აუცილებლად გულისხმობდა პაციენტის წინააღმდეგობის დაძლევას და ამგვარად ნამდვილად პოზიტიური შედეგის მიღწევას. მაგრამ აქ არის ერთი საინტერესო ნიუანსი, რომელმაც თავის დროზე აიძულა ზ. ფრონიდი უარი ეთქვა ჰიპნოზზე და ბროიერის ჰიპნოზის გამოყენებით ე. წ. კათარსისის მეთოდზე, რომელიც, როგორც ზემოთ იყო მითითებული პრობლემის აღწერას გულისხმობდა და როგორც ვიცით, ზოგიერთ შემთხვევაში, მართლაც, იწვევდა პრობლემებისაგან განთავისუფლებას ანუ კათარსისს, მაგრამ აგრეთვე არც, თუ იშვიათად, მხოლოდ დროებით და შემდგომში, ზოგჯერ, როგორც ჩანს, ზუსტად ზ. ფრონიდის მიერ შემოღებული ინტერპრეტირების მეთოდის გამოუყენებლობა იყო ასეთი წარუმატებლობის შედეგი. აქ აუცილებელია ამ საკითხზე სპეციალურად შევჩერდეთ, რადგან არც ფრონიდი და არც რო-

ჯერსი, რომლებმაც ცალ-ცალკე თავისებურად პრწყინვა-  
ლედ დასძლიეს ეს პრობლემა, თუმცა არსად, ყოველ შემ-  
თხვევაში, ჩვენს მიერ შენავლილი ლიტერატურის ფარ-  
გლებში, არ საუბრობენ იმაზე, თუ როგორ მიაღწიეს პო-  
ზიტიურ შედეგს. ზ. ფროიდი მხოლოდ მიუთითებს წინა-  
აღმდეგობის მნიშვნელობაზე, ანუ რეალურად იმაზე, რაც  
ზოგადად ძალიან ახლოსაა თეორიულად საკითხის გადაწ-  
ყვეტასთან, რადგან წინააღმდეგობა ხომ იმით არის გა-  
მოწვეული, რომ ეს კონკრეტული პრობლემა, **როგორც**  
**ზემოთ აღინიშნა, პაციენტის კუთვნილებაა** და პაცი-  
ენტს არ უნდა, თუნდაც მისი **შემაწუხებლის**, მაგრამ  
“მისი”პრობლემის გაშვება, დაძლევა, მისგან განთავი-  
სუფლება. ასეთი დაძლევის საშუალებას იძლევა ფროი-  
დისეული ინტერპრატაციის ფსიქოთერაპევტის მიერ ინი-  
ცირება, რაც სინამდვილეში არის წარსულში უსაფუძლოდ  
საკუთარ თავზე აღებული პასუხისმგებლობის ნეგატიუ-  
რი შედეგი. საყურადღებოა, რომ მაგალითად ჩინეთში  
ბუნებრივი კატაკლიზმებით- მიწისძვრებით, წყალდიდობე-  
ბით, გვალვებით გამოწვეული მოუსავლიანობისა და სტი-  
ქიური უბედურებების დროს ჩინეთის იმპერატორები სა-  
კუთარ თავზე იღებდნენ პასიხისმგებლობას და ლოცვე-  
ბით ცდილობდნენ დაეკომპენსირებად საკუთარი “დანაშა-  
ული”. ანალოგიური მექანიზმი მოქმედებს ჩვეულებრივი  
ადამიანის ფსიქიკაში, რადგან მისთვის ჩვეულებრივი,  
მეტ-ნაკლებად კომფორტული ბუნობრივი პირობები ხელ-  
საყრელ, გათავისებულ, აპროპრიებულ სიტუაციასთან

არის გაიგივებული და ამ ბუნებრივი სიტუაციის ცვლილებებს ის უპირველეს ყოვლისა ვიღაც **სხვას, უცხოს** მიაწერს (პროეცირებს) და ამით იცავს თავს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებისაგან, ხოლო მის ქცევაში ძირითადად **სხვების, უცხოების** მიმართ აგრესიული ტენდენციები მრავლდება, რაც გარეგნულად სტაბილურ, მნიშვნელოვანწილად შეურყვნელი ფსიქიკური მდგომარეობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი შინაგანი ცვლილებებისა და სიტუაციის სრულყოფილი გაცნობიერების გარეშე, თუმცა ზუსტად ეს მდგომარეობა იწვევს ფობიებს, აკვიატებებს, ისტერიული ციკლის გართულებებს, რაც არიდებს ადამიანს საკუთარი თავის დადანაშაულებას. მაგრამ სიტუაციის სწრაფი გაუარესება უკვე აიძულებს ადამიანს **საკუთარი ფსიქიკური ფუნქციების დადანაშაულებას** - მოუმზადებლობის, სიზიარმაცის, გაუცნობიერებლობის, შეუმჩნევლობის, გაუანალიზებლობის, სირთულეებიდან გამოსავლის საშუალებების მოუძიებლობის გამო. ფსიქიკური ფუნქციები, პროცესები, მდგომარეობები, მექანიზმები აგებენ პასუხს პიროვნების წინაშე, რაც კიდევაც ვღინდება, სიტუაციის ზედმეტად **გათავისებულად** მიჩნევის გამო, რაც ზუსტად იწვევს ბუნებრივი კატაკლიზმების გამო **საკუთარ ფიზიკურ სტრუქტურაზე** პასუხისმგებლობის აღებას ანუ სიმბოლურად ტვირთის, გასაჭირის, ტკივილის, ზოგადად არათავის მდგომარეობაში გადატანას, რაც თავისთავად სხეულებრივ, სომატურ გაცდებში პოულობს

განხორციელებას და ამგვარად იწვევს ფსიქოსომატურ პრობლემებს. იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს არაცნობიერად ამ თუ იმ ცხოვრებისეული გართულების გამო გავლილი აქვს ყველა სამი ეტაპი- უცხოს დადანაშაულება, საკუთარი ფსიქიკური ფუნქციების დადანაშაულება, საკუთარ ფიზიკურ სხეულებრივ სტრუქტურაზე პასუხისმგებლობის აღება – გარემო სიტუაციის პიროვნებისათვის კონკრეტული შეუთავსებლობის განცდის პირობებში ადგილი უნდა ქონდეს კონკრეტულ ფსიქიკურ პროცესებთან დაშორებულობის, მათგან გაუცხოების განცდის მდგომარეობას, რაც პიროვნების დისოციაციურ ტენდენციებში უნდა გამოიხატოს, ხოლო გარემოს-თან (ფიზიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური) მთლიანობითი შეუთავსებლობის შემთხვევაში, როდესაც ფიზიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური გარემო მთლიანად მიუღებელია, არათავისია პიროვნებისათვის, პიროვნება კი გარემოსათვის პიროვნების თვალ-საზრისით ადგილი უნდა ქონდეს შიზოიდურ ტენდენციებს. შესაძლებელია, რომ ფიზიკური გარემო იმდენად მიუღებელი, უცხო აღმოჩნდეს ადამიანისათვის, მასთან წარუმატებელი ურთიერთობების გამო, რომ მისი ფსიქიკაში სრულფასოვანი ასახვა შეუძლებელი იყოს პიროვნებისათვის. ასეთ შემთხვევაში ფიზიკური გარემო შერყვნილად შეიმეცნება ადამიანის მიერ ანუ ის გარე-მოს დერეალიზაციის წინაშე დგას. აგრეთვე არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც ადამიანს მისი ფსიქიკუ-

რი მდგომარეობა უცხოდ წარმოუდგება, რაც მისი პრაქტიკულ ჭრილში სისტემატურად წარუმატებლურად გამოყენებასთან უნდა იყოს დაკავშირებული და ეს არც თუ იშვიათად დეპერსონალიზაციაში გამოიხატება, რაც საკუთარი ფსიქიკური პროცესების უცხოდ მიჩნევაში რეალიზდება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი არც თუ იშვიათად აღმოჩნდება სოციალურ გარემოსთან დაპირისპირებაში, რაც ამ სფეროში სისტემატურ წარუმატებლობასთან და ამ სივრცის გაუცხოებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ასეთი მდგომარეობა კი სოციოფონბიაში გამოიხატება, რაც, რა თქმა უნდა, ვიწრო ფობიების მნიშვნელობების ზღვარს მიღმა უნდა ვიგულისხმოთ და რაც მიუღებელი სოციალური სტრუქტურის შეცვლას, მის განადგურებას, დამხობას უნდა გულისხმომდეს, თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით ასეთი უკიდერესობა არ უნდა იყოს რეალიზებული, მაგრამ თავისთავად ასეთი უკიდურესობა უეჭველად ძლიერი იმპულსის მომცემია, რადგან შეუკავებელია, მუხრანუჭების გარეშე ივარაუდება და მისი ამგვარად ფუნქციონირებას არაფერი უშლის ხელს.

ახლა გასაგებია, რომ ნებისმიერი ფსიქოთერაპიის დროს დაძლეული უნდა იქნეს ძირითადად რვა ფსიქოსოციალური კომპონენტი: 1. უცხოს დადანაშაულება; 2. საკუთარი ფსიქიკური ფუნქციების დადანაშაულება; 3. საკუთარ ფიზიკურ სტრუქტურაზე პასუხისმგებლობის აღება; 4. კონკრეტულ ფსიქიკურ პროცესებთან დაშო-

რებულობის, მათგან გაუცხოების განცდის მდგომარეობაში ჩადგომა; 5. ადამიანისათვის მისი ფსიქიკური მდგომარეობის უცხოდ წარმოდგენა; 6. ფიზიკური გარემო იმდენად მიუღებელი, უცხოდ აღმოჩნდება ადამიანისათვის, მასთან წარუმატებლური ურთიერთობების გამო, რომ მისი ფსიქიკაში სრულფასოვანი ასახვა შეუძლებელი ხდება; 7. სოციალურ გარემოსთან დაპირისპირება, ამ სფეროში სისტემატური წარუმატებლობისა და ამ სივრცის გაუცხოებულად წარმოდგენა; 8. გარემოსთან (ფიზიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური) მთლიანობითი შეუთავსებლობის მდგომარეობაში ჩადგომა, როდესაც მთლიანად ფიზიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური გარემო მიუღებელია, არათავისია პიროვნებისათვის, ხოლო პიროვნება კი გარემოსათვის.

ამრიგად გასაგები უნდა იყოს, რომ ფსიქოლოგიური პრობლემის წარმოშობა სულაც არ უნდა იყოს მოთხოვნილების დაუკმაყოფილობასთან დაკავშირებული მაინც და მაინც, არამედ ის დაკავშირებული უნდა იყოს ჩვენთვის უკიდურესად უცხო, მტრულ სიტუაციასთან, რომლის დაძლევის მექანიზმები ჩვენს ხელთ არსებული საშუალებებით შეუძლებლად მიგვაჩნია.

როგორც შეიძლება ვივარაუდოთ ანალოგიური მექანიზმი ადამიანზე ნებისმიერი ძლიერი გამაღიზიანებლის ზემოქმედების დროს შეიძლება დადასტურდეს. მაგალითად, ადამიანებთან წინააღმდეგობრივი ურთიერთობების, მაქსიმალური დაპირისპირების შემთხვევაში განადგურე-

ბის საშიშროება შეიძლება გენეტიკურად განპირობებულ სრულ ცხოველურ განადგურებასთან იქნეს გაიგივებული(კანიბალიზმი), რაც სიმბოლიზებული სახით პირველ-ქმნილი ცოდვის სახით იქნეს წარმოდგენილი და ამიტომ შესაძლებელი ხდება მრავალგვარი ისტორიულად ჩამოყალიბებული არცნობიერი სიმბოლეების შესახებ საუბარი(მათ შორის უნდა ვიგულისხმოთ არასრულყოფილების კომპლექსი და სხვა). საფიქრებელია, რომ ფრონიდისეული თეორიის საფუძველზე შემუშავებული ძირითადად ლიბი-დოზური ტენდენციების ინტერპრეტაციებისა და მასთან დაკავშირებული მექანიზმები უდავოდ მნიშვნელოვან, მაგრამ არაერთდადერთ ფსიქოთერაპევტულ ინსტრუმენტად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი. ამავე დროს უდავოა, რომ ადამიანზე ზემოქმედების მომხდენი ნებისმიერი ძლიერი გამაღაზიებელი (ბუნებრივი კატაკლიზმი, დანაკარგი, ძლიერი მტრული შემოტევა, გარემოს შემოტევასთან გაიგივებული ბიოლოგიური თუ სოციალური მოთხოვნილება) ადამიანის ფსიქიკაში შინაგან ლოკუსზე გადასვლის პირობებში უშუალოდ, თავისთავად კი არ იწვევს ფსიქიკური პრობლემას, არამედ(ჩვენი მოწყვლადობის შემთხვევაში) იწვევს ჩვენს უუნარობას წინ აღვუდებეთ მათ, უუნარობას ობიექტურად შევაფასოთ მოვლენები (აქედან, ამ ჩვენი უუანარობის დასაძლევად შემუშავებულია “კოგნიტური ფსიქოთერაპია”), უუნარობას გამოვიყენოთ პრაქტიკული საშუალებები გარემოს ზემოქმედების ნეგატიური შედეგების დასაძლევად (აქედან, ამ ჩვენი

უუნარობის დასაძლევად შემუშავებულია “ბიპევიორალური ფსიქოთერაპია”), უუნარობა მივიღოთ მოვლენები ისე, როგორც ისინი არიან წარმოდგენილი კრიტიკისა, ინტრაპრეტაციის, რჩევა-დარიგების გარეშე და ამავე დროს ემპათიურობის პირობებში, რაც კიდევაც შეესატყვისება კლიენტზე-ცენტრირებულ ფსიქოთერაპიას.

კლიენტზე – ცენტრირებული თერაპიის დროს კონსულტანტის მიერ კლიენტის წინადადების კითხვითი ფორმით გამეორება აიძულებს კლიენტს გადავიდეს თერაპიაში მონაწილეობის ახალ ფორმატზე, რომელიც, უპირველეს ყოვლისა იმით განსხვავდება წინა პერიოდთან შედარებით, რომ ამ შემთხვევაში ის ცდილობს მის მიერ მოვლენების აღწერის დროს, არა მხოლოდ აღწეროს მოვლენები, არამედ აგრეთვე გაანალიზოს ისინი ანუ ის იწყებს მისი თხრობის დროს მოვლენების ინტერპრეტირებას, რაც თავისთავად იწვევს ტენდენციურობის (ანუ პრობლემის ჩემდამი კუთვნილების და ამიტომ მის შენარჩუნებაზე ზრუნვის უკუგდებას, რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს გამოთქმული აზრის უფრო მეტი სერიოზულობით განხილვას, უფრო მეტი მონდომებით დეტალიზირებას, უფრო მეტად შედარებას და უფრო მეტად ტენდენციურობის, განმტკიცებული აზრების მიღმა მსჯელობას და ამგვარად საკუთარი პიროვნების ახალი თვალსაზრისით გაცნობას, რაც გახსნილობის, გამოაშკარავების, გაგების უფრო მაღალ დონეზე ასვლას განაპირობებს. გასაგებია, რომ კონსულტანტის მიერ კლიენტის

ყოველი ახალი წინადადების კითხვითი ფორმით განმეორება უზრუნველყოფს კლიენტისათვის ახალ დამატებით სტიმულირებას და კიდევ უფრო მეტად ძლიერდება “პრობლემასთან” დაკავშირებული “განმტკიცებულობის” მდგომარეობა, მისი “საკუთრად”, “თავისად” მიჩნევის დონე სუსტდება და ის იმდენად კარგავს კლიენტისადმი კუთვნილების ემოციურ მახასიათებლებს, რომ ის, ჯერ ნეიტრალური, შემდეგ უცხო, ხოლო ბოლოს ზედმეტ, არასაჭირო კონსტრუქტად ხდება, რადგან კლიენტი საკუთარ თავზე მაღლდება და პრობლემასთან დაკავშირებული მოვლენები შორს, ქვემოთ რჩებიან და აღარ მოქმედებენ პიროვნების სანინააღმდეგოდ.

აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე, კონსულტანტი კი არ ცვლის, არამედ იმეორებს კლიენტის წინადადებას, ოღონდ კოთხვითი ფორმით. ეს კი ნიშნავს, რომ კონსულტანტი არ ერევა კლიენტის თხრობაში, არ აძლევს მას რაიმე მიმართულებას, არამედ უბრალოდ, როგორც კარგი მსმენელი ცდილობს გაერკვეს კლიენტის ნათქვამში და ამიტომ კლიენტი თითქოსდა კონსულტანტის ასეთი დაინტერესების საპასუხოდ ცდილობს გაარკვიოს კონსულტანტი მისი სიტყვების არსში. ამიტომ კლიენტი კიდევ უფრო მეტად შორდება პრობლემის მისდამი კუთვნილების განცდას, რაც კიდევაც არის ე. წ. წინააღმდეგობის განევის უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორი. ამგვარად ფერხდება წინააღმდეგობა და ხელე ენყობა პრობლემის გამოაშკარავებას, მისი

წარმოშობის გარემოებების დადგენას და მის გამო წარმოქმნილი სირთულეების დაძლევაზე ორიენტირებულობის განმტკიცების უზრუნველყოფას. პრობლემა მისი სირთულის მიუხედავად მაინც წარსულისადმი კუთვნილად უნდა იქნეს განხილული, ხოლო ეს გარემოება თავისთავად ნიშნავს, რომ პრობლემა მხოლოდ ჩვენს ფსიქიკაში არსებობს და ამიტომ კი ზუსტად ჩვენზეა დამოკიდებული მისი დაძლევა. საქმე იმაშია, რომ აზრი თვითონ კლიენტმა გამოთქვა, მან განახორციელა ამ მისი აზრის ლეგალიზაცია, ეს მისი აზრი არის მნიშვნელოვანი, რადგან ზუსტად მას მიაქცია ყურადღება კონსულტანტმა. მაგრამ ეს კონსულტანტის აზრი კი არ არის, არამედ კლიენტისადმი კუთვნილი აზრია, მის მფლობელობაში მყოფი აზრია და არა თერაპევტის მიერ ინტერპრეტირებული, სიმბოლიზებული, მნიშვნელობა მინიჭებული, როგორც ეს ფსიქოანალიზური თერაპიის დროს ხდება. ამიტომ, რადგან ეს ჩემს მიერ გამოთქმული აზრია, მე მეკუთვნის, მე კიდევაც შემიძლია მისი ახსნა, შეცვლა, შედარება, ინტერპრეტირება, მნიშვნელობის მინიჭება, განვითარება ან და სულაც უკუგდება. ამაში მე არავინ მიშლის ხელს. ეს კი ნიშნავს, რომ ასეთი სიტუაციების გამრავლება, როდესაც კონსულტანტი იმეორებს კლიენტის სიტყვებს კითხვითი ფორმით, იქმნება ისეთი პრობლემური სიტუაცია, რომლის დაძლევა კლიენტს არ უძლენდება, რადგან ეს მისდამი კუთვნილი სიტუაციაა, ის თავისუფლად ფლობს მას, ის მართავს მას და ამიტომ ის

კიდევაც თავისუფლად ახდენს ზემოქმედებას ამ პრობლემაზე, რაც პრობლემის გადაჭრაში ერთგვარი ეტალონის როლის შემსრულებელი ხდება და ამიტომ კლიენტი არა მხოლოდ ახალ, მეტყველების პროცესში წარმოქმნილი პრობლემის გადასაჭრელად ხდება ორიენტირებული, არამედ აგრეთვე მის ფსიქიკაში არსებული პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული ხდება. ასეთი დამოკიდებულება შეიძლება იმით იყოს განპირობებელი, რომ კლიენტის ფსიქიკაში **არსებული პრობლემა შედარებით ძველია**, ამავე დროს მის მიმართ, თუ მთლიანად უცხოდ არ არის მიჩნეული, მნიშვნელოვნად მაინც უცხოდ აღიქმებიან კლიენტის მხრივ. დასაძლევი პრობლემის ასეთი ამბივალენტობა მეტყველების პროცესში წარმოქმნილი მთლიანად **საკუთარი პრობლემის გადაჭრის სიადვილე** ანალოგით ზემოქმედებას ახდენს ძირითადი პრობლემის გადაჭრის გარემოებებზე, რომლის განსაზღვრაში წარმოდგენილია **“უცხოობის”** მნიშვნელოვანი ფაქტორი და ამიტომ ამ პრობლემის მოცილება ანუ მთლიანად გაუცხოება, სხვებისადმი მიკუთვნება, პრობლემას არ წარმოადგენს საკუთარი პატარ-პატარა ვერბალური პრობლემების ფონზე. ამრიგად მე თუ დავძლევ, უკუვაგდებ ჩემს მიერ (კონსულტანტის დახმარებით) **“აღმოჩენილ”** პრობლემებს, ის პრობლემა, რომელიც ჩემთვის სირთულეების, წუხილების წარმომქმნელია, თავისთავად კიდევ უფრო მეტად ადვილად იქნება უკუვაგდებული ჩემს მიერ, რადგან არ არიან ჩემს მიერ შექმნილი (ყოველ შემთხვევაში მე

ასე ვთვლი ცნობიერების დონეზე). ასევე ჩემს მიერ გაცნობიერებული ,თერაპიის პროცესში“აღმოჩენილი”პრობლემების უკუგდება ანუ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ პრობლემის სხვისადმი მიკუთვნება აადვილებს ისედაც მნიშნელოვანწილად ჩემთვის “უცხო”(თუმცა ჩემს ფსიქიკაში არსებული) პრობლემის გაუცხოებას.

ამრიგად პროპრიუმის ფსიქოლოგიის (Allport,1960) და აპროპრიაციის ფსიქოლოგიის (ჩაგანავა,2009) კანონზომიერებათა საფუძველზე შესწავლილი იქნა კლიენტზე-ცენტრირებულ თერაპიაში გამოყენებული კლიენტის მიერ გამოთქმული მოსაზრების, თვალსაზრისის, პოზიციის კითხვით ფორმაში ფსიქოთერაპევტის მიერ გამეორების მეთოდი, რომელიც ჩვენი თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, არის კლიენტის მიერ მის კლინიკურ პრაქტიკაში, მის ცხოვრებაში მომხდარი ფსიქოლოგიური პრობლემური შემთხვევების აღნერის დონიდან ამ ფსიქოლოგიური პრობლემური შემთხვევების ანალიზისა და ინტერპრეტაციის დონეზე გადასვლის მაჩვენებელი. ასეთი მდგომარეობა კიდევაც იწვევს კლიენტის პიროვნებაში ფიქსირებული ფსიქოლოგიური პრობლემური კონსტრუქტების გამოვლენასა და დაძლევას. ამრიგად ხაზგასმით არის მითითებული, რომ იმას, რასაც ფსიქოანალიზში ძირითადად აკეთებს ფსიქოთერაპევტი, ანუ პაციენტის ცხოვრებიდან ფსიქოლოგიური პრობლემური შემთხვევების ანალიზსა და ინტერპრეტაციას, ამას კლიენტზე-ცენტრირებულ თერაპიაში, ფსიქოთერაპევტის მხრივ განსა-



Guram Chaganava

## Proprium Paradigms in the Client -Centered Therapy

Summary

In the basis of proprium psychology and the basis of psychology of appropriation analysis is used in client-centered therapy method of repetition of client's speech by therapist in the interrogative form, which, in the opinion of the author, is, first and foremost, an indicator of the transition process in the client's clinical practice from the **descriptive level of incidents** in his life of the psychological problem cases to the **level of analysis and interpretation of the** psychological problem cases that was fixed in the personality of the client in the form of problematic psychological constructions helps to the client to reveal and to overcome them . Therefore it is stressed that basically, in psychoanalysis, the therapist makes analysis and interpretation of the utterances of the patient,when in the client-centered therapy, on account of special treatment used by a therapist- unconditional acceptance, understanding, freedom of verbal behavior, empathy, concentration on self-determination and psychological feeling of the liberation of the personality the process of the analysis and interpretation successfully is fulfilled by the client.

, , , ,  
C ,  
, , , ,  
,

## მასპომუნიკაცია

თანამედროვე პომუნიკაციური ლიტერატურის  
არსი და მნიშვნელობა

ირინე ცინცაძე

თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოება გულის-ხმობს კომუნიკაციისა და ინფორმაციის უმთავრეს კაპიტალად დამკვიდრებას. აქედან გამომდინარე, ენობრივი კომუნიკაციის პრობლემა უძირითასედი ხდება. მისით არის განსაზღვრული არამხოლოდ პიროვნებათშორის ან ჯგუფთა შორის დონეებრივი კომუნიკაციები, ანდა მხოლოდ რეტიალური კომუნიკაციები, არამედ, კომუნიკაციურ კულტურათა დიალოგისა და ურთიერთობის დონეზედაც. თანამედროვე საზოგადოების ერთი სპეციფიკა ენის დემოკრატიზაციის მიმართულებით სვლაა. დღეს გრამატიკული სისტემით ბუნებრივი ენის შეზღუდვები უარყოფით მოვლენად ფასდება. იმის გამო, რომ გრამატიკულ ენათმეცნიერებას ჩაენაცვლა შინაარსობრივი ენათმეცნიერება, წინა პლანზე წამოიწია ტექსტის შინაარსობრივმა კომუნიკაციურმა ასპექტებმა.

აქვე განვმარტოთ, რომ თანამედროვე კომუნიკაციაზე ორიენტირებულ ლინგვისტიკაში ტექსტი გაიგება როგორც უმაღლესი რიგის დინამიკური კომუნიკაციური ერთეული, რომლის საშუალებითაც წარმოებს სამეტყველო ურთიერთობა. ტექსტის დინამიკური გაგება - „ტექსტი მოქმედება-ში“ - წინა პლანზე სწევს მისი ფუნქციური ასპექტის შესწავლას. ტექსტი ფუნქციონირებს კონკრეტულ სამეტყველო აქტში და ამიტომ მისი ფუნქციონირების კანონზომიერებათა გახსნა შეუძლებელია რეალური კომუნიკის პირობებისა-გან იზოლირებულად. ამგვარად, ტექსტზე ორიენტაცია ნიშნავს ამავე დროს კომუნიკაციურ პროცესზე ორიენტაციას. ტიპიური სამეტყველო აქტი ქმნის საფუძველს სამეტყველო ნაწარმოების განსაზღვრული ტიპის აღმოცენებისა და ფუნქციონირებისათვის. ამიტომ ტექსტის ტიპოლოგიური ნიშნების კვლევა სამეტყველო აქტის პირობების მიხედვით წარმოადგენს ლინგვისტიკის უპირველეს ამოცანას.

კომუნიკაციის პრობლემების კვლევებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სიტყვათა ლექსიკური მნიშვნელობა. ამ მიმართულებით მუშავდება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული (გამოყენებით- მეთოდიკური და მეთოდოლოგიური) პრობლემები. შემთხვევითი სულაც არ არის ის მოვლენა, რომ სახელმძღვანელოებსა და მეთოდიკებში საილუსტრაციო მასალა წარმოდგენილია არსებითი სახელებით, რომლებიც სხვებზე მეტად გამოირჩევიან საგნობრივ-შინაარსობრივი მნიშვნელობით. რუსულის, როგორც უცხო

ენის სწავლებაში, ამგვარი მიდგომა შემდეგნაირად რეალიზდება: სიტყვის სემანტიზაციის ბუნებრივი თვალსაზრისის განხორციელებით, ნახატების, სქემების, ფოტოების გამოყენებით და ა.შ. საკუთრივ ლინგვისტიკურ (შიდალინგვისტიკურ) კანონზომიერებებზე დამყარებული მიდგომები, ხერხები სიტყვის სემანტიზაციის პროცესში ნაკლებად გამოიყენება.

თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა მთავარ ამოცანად გაგებინებას აცხადებს. წარსულს ჩაბარდა კოდიფიცირებული, კანონიკური, სტანდარტიზებული ბუნებრივი ენის ცნება, რომელსაც ქართულ სინამდვილეში სალიტერატურო ენა ეწოდებოდა. თავისთავად ამ დადებით მოვლენას მცირერიცხოვანი ენების მაგალითზე, რომელთაც საქართველოც მიეკუთვნება და სადაც ეროვნული თვითმყოფადობა პირდაპირ არის მიბმული, ეროვნული ბუნებრივი ენის სიძლიერეზე, სიმტკიცესა და შეუვალობაზე, გლობალიზაციით გამოწვეულმა ენობრივი დემოკრატიზაციის პროცესებმა ერთგვარად საფრთხე შეუქმნა არამხოლოდ სალიტერატურო ანუ კანონიკური ენის დარღვევას, არამედ, საფრთხის წინაშე დააყენა ენობრივი და კულტურული ცნობიერება.

კომუნიკაციური ლინგვისტიკა არ არის ზოგადი ენათმეცნიერების ნაწილი თუ დარგი - იგი არის თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ყველაზე უფრო აქტუალური და პერსპექტიული მიმდინარეობა. როგორც შინაარსით, ისე

სტრუქტურით იგი მიისწრაფვის იმისკენ, რომ გახდეს ენის თანამედროვე თეორია. თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ეს მისწრაფება აღსრულდება, მაშინ ძალიან მალე შეიძლება დადგეს დრო, როცა ორი გამოთქმა: „ენის თეორია“ და „ენის კომუნიკაციური თეორია“ ერთმანეთს დაემთხვევა.

იმდენად, რამდენადაც ჩვენ ვითვისებთ ან ვაღრმავებთ კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, იმდენად ვიმყოფებით თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ყველაზე „მოწინავე“ ხაზზე. კომუნიკაციური ლინგვისტიკა - ეს არის ახალი ან უახლესი ლინგვისტური აზროვნება მის ქმნადობაში.

დღეს ჩვენ მოწმენი ვართ სალიტერატურო ენის რღვევისა, რომელსაც შერყვნას ვუწოდებთ. კანონიკურ ენას შეერია არამხოლოდ ტერიტორიული დიალექტების ლექსიკა და ფრაზეოლოგია, არამედ სოციოლექტების ლექსიკაც და არცთუ იშვიათად გამონათქვამები (ჟარგონი, არგო, სლენგი, პროფესიონალიზმები, ბარბარიზმები).

თანამედროვე ბეჭდური მედია უამრავი დასახელებისაა. იბეჭდება მრავალფეროვანი მასალა. ეს ჟურნალ-გაზე-თები განსხვავდებიან პოლიტიკური მიმართულებებით, თემატიკით. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, მიუხედავად უანრობრივი მრავალფეროვნებისა, ენობრივი შეცდომებით თითქმის იდენტურია.

მოგვეძალა ქართული ენისათვის არაბუნებრივი, უჩვეულო კონსტრუქციები. ბევრი ქართველის სმენას თითქმის

აღარ ეუცხოება ისინი, რადგან ყოველდღე ესმის, კითხულობს, ნელ-ნელა თითქოს ეჩვევა კიდეც.

როდესაც გვსურს ტექსტის შინაარსის, მისი სემანტიკის კვლევა, მეტად მნიშვნელოვანი მომენტია ენათმეცნიერებაში კარგად ცნობილი ცნებების - „მნიშვნელობის“, „შინაარსისა“ და „აზრის“ ურთიერთმიმართების პრობლემის განსაზღვრა. განსხვავება „აზრსა“ და „მნიშვნელობას“ შორის XX საუკუნის 30-იან წლებში ჯერ კიდევ ლ. ვიგოტსკის მიერ არის მოცემული: „თუ სიტყვის „მნიშვნელობა“ კავშირისა და შესაბამისობის სისტემის ობიექტურ გამოხატულებას წარმოადგენს, „აზრი“ - კონკრეტულ მომენტსა და სიტუაციაში მნიშვნელობაში სუბიექტური ასპექტის შეტანას ნიშნავს“ (ვიგოტსკი, 1934).

„აზრი“, „მნიშვნელობა“ და „შინაარსი“ ენაში გამოხატულებას პოლობს სიტყვებში, წინადადებებში, გამონათქვამებში და, ცხადია, ტექსტშიც.

რაც შეეხება თანამედროვე ქართულ ბეჭდურ მედიას. პრესაში დაშვებული შეცდომები სხვადასხვა სახისაა, ხშირად, „აზრი“, „მნიშვნელობა“ და „შინაარსი“ სრულიად შეუსაბამოა. არსებობს ორთოგრაფიული, მორფოლოგიური, სინტაქსური შეცდომები, რომლებიც ენის ნორმათა უცოდინარობის შედეგია.

ქართული პრესის ენაში გვხვდება უზუსტობანი კონტექსტში სიტყვათა შერჩევის თვალსაზრისით. ხშირია სინ-

ტაგმები, რომელთა წევრები მნიშვნელობის მიხედვით არ შე-ეფერებიან ერთმანეთს.

ქართული ენა იმ ენათა რიცხვს ეკუთვნის, რომლებშიც სიტყვათა რიგი წინადადებაში თავისუფალია, მაგრამ არა აბსოლუტურად თავისუფალი. იმის გამო, რომ დარღვეულია რიგი სიტყვებისა, ხშირად აზრი შეცვლილი ან ბუნდოვანია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა მთავარ ამოცანად გაგებინებას აცხადებს, რასაც ვერ ვიტყვით თანამედროვე პრესის ენის შესახებ. მეცნიერებისა და ამ საკითხით დაინტერესებულ პირთა კვლევის მიზანი სწორედ აღნიშნული პრობლემების კვლევა, მიზეზების დადგენა და მათი შესაძლებელი ან უფრო სწორად, სავარაუდო გამოსწორების გზების ძიებაა, რომელსაც რათქმაუნდა, საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი და პერიოდი სჭირდება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

მარინა ჯაში, „კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტრადიციულ ლინგვისტურ ცნებათა გადააზრება“, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსტეტი, კრებული - ენა, თარგმანი, ლიტერატურა, ტბ. 1999.

ნინო თევდორაძე, „ტექსტის ლინგვისტიკა“, თბ. 2011.  
ბორის იმნაძე, თემურ ჯაგოდნიშვილი, „ვერბალური  
კომუნიკაცია და სიტყვა-ფორმათა ლექსიკური მნიშვნელო-  
ბა“, ჟურნ. „განათლება“, №3(9), თბ. 2013  
გურამ ლებანიძე, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბ.  
2004

,  
,

«                »  
,

,  
,

(      ,      ,  
                   ).

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

,

Irina Tsintsadze

**The essence and meaning of modern communicative  
linguistics**

Suammary

Modern information society implies communication and information as a main capital. Thus, the problem of language communication becomes the most crucial, since it defines not only on the levels of interpersonal or group communication, but also the levels of relationship and dialogue of communication cultures.

Today we are witnessing violations of literary language, which we call distortion. So called "canonic" language has been mixed up not only with vocabulary and phraseology of territorial dialects, but also with sociolect vocabulary and frequently used expressions such as slang, jargon, professionalisms, borrowings.

As for the Georgian print media, there are mistakes of various kinds; in most cases „opinion”, meaning “and” content “do not correspond to each other. There are orthographic, morphological and syntactic errors that are the result of ignorance of the rules of the language. The aim of the scientists, as well as those interested in the issue, is a research of above mentioned problems, an establishment of the causes of their occurrence and the way of their possible fixes or solutions. Of course, it is quite a long process and will take a lot of time.

ახალი მეზის უზნებიშრი ზეგავლენა  
გასრგივ აუდიტორიაზე  
(ზეგიერთი ასპექტი)

**ნესტან მამუჭაძე**

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მძლავრად ფეხის მოკიდებამ, თანამედროვე საზოგადოებაში ახალი მე-დიის ფუნქციური და პრინციპული თავუსებურებანი მძლავრად გაზარდა. უფრო მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი პერიოდის მედიარეალობაში ახალი მედია სიღრმისეულად, უფრო ოპერატიულად და დაბეჯითებით ამ-ბობს თავის წილ სიტყვას. ასეთ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, არც აუდიტორია აყოვნებს, რადგან იგი სწორედ იმ მი-მართულებით მიემართება, საითკენაც მეტი ოპერატიულობა და სიზუსტეა.

მასმედიის ფუნქციების ირგვლივ საფუძვლიანად და-კონკრეტება აღნიშნულ ეტაპზე უპრიანად არ მიგვაჩინია, მაგრამ რიგ თეორიებს გვერდს ვერ ავუვლით. როცა ახალი მედიის ფუნქციათა სისტემურ თავისებურებაზე ვსაუბ-რობთ, საწყის ეტაპზე აუცილებლობად მიგვაჩინია დავსვათ კითხვები: რა არის ახალი მედია, სად და როდის არის საძიე-ბელი მისი ფესვები, უქმნის თუ არა იგი ტრადიციულ მედიას

საფრთხეს და რა მნიშვნელობა აქვს მას მედიის სისტემური ანალიზისათვის?

ინტერნეტ სივრცის განვითარებასთან ერთად ბევრმა მედია საშუალებამ ამ უკანასკნელის ათვისება დაიწყო. თუკი, თავიდან ინტერნეტში ტრადიციული მედიასაშუალებების ინტერნეტ ვერსიები თავსდებოდა (მაგ. თავიდან გაზეთები ათავსებდნენ ნაბეჭდი ეგზემპლარების სრულ კოპირებას), დღეს ინტერნეტ მედიასაშუალებები თავიანთი დამოუკიდებელი სტრუქტურების მიხედვით ქმნიან და უურნალისტებს უამრავ ახალ შესაძლებლობას სთავაზობენ.

რა არის ახალი მედიის ფუნქცია? რიგი დოგმატური ფუნქციებით თავად ახალი მედია შემოიჭრა საზოგადოების ცნობიერებაში თუ თავად საზოგადოებამ დააკისრა მას ფუნქციები? საერთოდ არის თუ არა ახალი მედია ინოვაციური უურნალისტიკა? რაში მდგომარეობს ახალი მედიის ფუნქციური ზეგავლენა მასობრივ აუდიტორიაზე? შესაკრებთა გადანაცვლებით რომ ჯამი არ იცვლება, ეს თითეული ჩვენგანისთვის კარგად ცნობილი ელემენტარული მათემატიკური ჭეშმარიტებაა. უურნლისტიკამცოდნეობის მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალი მედიის პრინციპებსა და თეორიებში ახალი არაფერია. რა თქმა უნდა, ახალი მედია ძველმა, ტრადიციულმა უურნალისტიკამ შობა და ისტორიული ფესვები მას სწორედაც რომ იქ გააჩნია, მაგრამ სტატისტიკური კვლევიდან გამომდინარე, რატომ ენდობა მასობრივი

აუდიტორია უფრო მეტად ახალ მედიას? და კიდევ, საქმე აქ ნდობასთან გვაქვს თუ ოპერატიულობასთან და მოხერხებულობასთან?

თანამედროვე ტექნოლოგიურმა მიღწევებმა რაც უფრო მეტად გაუმარტივა ცხოვრება საზოგადოებას, რაც უფრო მეტი კომფორტი იხილა და შეიგრძნო ადამიანმა, მოთხოვნაც მით უფრო მეტი გაუჩნდა მას. აქვე გვახსოვს ისიც, რომ როგორიც არის მოთხოვნა, შესაბამისია მიწოდებაც. მასობრივი აიდოტორია ითხოვს ახალს და კომფორტულს. ამას შესაძლებლობების შესაბამისად არც მედია აყოვნებს. მოკლედ, უურნალისტიკა არ არის მხოლოდ ახალი ამბავი, მაგრამ მედიის, თავად უურნალისტიკის არსებობა ახალი ამბის გარეშე წარმოუდგენელია. მასობრივი აუდიტორიაც ახალ ამბებს ძირითადად ახალი მედიის საშუალებით გებულობს. აღნიშნულ შემთხვევაში პროპაგანდისტულ როლს სიტყვის მანიპულირებადი ძალაც წარმოადგენს, რადგან საზოგადოება იხედება იმ მიმათულებით, საიდანც ესმის და ხედავს ახალს, ახალ რეალობას. შესაბამისად, ყოველ დროში ისეთი უურნალისტური ნაწარმი იქმნება, როგორსაც ეპოქა გვკარნახოვს. აღნიშნულ პრობლემაზე მოგვიანებით დავკონკრეტდებით.

„ინტერნეტი ჩვენი ეპოქის მთავარი ფენომენი გახდა. მისი მეშვეობით ინფორმაცია იქცა კომუნიკაციად, რომელიც უსაშველოდ ფართოვდება. იგი მოიცავს ყველა საკომუ-

ნიკაციონ საშუალებას, რაც კი ოდესმე შეუქმნია კაცობრიობას; აქამდე დაგროვილ ყოველგვარ ცოდნას, ტრადიციას, გამოცდილებას, ნოვაციას და ხელიმისაწვდომს ხდის ყველასთვის – ქსელში ჩართული ნებისიერი მომხმარებლის-თვის“ (მ. ვეკუა, ჟ. რუე).

ფაქტია, რომ ინტერნეტკომუნიკაციამ მედიაში ახალი ეპოქა შექმა. ამიტომაც იგი ახალი მედიის სახელით დამკვიდრდა (სოციალური მედია). ამ უნივერსალურ და კონკურტუნარიან გარემოში მულტიმედიური წყაროები ყველაფრის საშუალებას იძლევა, რათა ინტერნეტში განთავსდეს ყველა არსებული მედიასაშუალება (წიგნი, უურნალი, რადიო და ტელეარხები, ფილმები, რეკლამა); პარალელურად, ინტერნეტში გაჩნდა ონლაინ გამოცემები: ინტერნეტ-გაზეთები და უურნალები, ინტერნეტტელევიზიები, ბლოგები...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალი მედიის ცნება მოიცავს სოციალურ მედიასაც, რომელიც ფაქტობრივად, უურნალისტიკის ახალი განზომილებაა და მისი უძლიერესი კონკურენტიც. სოციალური მედიის ფუნქციონირებაში უურნალისტებიც მონაწილეობენ, მაგრამ განსხვავებულ ამპლუაში. მედიის ამ უახლოეს განშტოებას ქმნის თავად აუდიტორია, თავად მედიამომხმარებელი. სოციალური მედია ასრულებს ტრადიციული მედიის ფუნქციებს, როგორიცაა მომხარებლის ინფორმირებულობა, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება.

ლიბება, ე.ნ. “დღის წესრიგის” განსაზღვრა, გართობა, რეკლამის განთავსება... ბუნებრივია, სოციალური მედია ეყრდნობა ტრადიციული მედიის გამოცდილებას, ტრადიციული მედია თავის მხრივ, ინტენსიურად იწყებს ახალი მედიის გამოყენებას – ქმნის ბლოგებს თავის ინტერნეტგვერდებზე, მომხმარებელს უქმნის პუბლიკაციების ინტერაქტიული კომენტირების საშუალებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალი მედია იძლევა პუბლიკაციების ინტერაქტიული კომენტირების საშუალებას. შესაბამისად, როცა აუდიტორია მასობრივად არის ჩართული რეალურ პროცესებში, როცა მას აქვს აზრის თავისუფლად და დამოუკიდებლად გამოთქმის საშუალება, დღეს დემოკრატიული მედიის პრინციპული დანიშნულება სწორედაც რომ ახალი მედიის ჭრილშია საძიებელი. აქედან გამომდინარე, ახალი მედიის ფუნქციური ზეგავლენა მასობრივ აუდიტორიაზე დიდია და განმსაზღვრელი.

შეიძლება ითქვას, რომ 21-ე საუკუნე სოციალური მედიის საუკუნეა, რომელშიც უმთავრესად ბლოგები, სოციალური ქსელები, ონლაინ ენციკლოპედიები, სხვადასხვა სახის ფორუმი და ყველა ის ინტერნეტ-რესურსი იგულისხმება, რომელიც მომხმარებელთა მაქსიმალურ ჩართულობას და ინტერაქციას უზრუნველყოფდა. როგორია საქართველოში სოციალური მედიის ტენდენციები და რა გავლენას ახდენს იგი საზოგადოებრივ ცნობიერებაზე? ბოლო პერიოდში სო-

ციალური მედიისადმი ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუკი 2009 წლის მონაცემებით სოციალურ ქსელში მხოლოდ 43 პროცენტი იყო რეგისტრირებული, ერთი წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი 68-მდე გაიზარდა.

რა როლი უჭირავს სოციალურ მედიას ოცდამეერთე საუკუნის ადამიანის ცხოვრებაში? საზოგადოების დიდი ნაწილი ახალ ინფორმაციას მიმდინარე პროცესების შესახებ ძირითადად სოციალური მედიის საშუალებით იღებს და ამდენად ინფორმაციის გავრცელების არეალის პრობლემასთან ერთად, მიწოდებული ინფორმაციის ხარისხის საკითხიც დგება. სოციალური მედია სათავეს 2000 წლიდან იღებს.

„მასმედიის ფუნქცია ხალხთა ფართო მასებისთვის ინფორმაციის გაზიარებაა და არ აქვს მნიშვნელობა ეს ჟესტი იქნება, მიმიკა თუ საერთაშორისო ახალი ამბავი. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი განსაზღვრავს ადამიანთა საქმიანობას, აყალიბებს მათ ინტერესებს, განწყობას, ნერვულ ფსიქოლოგიურ-ფონს. მასმედიის საშუალებით აღიქვამს სამყაროს ადამიანთა უმრავლესობა. ახალი ამბავს ტავად მედია ქმნის, რადგან მედიაპროდუქტის შექმნისას მნიშვნელოან გადაწყვეტილებას თავად უურნალისტი იღებს, ოღონდ ეს რა თქმა უნდა, ერთპიროვნულად არ ხდება. ფუნქციათა მრავალფეროვნება ამავდროულად მრავალფეროვან კრიტიკასაც განაპირობებს. მასმედიას

ადანაშლებენ დროის ფუჭად ხარჯვაში, ბავშვთა ძალადობისადმი წინასწარი განწყობის შექმნაში, საზოგადოების კრიმინალიზაციაში, საზოგადოებრივი სისტემის დანგრევაში, აჯანყების, რევოლუციებისა და ხალხის მასობრივად დაღუპვის ინიცირებაში. მეორეს მხრივ, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მოდერნიზებულია მისი მასმედია, რაც შეიძლება მიუთითებდეს, რომ იგი პროგრესისა და განვითარების სასარგებლო ფუნქციასაც ასრულებს“ ([www.nplg.gov](http://www.nplg.gov)).

თანამედროვე საზოგადოებაში ახალ მედიას კონკრეტული ფუნქციები დაეკისრა. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, რიგი ფუნქციებისა თავად საზოგადოებამ დააკისრა მას. სოციალურ ქსელებში საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ დაარსებულმა არაერთმა ჯგუფმა არაერთხელ თქვა გადამწყვეტი სიტყვა ამა თუ იმ სფეროში. აქვე აღასანიშნავია მათივე სანდოობის პრინციპიც, რადგან ხშირად უცნობია ვინ დგას ამა თუ იმ ჯგუფის უკან. საერთო იდეების, მისწრაფებების, რელიგიური მრნამსის, შეხედულებების თუ ინტერესების მქონე ადამიანები ერთ ჯგუფად ერთიანდებიან. ამიტომაც, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი აზრის ფორმირებაში კონკრეტულ დაჯგუფებებს არაერთხელ უთქვამთ მათი წილი სიტყვა, რომელიც ხშირად გადამწყვეტიც კი ყოფილა.

ადამიანებს ფასეულობების ჩამოყალიბებაში მედია ეხმარება. ეს უკანასკენელი კი, საოცარი სისწრაფით ახდენს ზეგავლენას აუდიტორიის ცნობიერებაზე. ამდენად, ჟურნალისტიკას ამ მხრივაც შეაქვს წვლილი პიროვნების თუ საზოგადოების ფორმირების პროცესში და რაღა თქმა უნდა, ამ ყველაფრის ფონზე ჩვენთვის ყოველმხრივ საინტერესოა თანამედროვე საზოგადოებაში მძლავრად ფეხმოკიდებული ახალი მედია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

ნათია კუპრაშვილი – „ახალი მედია ძველი მედიისათვის“ (გზამკვლევი), გამომც. კოლორი, თბ., 2011 წ;

„ახალი მედიის საფუძვლები“ (რედაქტორი თამარ კალმა-სიტაშვილი, შემდგენლები: თინათინ დვალიშვილი და სან-დორო ასათიანი), გამომც. TOL, თბ., 2010 წ;

მარინე ვეკუა, ჟინ რუე – „ჟურნალისტიკა“, გამომც. მერი-დიანი, თბ. 2013 წ;

ჟურნალი „განათლება“, #1(10), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2014 წ;

[www.nplg.ge](http://www.nplg.ge)

[www.tsu.ge](http://www.tsu.ge)

[www.media.ge](http://www.media.ge)

Nestan Mamuchadze

**Functional impact of new media on the mass audience**

Suammary

In a modern society new media has specific functions. Auditorium requires news and comfort. Media doesn't hesitate to meet the requirements in all the possible ways. Shortly, journalism is not just news, but media and journalism itself is unimaginable without news. Mass auditorium gets the news with the help of new media as well.

( )



შურნალის ტიკისა და მასპომზნიპაციის  
ურთიერთმიმართების საპითხებისათვის

*ზონდე ინგა*

მასმედია საინფორმაციო საქმიანობის ყველა სფე-  
როს მოიცავს – მისი გავლენის აქტუალობა ეჭვს არ იწ-  
ვებს.

საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედების სხვა-  
დასხვა მეთოდი უძველესი დროიდან არსებობს, ისინი  
დღესდღეობით ტრანსფორმაციას განიცდიან: ერთი და  
იმავე კონტექსტით, მაგრამ სხვადასხვა ხერხით ხორცი-  
ელდება. პუბლიცისტიკა, რომელიც ასევე მართავს საზო-  
გადოებრივ აზრს, მისი გავლენის ძალა შესუსტებულია  
მეცხრამმეტე საუკუნის ქართულ უურნალისტიკასთან შე-  
დარებით.

„ტერმინი – publicus - ლათინური წარმოშობისაა და  
ნიშნავს საზოგადოებრივს.

... პუბლიცისტიკისთვის დამახასიათებელია: 1) ცნე-  
ბებით აზროვნება; 2) ტენდენციის გამუღავნება პირდა-  
პირ, შეუნიღბავად; 3) აქტუალურობა; 4) განზოგადება; 5)  
ყოველივე ეს კი მოაზრებულია საზოგადოებრივ - პოლი-  
ტიკური ასპექტით აუდიტორიაზე უშუალო ზემოქმედების  
მიზნით”. [1. გვ.7-14]

ორატორულ ხელოვნებას, რიტორიკას, პროპაგანდას,  
აგიტაციას, „PR”-ს და მასებზე ზეგავლენის ყველა ამ

ხერხსაც ერთი მიზნისკენ, ადამიანების დარწმუნებისკენ მივყავართ. სხვაგვარად რომ ვთქვათ მასობრივი კომუნიკაცია ან ინფორმაცია შეიძლება გააზრებულ იქნას როგორც მიზეზი, რომელიც განაპირობებს გარკვეული ხასიათის შედეგს. [2. გვ.92]

ცნობილი, ბერძენი ფილოსოფოსის „პლატონის აზრით, რიტორიკა არის მხოლოდ პირფერობა, ჭეშმარიტების ფალსიფიცირება. რიტორიკა ილუზიურ რწმენებს აყალიბებს. რიტორი თამაშობს ბრძოს გრძნობებით. ის ქმნის ჭეშმარიტების მსგავს ფანტაზმებს.

არისტოტელე, ისევე როგორც მისი მასწავლებელი – პლატონი, თვლიდა, რომ ფილოსოფიის საგანი ჭეშმარიტების კვლევა და ცოდნის კულტივირებაა, რიტორიკისა კი – დარწმუნება. მისი თქმით, რიტორიკა არის არა მხოლოდ „დარწმუნების მეთოდოლოგია”, არამედ, ანალიზის ხელოვნებაცაა, რომელსაც მივყავართ გონების დაპყრობისკენ.” [3.]

მასებზე ზემოქმედებისთვის მმართველების ორატორული ხელოვნების და რიტორიკის ფართოდ გავრცელება და მათი „სახეცვლილება” დიპლომატიურ ჭრილში განაპირობა უურნალისტიკის წარმოშობამ და თანამედროვე მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ტექნოლოგიების განვითარებამ.

„უურნალისტიკის გაჩენისათვის მატერიალურ-ტექნიკური წინაპირობის გარდა, იყო მოთხოვნები: პოლიტიკური მოთხოვნა – უურნალისტიკა როგორც ხელისუფლები-

სა და საზოგადოების მართვის საშუალება; იდეოლოგიური მოთხოვნა – უურნალისტიკა როგორც ეფექტური ინსტრუმენტი იდეოლოგიურ ბრძოლაში; ეკონომიკური მოთხოვნა – უურნალისტიკა როგორც კომერციული ინფორმაციის წყარო.

მე-16 - მე-17 საუკუნეების მიჯნაზე ყალიბდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა, ფართოვდებოდა საერთაშორისო ვაჭრობა, ვითარდებოდა მეცნიერებისა და კულტურის დარგები, ვრცელდებოდა წიგნიერება, ვითარდებოდა კომუნიკაციის ქსელები, ფოსტის ცენტრალიზება. პრესის მნიშვნელობა საყოველთაოდ აღიარებული გახდა. „ოთხ გაზეთს შეუძლია უფრო მეტი ზიანის მიყენება მტრისთვის, ვიდრე ასიათასიან ჯარს”, – ამბობდა ნაპოლეონი. იგი თითოეულ დაპყრობილ ქვეყანაში დაუყოვნებლივ ქმნიდა ოფიციალურ რუპორს: „Газетт де Мадрид”, „Газетт де Берлин”, „Журнал дю Капитоль” (რომი) და სხვა. „დაიპყრე გაზეთები სამართავად” – ეუბნებოდა ნაპოლეონი მიურატს პირინეის ნახევარკუნძულის დაპყრობის დაწყებისას. [4. გვ.3]

თუ ძველ რომში ციცერონი რომაელი ხალხის კეთილგანწყობას ორატორული ნიჭის გამო იმსახურებდა, ნაპოლეონის ეპოქაში იმპერატორის მასებზე ზეგავლენის ძალას გაზეთი წარმოადგენდა. ახლა აშკარაა, რომ პრესა მასებზე ზეგავლენას ვეღარ ახდენს, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ რეალურად გვესმის და ვკითხულობთ ისეთ ფრაზებს, როგორიცაა „მთავარია

მართო ტელევიზიები, პრესამ რაც უნდა ის წეროსო”, სადაც პრესის რეპორტიორებს უსვამენ კითხვას „თავს როგორ გრძნობ ტელევიზიის ეპოქაში?”, „ტელევიზიის ეპოქის დადგომის შემდეგ ბეჭდვითი სიტყვის სამყაროში გაჩნდა იმის შიში, რომ უურნალ-გაზეთები უსარგებლო გახდებოდა. შეერთებული შტატები განვითარებულ ქვეყნებს შორის მკითხველთა რაოდენობის მიხედვით ბოლო ადგილზეა. „ყველა, ვინც საგამომცემლო საქმეს-თანაა დაკავშირებული, შემფოთებით უყურებს მომავალს,” – ამბობს რიჩმონდის „ტაიმს-დისპეჩის” ერთ-ერთი რედაქტორი ენ მერიმენი. „წერა-კითხვის უცოდინ-რობის საშინლად მაღალი დონე და ახალი თაობის ტელევიზიაზე მიჯაჭვულობა მცირე საფუძველს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ ბეჭდვითი სიტყვა კიდევ დიდ-ხანს დარჩება კომუნიკაციის მთავარ საშუალებად.” [5. გვ.261-262] დღეს უკვე აქტუალური გახდა ინტერნეტზე მიჯაჭვულობის და მისი გავლენის საკითხები.

ურიგო არ იქნება ალბათ, ყურადღება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და უურნალისტიკის ტერმინთა განმარტებებზეც გაგვემახვილებინა. დღეს უკვე მათი ერთმანეთის-გან გამიჯვნა საკამათო გახდა. თუმცა, ალსანიშნავია, რომ საბოლოოდ ყველა მათგანისათვის საერთო დამახა-სიათებელი თვისება, ინფორმაციის აუდიტორიამდე მიტანა, სადაც არ იქნება. „უურნალისტიკა როგორც ტერმინი წარმოდგება ფრანგული სიტყვა „უურნალიდან” (journal),

რაც გულისხმობს დღიურს, გაზეთს (ფრანგული jour ნიშნავს დღეს) და იგი შეესაბამება გერმანულ Journalistik-ს და ინგლისურ journalism-ს. რუსეთსა და საქართველოში თავდაპირველად ტერმინი „ურნალისტიკა“ იხმარებოდა ურნალების საქმიანობის დასახასიათებლად, ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მას უკვე ყველა პერიოდული გამოცემის მიმართ იყენებდნენ. ამჟამად ამ ტერმინში იგულისხმება ურნალისტური მოღვაწეობის მრავალფეროვანი პროფესია და, ამასთანავე, პროფესიათა ერთობლიობა მის ჩარჩოებში (გაზეთი, ურნალი, გამომცემობა, საინფორმაციო სააგენტო, რადიო ტელევიზია).

რაც შეეხება „ურნალისტიკას“ როგორც ცნებას, იგი პირველ რიგში გამოხატავს საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ სახეს, სოციალური პრაქტიკის სფეროს, წარმოადგენს საზოგადოების განსაკუთრებულ სოციალურ ინსტიტუტს, რომელიც ორგანიზაციულად შედგება სხვადასხვა დაწესებულებათა სისტემებისაგან. და იგი არა მარტო მოღვაწეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სახეა, არამედ, ამასთანავე, საინფორმაციო, იდეოლოგიური, ორგანიზაციული და შემოქმედებითი საქმიანობის სახე-ცაა“. [6. გვ.15]

„მასობრივი კომუნიკაცია არის კომუნიკაციის (ტერმინი წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან „communicatio“, რაც ნიშნავს ცნობის მოწოდებას, დაკავშირებას, ურთიერთობას) ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გულისხმობს

შეტყობინების შექმნისა და გადაცემის პროცესს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ესაა ინფორმაციის (ცოდნის, სულიერი ფასეულობების, მორალური და სამართლებრივი ნორმების და ა.შ.) ფიქსაციის, კოპირების, რეპროდუცირების, გამრავლებისა და გავრცელების ტექნიკური საშუალებები – პოლიგრაფია, აუდიო და ვიდეო ჩანერა, ფოტოგრაფია, კინო.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები – ესაა აქტუალური ინფორმაციის მოპოვების, შენახვის, დამუშავებისა და გადაცემის ტექნიკური საშუალებები – პრესა, რადიო, ტელევიზია და ინტერნეტი.” [7. გვ.45-47] როგორც განმარტებებიდან ჩანს ტერმინის „უურნალისტიკის” მასობრივი კომუნიკაციისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ტერმინებით ჩანაცვლების მცდელობა დღეისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია. თუ ოცდამეტთე საუკუნეში მიმდინარე გლობალურ პროცესებს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს დავუკავშირებთ, „გლობალური კომუნიკაციის ციფრულ საშუალებებსაც“ - დიგიტალიზაციასაც ვგულისხმობთ. თუმცა, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების გლობალურ პროცესებზე ჯერ კიდევ საკაბელო ტელევიზიის „ბუმის“ პერიოდში მსჯელობდნენ.

„XX საუკუნის უკანასკნელ ათწლედებში მსოფლიო არსებითად მიუახლოვდა ინფორმაციული თვალსაზრისით „გლობალურ სოფლად“ გადაქცევის საფრთხეს. ეს ტერ-

მინი მეცნიერებაში კანადელმა პროფესორმა მარშალ მაკ-ლუენმა შემოიტანა. ამით მან ხაზი გაუსვა ინფორმაციული პროცესების მსგავსებას ტრადიციულ პატარა დასახლებასა და მთელ პლანეტას შორის, როცა იგი ერთიან ტელესაკომუნიკაციო სივრცედ იქცევა. „სოფლის“ ერთ კუთხეში მომხდარი შემთხვევა მაშინვე ხდება ცნობილი ყველა მცხოვრებისათვის და აქტიურად განიხილება, რადგან ყველას ინტერესს ეხება“. [8. გვ.13-14]

გასულ საუკუნეში გამოვლინდა მასობრივი კომუნიკაციების უპრეცედენტოდ დიდი როლი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. რადიკალური სოციალური ცვლილებების ეპოქამ, სწრაფმა ტექნიკურმა პროგრესმა გააჩინა საკომუნიკაციო რევოლუციების რიგები, რომლებმაც, თავის მხრივ, გამოიწიეს ახალი ურთიერთობები და ამ ურთოერთობების ფორმები და მეთოდები. კომუნიკაციების განვითარება ხდებოდა ნახტომებით, ბადებდა ხარისხობრივად ახალ სოციალურ-კულტურულ ფენომენებს, რადიკალურად ცვლიდა ჩვეულ მიმართულებას, მასშტაბებს და საინფორმაციო ნაკადის მოცულობას. მკვლევრებმა საკომუნიკაციო საშუალებების განვითარების ეტაპები რევოლუციად შეაფასეს.

**პირველი საკომუნიკაციო რევოლუცია** გამოწვეული იყო ბეჭდური პერიოდიკის მეტამორფოზის შედეგად. ოდესაც უაღრესად ელიტარული პერიოდული გამოცემები გაზეთები და უურნალები, რომლებიც ემსახურებოდნენ მკითხველთა შეზღუდულ აუდიტორიას – პირველად

თავისი არსებობის სამასი წლის მანძილე ფართოდ გავრცელდა და საუკუნის ზღვარზე გარდაიქმნა მასობრივი ინფორმაციის წყაროდ. სოციალური, ტექნიკური და ეკონომიკური კომპლექსების ფაქტორების ზეგავლენით პერიოდიკამ მიიღო ახალი ხარისხი, რაც ხელს უწყობდა ჟურნალისტიკის როგორც სოციალური ინსტიტუტის მნიშვნელობის მკვეთრ ზრდას. წერა-კითხვის ფართოდ გავრცელების პირობებში, სამოქალაქო არჩევნების უფლებების შემოღებისას ჟურნალისტიკის ზეგავლენის ძალა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებზე ბევრ შემთხვევაში უფრო დიდი იყო, ვიდრე სხვა სოციალური ინსტიტუტებისა.

**მეორე საკომუნიკაციო რევოლუცია** დაკავშირებულია რადიოს წარმოშობასთან, რომელიც ახალი კავშირის უზრუნველყოფის საშუალებისაგან - „უკაბელო ტელეგრაფისაგან“ შეიქმნა; მეოცე საუკუნის დასაწყისში იგი მასობრივი ინფორმაციის საშუალება იყო, რომელიც ზეპირ საკომუნიკაციო ხერხებს და ხმოვან ექსპრესიას იყენებდა.

20-30-იან წლებში რადიომაუწყებლობის საყოველთაო გავრცელებით მასობრივ აუდიტორიაზე სისტემური ზეგავლენის კიდევ ერთი არხი ყალიბდება, რომელიც მიღიონობით მსმენელს ითვლის. რადიოსა და პრესას შორის ურთიერთდამოკიდებულებების სისტემაში ნელ-ნელა ბალანსი შეიქმნა, რომელიც კონკურენციის და თანამშრომლობის პირობებში ფუძნდებოდა.

**მესამე საკომუნიკაციო რევოლუციას** გამოსახულების დისტანციური გადაცემის ექსპერიმენტის ჩატარების სტადიიდან აღნიშნავდნენ რეგულარულ ტელემაუნიყებლობამდე და შემდგომ ტელემაუნიყებლობის მასობრივი ინფორმაციის საშუალებად გარდაქმნამდე. ტელევიზიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებად ფორმირებამ, რომელიც 1950-იან – 1960-იან წლებში ხდებოდა, რევოლუციურად შეცვალა საკომუნიკაციო სიტუაცია, შეარყია თანასწორობა პრესასა და რადიოს შორის. ტელევიზია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, უმეტესად ინდუსტრიულ სახელმწიფოებში მასობრივი ინფორმაციის ძირითად საშუალებად ჩამოყალიბდა, რომელიც ფლობდა ყველაზე დიდ აუდიტორიას და რომელიც ახორციელებდა ეფექტურ ზეგავლენას – ვინაიდან ჰქონდა და აქვს ფართო დიაპაზონი ვიზუალური, აკუსტიკური და ტექსტური რესურსებისა. ტელემაუნიყებლობის განვითარებამ გააჩინა კრიზისული მოვლენები რადიოსა და პრესაში. ტელევიზიის კონკურენტულ პირობებთან მოხდა პრესისა და რადიოს ადაპტაცია.

საბოლოოდ, **მეოთხე საკომუნიკაციო რევოლუცია**, რომელმაც ხარისხობრივად გარდაქმნა მასობრივი კომუნიკაციის სფერო, ხდებოდა XX საუკუნის ბოლო მეოთხედში, რომელიც დაკავშირებულია თანამგზავრულ და საკაბელო ტელეკომუნიკაციების, ასევე კომპიუტერული ქსელების შექმნასთან, მათ შეუძლიათ გლობალურ მასშტაბში უზრუნველყონ ინფორმაციის უზარმაზარი მასი-

ვების დაგროვება და გადაცემა. ეს არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ტექნოლოგიური გაახლების რევოლუციური პერიოდი, მედია ორგანიზაციებისა და კომუნიკაციების საქმიანობაში ციფრული ტექნოლოგიების შემოღების ხარჯზე (რასაც ჰქვია დიგიტალიზაცია).

სარედაქციო საქმიანობისთვის, ინფორმაციის შეგროვების, გადამუშავებისა და გავრცელებისათვის სწრაფად ვითარდებოდა კომპიუტერიზაცია, ფართო განვითარება ჰქოვა თანამგზავრულმა და საკაბელო ტელევიზიამ, მოხდა ინტერნეტის გლობალური საკომუნიკაციო ქსელის ჩამოყალიბება, სწრაფად ხდება ციფრული ტექნოლოგიების ფართო გამოყენება ჟურნალისტიკასა და მასობრივ კომუნიკაციებში. ახალი საკომუნიკაციო შესაძლებლობები საშუალებას გვაძლევს გადავცეთ ტექსტური, ხმოვანი და ვიზუალური ინფორმაცია რეალური დროის რეჟიმში, „ტრადიციული“ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იძენს არადამახასიათებელ საკომუნიკაციო ინტერაქტიურ ხასიათს და გვაძლევს მედიის ინფორმაციის უფრო ზუსტი მიწოდების საშუალებას, ცალკეული აუდიტორიების ჯგუფების სპეციფიკისა და მომხმარებლების ინდივიდუალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით. [9. გვ. 315-316]

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი და მათ შორის ვირტუალური გარემო ცვლიან ადამიანის წარმოდგენებს სამყაროში, საზოგადოებაზე კულტურაზე და, თუ გნებავთ, საკუთარ თავზეც. [10. გვ. 22] ამ თვალსაზრისით

მასობრივ ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებებს თან ერთვის მრავალრიცხოვანი კულტურული, მსოფლიმხედველური პრობლემები.

Inga Zoidze

## Matter of interrelations between journalism and mass communications

Summary

A technological progress of a modern communication put a sign of equality between the concepts of journalism and mass communication. In this article theoretical concepts of an introduction to mass media are discussed. Among them definitions and analysis of terms are present.

### გამოყენებული ლიტერატურა:

ტაბიძე ნ. „პუბლიცისტიკის საკითხები” წიგნი I, გა-  
მომცემლობა „უნივერსალი”, თბილისი 2011.

იმნაძე ბ. „თანამედროვე ქართული უურნალისტიკის  
ზოგიერთი ფილოსოფიური პრობლემა” უურნალი “გა-  
ნათლება” თბილისი 2013.

[wwwelssocium.ge](http://wwwelssocium.ge) „კომუნიკაციის თეორიის განვითა-  
რების ძირითადი ეტაპები”

ჰამილტონი ჯ., კრიმსკი ჯ. „ჩაეჭიდეთ პრესას”  
საქ. საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, ქართული  
გამოცემა, 2004.

გაგოშიძე შ. „უურნალისტიკის საფუძვლები”, თბი-  
ლისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996.

ჭუმბურიძე ი. „უურნალისტიკის შესავლის საკითხე-  
ბი”, გამომცემლობა „უნივერსალი” თბილის 2011.

„სატელევიზიო უურნალისტიკა“ მ.ვ. ლომონოსოვის  
სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბი-  
ლისი 1998.

იმნაძე ბ. „მასობრივი კომუნიკაცია და ადამიანის  
სულიერი სიმდიდრე” უურნალი “განათლება” თბილისი,

2010.

2000 .

შრომების კრებული

Сборник трудов

PROCEEDINGS

სოციალურ მეცნიერებათა საკითხები

Вопросы социальных наук

Problems of Social Sciences

VI

რედაქტორი:


ირაკლი მანველიძე

გამომცემლობის რედაქტორი:

იზა ხარებავა

ფირაცი 200

გამომცემლობა „უნივერსალი“



თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, თ: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

